# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 21 აგვისტო 1999 №159 (932) | ფასი 50 თეთრი

## 2 ახალი კაპიტანი ძველია



რატი ალექსიძემ „დინამოს" კაპიტნობა დაიბრუნა

## 3 ო, რიო, რიო...

ქართველი მწვრთნელები ბრაზილიაში ისწავლიან

## 6 ინგლისური ფეხბურთი ახალი რაკურსით

კომერციული ტელეკომპანია BSKyB ბრიტანელ მაყურებელს ფანტასტიკურ რეპორტაჟს ჰპირდება

## 7 მთავარი თემა და მთავარი კითხვა



პრიმერა დივიზიონის პირველ ტურში შეთხელებული „რეალი" „მალიორკას" ესტუმრება

## 12 XXI საუკუნის ქართული კალათბურთი

შოკოლადის ზაზა ფაჩულიას პარტიზანობა ურჩევნია

# პირველად: თბილისი — ბათუმი

საქართველოს ჩემპიონატი — 2 ტური

| «ა» ზონა<br>21 აგვისტო, შაბათი | «ბ» ზონა<br>21 აგვისტო, შაბათი |
|---|---|
| არსენალი – დინამო | ხობი – მერანი |
| ვიტ ჯორჯია – სიონი | ტორპედო – დილა |
| ლოკომოტივი – სამგურალი | კოლხეთი – გორდა |
| **22 აგვისტო, კვირა** | **22 აგვისტო, კვირა** |
| თბილისი – ბათუმი | თსუ – იბერია |

თბილისის „დინამოს" მომგები „ბათუმი" ხვალ „ეროვნულზე" „თბილისს" დაუპირისპირდება. იტალიელი ჯანი კარნევალე კი ჩვენს დედაქალაქს პირველად ეწვევა. მანამდე დანარჩენი პირველლიგელები იმას ეცდებიან, ერთმანეთს უპირატესობა დაუმტკიცონ. ვისი აჯობებს მეორე ტურში, ამ უქმეებზე გავიგებთ.

# გაიხსნა!

გუშინ სევილიაში მძლეოსანთა VII მსოფლიოს ჩემპიონატი სავსე ტრიბუნებით გაიხსნა, დღეს პირველი სტარტებია

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი



REUTERS



REUTERS

მიხაელ შუმახერი „ფერარის" ბოლიდში ჩაჯდა!

# დიდი შუმი!

## შუმახერმა ყველა გააფრთხილა: პირველი ისევ მე ვარ!

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

დიდი ბრიტანეთის დიდ პრიზზე რბოლისას დაშავებული მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი კვლავ მიუჯდა „ფერარის" საჭეს.

იტალიური გუნდის გერმანელმა პილოტმა გუშინ „მუგელოს" ტრასაზე წაივარჯიშა და დაამტკიცა, რომ მართლაც უდიდესი მრბოლია. ჯერ კიდევ ტრავმამოუშუშებელმა, ისევ ფეხმტკივანმა შუმიმ პირველივე წრე 1 წუთსა და 28,86 წამში გაიარა, უფრო სწრაფად, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის და „ფერარის" ახალგამომცხვარმა ლიდერმა, ირლანდიელმა ედი ირვინმა. ნაშუადღევს შუმახერმა თავისი შედეგი ოდნავ გააუმჯობესა და ტრასის გავლას 1 წუთი და 28,37 წამი მოანდომა.

„მიხაელმა თხუთმეტიოდე წრე გაიარა. მის დაბრუნებას მთელი გუნდი სიხარულით შეხვდა. იგი სწრაფად აღიდგენს ჩვეულ ფორმას, თუმცა ბელგიის დიდ პრიზზე მისი მონაწილეობა მაინც გამორიცხულია" — განაცხადა „ფერარის" პრეს-ატაშემ კლაუდიო ბერომ.

ასე რომ, შუმის ქომაგები დიდი ჩემპიონის ხილვას სექტემბრამდე ვერ შეძლებენ. გერმანელი მრბოლი ჩემპიონატს, სავარაუდოდ, იტალიის დიდ პრიზზე დაუბრუნდება.

# ქუჩაში საათს არავინ ყიდულობს

*ევროპულ კლუბებისთვის რვა ყველაზე დიდ იმედგაცრუებაში ქართველი ფეხბურთელიც რომ მოხვდა, ამის შესახებ გუშინწინდელ „სარბიელში“ წაიკითხავდით. საფეხბურთო ბაზრის ასმა ექსპერტმა გიორგი ქინქლაძეს 15 ხმით მეექვსე საფეხური არგუნა. მავანმა იქნებ ამ ინფორმაციაში სავანგაშო ვერაფერი ამოიკითხა და იმით ინუგეშა თავი, რომ სიას ბრაზილიელი დენილსონი ლიდერობს. ეჰ, ესპანური „ბეტისის“ ნახევარმცველი დენილსონით იმედგაცრუება ძალიან უმნიშვნელო მოვლენაა ბრაზილიისთვის, გიორგი ქინქლაძის ფენომენის თანდათან გაუფასურება კი ტრაგედიის ტოლფასია. საფეხბურთო საქართველოსთვის. იმ ბრაზილიას ასობით ლეგიონერი ჰყავს წამყვან ევროპულ ქვეყნებში, მათი ფასიც დღითი დღე იზრდება საფეხბურთო ბაზარზე. ჩვენ კი... თითქმის არავინ გვყავს. უფრო მეტიც, უცხოელ აგენტებსა და ექსპერტებს ქართველებისკენ გამოხედვაც აღარ სურთ და თუ მაინც შემოგვხედეს მოწყალების თვალით და რომელიმე ფეხბურთელის თაობაზე დაგვიწყეს მოლაპარაკება, ისეთ პირობებს შემოგვთავაზებენ და ისეთ თანხას დაგვისახელებენ, უმალ საუბრის შეწყვეტა მოგინდება.*

*რამ მიგვიყვანა ასეთ ყოფამდე? რა მიზეზით დაეცა ასე ძლიერ ქართველი ფეხბურთელების ფასი ევროპულ ბაზარზე? სწორედ ამ კითხვებზე საპასუხოდ შევეხმიანეთ გაიოზ დარსაძეს, ჩვენი ქვეყნის ერთადერთ ლიცენზირებულ მწვრთნელს. დარსაძე ხომ ძალზედ ახლოს იცნობს თანამედროვე საფეხბურთო მეურნეობას, წამყვანი ევროპული ქვეყნების მრავალ ექსპერტთანაც მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს და რა შეხედულებები აქვთ ქართველ ფეხბურთელებზე, ისიც კარგად უწყის.*



გაიოზ დარსაძე

**— ბატონო გაიოზ, რა მიზეზით მოხდა საფეხბურთო ბაზარზე ქართული პროდუქციის ასე სამინლად გაუფასურება?**

— პირველ რიგში ყოველივე ჩვენი კლუბებისა და ნაკრებთა ევროსარბიელზე წარუმატებლობის ნაყოფია. მნიშვნელოვანი წილი ბავშვთა ფეხბურთის გაუმართაობაზეც მოდის, რასაც ნორჩებთან ბევრი არაკვალიფიციური მწვრთნელის მუშაობა განაპირობებს. არადა, შევსებას ხომ სწორედ იქიდან უნდა ვილებდეთ. გარდა იმისა, ფეხბურთელთა უმრავლესობის ბედი ხშირად ფეხბურთში შემთხვევით მოხვედრილი ხალხის ხელშია. თვითმარქვია მენეჯერებსა და აგენტებს დაჰყავთ მოთამაშეები კარდაკარ და ამა თუ იმ კლუბის წარმომადგენლებს ეხვეწებიან ჩემი „კლიენტი“ გუნდში აიყვანეთო...

ვინმემ შემთხვევით ქუჩაში რომ გაგაჩეროთ და საათის ყიდვა შემოგთავაზოთ, იყიდით? რა თქმა უნდა, არა. სერიოზული კაცი კარგ საათს სოლიდურ მაღაზიაში შეიძენს. სოლიდურ მაღაზიის მიგნება კი არ ჭირს, მის შესახებ ყველა მომხმარებელმა უწყის. ასევეა ფეხბურთში. ქვეყნის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას იღებენ. ამის მთავარი განმსაზღვრელი ეროვნული ნაკრების სიძლიერეა. თუ ნაკრების ძალა ანგარიშგასაწევია, მაშინ ქვეყანასაც უწევენ ანგარიშს. იგივე ითქმის კლუბებზეც. კლუბის და ნაკრები გუნდის წარმატებას კი კარგი ფეხბურთელები განაპირობებენ.

ჩვენს მოთამაშეებს ზღვარგასული ამბიციები აწუხებთ. საქართველოში თამაშს უკადრისობენ, ოღონდ აქედან გაიქცნენ და სად წავლენ, იმაზე ცოტას ფიქრობენ. მეტწილად გაწბილებულნი ბრუნდებიან უკან. საფეხბურთო სამყარო კი ჭორიკანაა. ყველამ იცის, ვის სად გასინჯავენ და რომელ კლუბში მიიყვანენ. სწორედ ეს იწვევს ფასის დაცემას. ევროპული ბაზრის ხსენებულ 100 ექსპერტს ერთმანეთთან კავშირი აქვს. ისინი ხშირად იკრიბებიან და ინფორმაციას ცვლიან. ასიდან ერთმა რომ თქვას, ამ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელი ძალიან დაბალ თანხად გაიყიდაო, მორჩა, შესაბამისი დასკვნის გამოტანა არ უჭირთ.

როცა ჩვენი ეროვნული გუნდის წევრი გროშებად გასხვისდება, მას ჩვეულებრივ ფეხბურთელად თვლიან, ჩვეულებრივი მოთამაშე კი ვის უნდა.

ძალიან მნიშვნელოვანია აგენტთა ინსტიტუტის როლი. ვფიქრობ, როგორც საჭიროა, ისე არ ვიყენებთ ფიფას ქართველი აგენტის — ილო კოკაიას შესაძლებლობებს. შემთხვევით ხალხს ვენდობით, მათ კი არა აქვთ საჭირო კავშირები და ცდილობენ, მესამეხარისხოვანი ქვეყნების კლუბებთან დაიჭირონ საქმე. არადა, აგენტზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მას შეუძლია, საკმაოდ აწიოს ფეხბურთელის ფასი. თუმცა ამ საკითხში გადამწყვეტი მწვრთნელის სიტყვაა. მოთამაშის სრულყოფილი მომზადება გადამწყვეტი ფაქტორია.

**— ევროსარბიელზე წარმატებული გამოსვლით არც რამდენიმე წლის უკან გამოვირჩეოდით, მაგრამ ასეთი სიტუაცია არ იყო.**

— მაშინ იმიჯი არ გვქონდა შელახული. ვისაც ვხვდებოდი უცნოეთში, ყველა აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის უზარმაზარი სივრციდან მხოლოდ უკრაინის და საქართველოს წარმომადგენლებმა მოიპოვეს ევროპის თასების მფლობელთა თასი. აქედან გამომდინარე, საქართველოს საფეხბურთო ქვეყნად იხსენიებდნენ, ტალანტების სამჭედლოდ მიაჩნდათ. ეს მსოფლიოს გრანდებმაც იცოდნენ.

მერე კი შრომითა და ოფლით მონაპოვარი ქარს გავატანეთ. ახლაც ვაუფასურებთ იმას, რაც წლების განმავლობაში შევქმენით. მე მესმის გაუსაძლისი ყოფისგან შეწუხებული ფეხბურთელების. ყველას აქედან გაქცევა სურს. ამიტომ კლუბების პრეზიდენტებმა ელემენტარული პირობები უნდა შეუქმნენ მათ და მერე გამოიყენონ კანონით მინიჭებული უფლებანი. ყველა მოთამაშეს გუნდთან კონტრაქტი აკავშირებს და მისი პუნქტები არ უნდა დაირღვას. ჩვენში ბოსმანის წესი არ მოქმედებს, შესაბამისად ფეხბურთელი ვერ მოითხოვს წასვლას, სანამ კლუბი საკომპენსაციო თანხას არ მიიღებს.

კიევის „დინამოს“ მაგალითი ავიღოთ. განსწავლულმა სპეციალისტმა ვალერი ლობანოვსკიმ გუნდის ხელმძღვანელობის დახმარებით მანამ არ გაუშვა შევჩენკო, ვიდრე მის ფასი 25 მილიონ დოლარამდე არ ასწია. ამასობაში მისი შემცველელის ძიებაში იყვნენ. რამდენი კანდიდატურა განიხილეს? შაცკიხი, სერებრიანიკოვი, ლაპარაკი იყო დემეტრაძეზეც. თუმცა „დინამოს“ და უკრაინის ნაკრებს შთამბეჭდავი შედეგები რომ არ ჰბონოდათ, შევჩენკოს ფასი ვერ აეწეოდა. ეს უკვე მაღალ პროფესიონალიზმზე მიუთითებს. ცნობილი ექსპერტები წლების მანძილზე ახდენენ დაკვირვებას.

**— როგორი ფეხბურთელების მოთხოვნილებაა ბაზარზე და როგორ აფასებენ მათ?**

— პირველ რიგში ახალგაზრდები აინტერესებთ. ჩვენნაირი ქვეყნებიდან ისეთ ფეხბურთელებს ეტანებიან, რომლებიც რარსასურველი პირობების გამო საჭირო კონდიციებს ვერ აღწევენ. მიჰყავთ ისინი და ადგილზე უქმნიან იდეალურ პირობებს. მომგებიანი კი, რა თქმა უნდა, მზა პროდუქციის ბაზარზე გატანაა, მაგრამ ჩვენ ვერ ვახერხებთ სათანადო მომზადებას. განვითარებადი ქვეყნები მეტწილად ნედლეულით ვაჭრობენ.

მოთხოვნები უფრო თავდამსხმელებსა და გამთამაშებლებზეა. ყველანაირი სტატისტიკური მონაცემის გათვალისწინებით აქვთ ჩამოყალიბებული შეხედულება, როგორი უნდა იყოს ამა თუ იმ ამპლუის მოთამაშე. ცენტრალური მცველის სიმაღლეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ისევე როგორც ფორვარდის გოლის ალღოს და სხვა.

არ დამავიწყდება, უცხოელი ექსპერტები ერთი ჩვენებური თავდამსხმელით დაინტერესდნენ და მის თაობაზე დეტალურად მეკითხებოდნენ — როგორ თამაშობს თავით? მარცხენა ფეხით? როგორია დაცვაში? ის ბიჭი კი სამივე კომპონენტში მოისუსტებდა. სამი ნაკლი კი ფეხბურთელის ფასს საგრძნობლად ამცირებს.

მოთამაშის მონაცემები ვიზუალურად არ იზომება. ეს მთელი ხელოვნებაა. ყველაფრის დათვლა ხდება. ფეხბურთი ძალიან განვითარდა. გარდა იმისა, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, თავდამსხმელს დაცვაც უნდა შეეძლოს, მცველს — შეტევაში თამაში და ასე შემდეგ.

**— რა არის აუცილებელი ფეხბურთელის დონის სასურველ კონდიციამდე მიყვანისთვის?**

— ფეხბურთელის მომზადების დონეს ოთხი რამ განსაზღვრავს — ტექნიკა, ფიზიკური, ტაქტიკური და გონებრივ-ფსიქოლოგიური ფაქტორი. თითოეულს ცალცალკე გაშიფვრა სჭირდება.

აზრი იმის შესახებ, რომ ქართველები სხვებზე მეტად ტექნიკურები არიან, საკმაოდ მოძველდა და მხოლოდ წარმოდგენის დონეზე დარჩა. თანამედროვე ფეხბურთი მჭიდრო და ძალისმიერი გახდა. ბურთის არც კენწვლას გაცლის ვინმე და არც ადგილზე თავისუფლად მოქმედებას. ყველა პრესინგს თამაშობს და ამ დროს ტექნიკის გამოვლენა გაცილებით რთულია. ანალიზი აჩვენებს, რომ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომელთაც ნაკლებტექნიკურებს ვეძახდით, მჭიდრო თამაშის დროს უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე ჩვენებურები. სისწრაფეშია ყველაფრის გაკეთება საჭირო.

ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით როგორი მდგომარეობაც გვაქვს, კარგად იცით. ეს კომპონენტი მრავალ სახეობაში ვარჯიშისგან შედგება. გარდა იმისა, რომ ჩვენში ფიზიკურ მომზადებას სათანადო ყურადღება არ ეთმობა, პირობებიც არ არის. ფეხბურთელისთვის მაღალი დატვირთვები აუცილებელია. ამის შემდეგ კი კარგი, ანუ საჭირო და სწორი კვება, აღდგენითი საშუალებები. ხშირად ყოფილა, ფეხბურთელი მოსულა ჩემთან და რომ მიკითხავს, მთელი დღის განმავლობაში რა ჭამა, ერთი ჭიქა ჩაიო, უპასუხია. ასეთ დროს რა დატვირთვებზე შეიძლება ლაპარაკი? საჭირო ინვენტარის უქონლობაზე აღარაფერს ვამბობ. ზოგი მწვრთნელი ფიზიკური მომზადების საქმეში კროსს იგნორირებას უკეთებს. მას რომ ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს იმის შესახებ, მატჩის დროს რა მანძილს გარბის ფეხბურთელი, რამდენ ხანს ფლობს ბურთს, რა დროის განმავლობაშია უბურთოდ, რამდენს იბრძვის, მაშინ ამ საკითხს სხვაგვარად მიუდგება.

ტაქტიკის თვალსაზრისით საქართველოში სიბნელეა. ფეხბურთელი ბავშვობიდანვე უნდა სწავლობდეს ინდივიდუალური, ჯგუფური, გუნდური ტაქტიკის ელემენტებს. ჩვენში კი ისეთი მოთამაშეები მოდიან პირველი ლიგის გუნდებში, რომელთაც წარმოდგენაც არ აქვთ ტაქტიკურ მონახაზებზე. ესე იგი თუ შენი ფეხბურთელი ტექნიკურად, ფიზიკურად და ტაქტიკურად არაა მომზადებული, რომელ ფსიქოლოგიაზე შეიძლება საუბარი? ამდენი ნაკლოვანებების მქონე მოთამაშე შეიძლება მართლაც იყოს ტალანტი, მაგრამ მას სოლიდური ფასი არასდროს ექნება, რადგან ევროპულ კლუბებში ყველა კომპონენტში სიძლიერეს ითხოვენ.

**— თავადაც არაერთხელ აღნიშნეთ, რომ ჩვენში არანაირი პირობები არ არსებობს. გამოდის, ყველაფერს ისევ ეკონომიკასთან მივყავართ.**

— იცით, მე არ დამავიწყდება ცხონებული ნოდარ ახალკაცის სიტყვები — არ შეიძლება ჩვენ დაველოდით იმ დროს, როცა ყველაფერი იდეალურად იქნება. ჩვენ უმოკლესი გზა უნდა მოვძებნოთ.

საფეხბურთო მსოფლიომ ძალიან გაგვასწრო და ამ მანძილის შესამცირებელი უმოკლესი გზები მართლაც არსებობს. რეალური ყოფის მიზეზი მარტო ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონე არაა. ყველაფრის თავიდათავი ისაა, რომ არა გვყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და ბავშვთა ფეხბურთიც არ არის სათანადო დონეზე. ძალიან დიდი შრომაა საჭირო. ახალკაცი ზამთარში გაყინულ კაბინეტში დილიდან გვიან ღამემდე იჯდა და მუშაობდა. მას შეეძლო იმ შენობის გარემონტება, მაგრამ თანხებს ისევ და ისევ ფეხბურთს ახმარდა, ნაკრებებს შეკრებებსა და ფორმებს არ აკლებდა. დიდ ყურადღებას უთმობდა რეგიონებში ფეხბურთის განვითარებას. ჩვენ კი ტალანტების სამჭედლოდ ცნობილ ორ რაიონს — გურიასა და სამეგრელოს შეველიეთ. მართალია, ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ „გურიაც“ და „ოდიშიც“ უნდა შეგვენარჩუნებინა პირველ ლიგაში. გუნდების 12-მდე დაყვანა საქმეს ვერ უშველის, რადგან მათ შორისაც იქნებიან ისეთები ფინანსურად რომ ვერ უზრუნველყოფენ თავს. ერთი ნიჭიერი ფეხბურთელიც რომ გაიზარდოს ამა თუ იმ რეგიონში, თუნდაც მაგისთვის ღირს, რომ მისი გუნდი პირველ ლიგაში გამოდიოდეს... ხალხს ერთადერთ გასართობად ფეხბურთიღა შემორჩა და ეს სიამოვნება მაინც შევუნარჩუნოთ.

**— დაბოლოს, გიორგი ქინქლაძის ფენომენზეც მინდა გკითხოთ.**

— თავის დროზე ნოდარ ახალკაცმა ქინქლაძეზე თქვა, ამ ბიჭს გაუფრთხილდითო. არ დამავიწყდება ჩემი ინგლისელი მეგობრის ჰოვარდ ვილკინსონის სიტყვები — ჩვენ გვჭირდება ისეთი ფეხბურთელები, როგორიც ქინქლაძეა.

მე ვთვლი, რომ გიორგი ქინქლაძე არის ამ თაობის უნიჭიერესი და უძლიერესი ფეხბურთელი. ის აუცილებლად იტყვის თავის სიტყვას არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს ფეხბურთში. ამ დღის დადგომამდე არც ისე შორია.

იცით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ფეხბურთელისთვის სწორი პოზიციის შერჩევას. ქინქლაძის შემთხვევაში მწვრთნელის საფეხბურთო მსოფლმხედველობასა და კვალიფიკაციას ვერანაირ გამართლებას ვერ ვუძებნი. გიორგის მარცხენა ჰავბეკად გამწესება უტოპიაა. იგი სუფთა პლეიმეიკერია. რა თქმა უნდა, ფეხბურთელს ყველაფერში როდი ვამართლებ, მაგრამ ქვას მაინც ვოუტერსისა და ოლსენის ბოსტანში ვისვრი.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სათამაშო სტილს. არიან ფეხბურთელები, რომლებიც ყველა ქვეყნის ჩემპიონატში ერთნაირი სიძლიერით ვერ თამაშობენ. ინგლისი გიორგი ქინქლაძისთვის საუკეთესო ვარიანტად მიმაჩნია, თუმცა დარწმუნებული ვარ, არც იტალიისა და ესპანეთში დაიკარგება...

**ხვიჩა სანიკიძე**

# ახალი კაპიტანი ძველია

კაპიტანი — გაიგებ ამ სიტყვას და გონებაში ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები წამოტივტივდებიან. ჩემს თაობას ორი დიდი კაპიტანი ახსოვს, ორი დიდებული დინამოელი — წაუქცეველი მანუჩარ მაჩაიძე და ელეგანტურად მოთამაშე ალექსანდრე ჩივაძე. გაცილებით მრავლისმნახველ თაობას დაეკითხები და ბორის პაიჭაძის, შოთა იამანიძისა და მურთაზ ხურცილავას ეპოქებს დაგიხატავენ.

კაპიტანი მარტო კარგად მოთამაშე როდია, იგი მთელი გუნდის იმედია მინდორზე. თანაგუნდელები ენდობიან კაპიტანს, პატივისცემის გრძნობით შეჰყურებენ და სწამთ მისი.

დიდი კაპიტნები თუ არიან ახლა? მსოფლიო ფეხბურთში ასეთებს რა გამოლევს, მაგრამ ჩვენში რა მოგახსენოთ. დიდი გუნდი არა გვყავს და დიდი კაპიტანიც ჯერაც არ ჩანს. ახლა არიან უბრალოდ კაპიტნები.

თბილისის „დინამოში“ გუშინ ოფიციალურად აირჩიეს ახალი კაპიტანი — რატი ალექსიძე მურთაზ ხურცილავას მწვრთნელობის დროსაც ატარებდა სამკლაურს.

მოვიდა იოჰან ბოსკამპი და ჰოლანდიელმა გუნდის გაძღოლა გივი დიდავას მიანდო.

„დინამოს“ ახლა ოთარ კორღალიძე წვრთნის, ალექსიძის კანდიდატურაც ახალმა მწვრთნელმა წამოაყენა:

— გადაწყვეტილება ორი დღის წინ მივიღე გუნდთან შეთანხმებით. საწინაალმდეგო არავის არაფერი ჰქონია, გივი დიდავაც გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მე მას ყველაფერი ავუხსენი და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონია. „არსენალთან“ დღევანდელ მატჩში გუნდს რატი გაუძღვება.

რატი ალექსიძე, საქართველოს მეათე ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ეროვნული გუნდის წევრი. მას შეუძლია, იყოს ლიდერი. იგი თანაგუნდელებში პატივისცემით სარგებლობს და ვნახოთ, როგორ წაადგება მისი კაპიტნობა „დინამოს“.

**მამუკა კვანტალიანი**



რატი ალექსიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ კოპალეიშვილი

# თურქეთში ფავორიტებს ელიან

შავი ზღვის აუზში შემავალი ქვეყნების ჩამოთვლას ნამდვილად არ ვაპირებ. ერთს კი გეტყვით, რომ მათ შორის ერთ-ერთი თურქეთიცაა. ისიც ცნობილია რომ, სპორტი ერთიორად აკავშირებს და ამეგობრებს სხვადასხვა ქვეყნის შვილებს. თურქებმა სულ ახლახან მიწისძვრა კი გადაიტანეს, მაგრამ საერთაშორისო სპორტული ღონისძიებებისთვის მაინც მოიცალეს — 6-დან 13 სექტემბრამდე ოლიმპიურ დღეებს უმასპინძლებენ. მართალია, „ვიწრო წრეში“, მაგრამ...

მერე რა, რომ ჩვენთან ზღვას დროგამოშვებით ნავთობსაც გამოვურევთ ხოლმე, მთავარი ის არის, რომ შავი ზღვის აუზში შემავალ ქვეყანათა შორის ჩვენც მოვიხსენიებით. ჰოდა, ვითომ რატომ არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა სასექტემბრო ოლიმპიურ დღეებში?

ზუსტად ვერ გეტყვით, სპორტის რამდენ სახეობაში ეყოლება წარმომადგენელი ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ერთს დარწმუნებით მოგახსენებთ, „თურქულ დღეებში“ ჩვენი ფეხბურთელები — საქართველოს თვრამეტწლამდელები მიიღებენ მონაწილეობას. რასაკვირველია, საქართველოს ნაკრებს ვახტანგ კოპალეიშვილი უთავკაცებს. ფეხბურთელთა ტურნირში რვა ნაკრები ჩაერთვება. ისინი ორ ჯგუფად დაიყოფიან. პირველში ქართველებთან ერთად მასპინძლები, უკრაინელები და თურქები იასპარეზებენ. ფეხბურთელთა ტურნირი 8 სექტემბერს დაიწყება და ჩვენებურებიც პირველ შეხვედრას ამ დღეს გამართავენ.

ქართველები თურქეთში ექვს სექტემბერს გაემგზავრებიან და მომდევნო დღეს ივარჯიშებენ კიდეც. ეგ არის, ამ ვარჯიშზე რამდენიმე წამყვან მოთამაშეს მოისაკლისებენ, რადგან ეს ფეხბურთელები (მათი ვინაობა ჩვენთვის ჯერ არ არის ცნობილი) მურთაზ ხურცილავას განკარგულებაში იქნებიან და სლოვენიელებს დაუპირისპირდებიან ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში, თუმც მოგვიანებით თანაგუნდელებს მაინც შეუერთდებიან თურქეთში და ვინ იცის, იქნებ ორი წლის წინანდელი პორტუგალიური შედეგიც გაიმეორონ, მაშინ ხომ „კოპალას ბიჭები“ ოქროს მედლებით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ ახალგაზრდული თამაშებიდან.

თურქებიც გულს გვიმაგრებენ — მასპინძლებს ფეხბურთელთა ტურნირის ფავორიტებად გურჯები მიაჩნიათ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ფოცხვერიამ ბიშოვეცს თავი მაინც ვერ მოაწონა

„შახტარში“ ანატოლი ბიშოვეცის მისვლის შემდეგ ქართველმა ლეგიონერმა მიხეილ ფოცხვერიამ ძირითადში პირველად ითამაშა. ეს მოხდა ლუგანსკში „ზარიას“ წინააღმდეგ ამხანაგური მატჩისას.

ბიშოვეცმა ამხანაგური შეხვედრის გამართვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ფედერაციამ „შახტარის“ მონაწილეობით რამდენიმე მატჩი გადადო ეროვნული ნაკრების თამაშისა და ევროთასების გამო.

2000 მაყურებლის თვალწინ ფოცხვერიამ ძირითადში დაიწყო და მე-5 წუთზე შტოლცერსის პასით ნაღდი საგოლე შანსი ვერ გამოიყენა. შემდეგ „ზარიამ“ გააცუდა რამდენიმე მომენტი. 28-ე წუთზე კი „შახტარი“ კრივენცოვმა დააწინაურა.

მეორე გოლი მასპინძელთა კარში ფოცხვერიამ გაიტანა. მან ამჯერად მოახერხა შტოლცერსის გადაცემის გამოყენება.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო (57-ე წუთზე), როცა ბოშოვეცმა ფოცხვერია მაციუკით შეცვალა. მატჩი კი საბოლოოდ „შახტარმა“ 4:2 მოიგო.

შეხვედრის შემდეგ ბიშოვეცმა უკმაყოფილება გამოთქვა ფედერაციისა და ნაწილობრივ „შახტარის“ მოქმედებით. ფოცხვერიას თამაშით მედიაც უკმაყოფილო დარჩა.

„შახტარმა“ ლუგანსკში ასეთ შემადგენლობით ითამაშა: *ვირტი (შეტკოვი 46), ჩიჟევსკი, სტაროსტიაკი (კრიპაკი 46), ბენო (გლევეცკარი 50), შალავე, სელეზნიოვი, ორბუ, ბახარევი, ფოცხვერია (მაციუკი 57), კრივენცოვი, შტოლცერსი (მატვეევი 46).*

**სიმონ მენაბდე**

# ო, რიო, რიო...

ბოლო დროს ევროპამ ფართოდ გაუღო კარები სწავლა-გამოცდილების მიღებას მოწყურებულ ქართველ მწვრთნელებს. წლეულს იტალიური კოვერჩანო ორჯერ მასპინძლობდა ჩვენებურებს. სექტემბრიდან ქართველ მწვრთნელთა ჯგუფი ჰოლანდიაშიც გაემგზავრება ლექცია-სემინარების მოსასმენად. ბებერ კონტინენტს, არც სამხრეთ ამერიკა ჩამორჩა... ფაქტობრივად გადაწყვეტილი ამბავია, ბრაზილიელები 1-დან 25 ნოემბრამდე რვა ქართველ მწვრთნელს, რიო დე ჟანეიროში იწვევენ მწვრთნელთა უმაღლეს კურსებზე დასასწრებად.

ქართველ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების თაობაზე, სფფ მოლაპარაკებას აწარმოებდა ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციასთან და, როგორც ჩანს, ყოველივემ სასურველი შედეგიც გამოიღო.

სანოემბრო კურსები ფასიანია (მის ხარჯებს, ბუნებრივია, სფფ გაიღებს), და მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ მწვრთნელები ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციისაგან საგანგებო ლიცენზიებს მიიღებენ.

**პაატა ქვანტალიანი**

# ვარჯიშობენ და ვერ თამაშობენ

XI ჩემპიონატისთვის ფოთის „კოლხეთმა“ ორი ლეგიონერი — მეკარე ზურაბ ქვაჩახია და ნახევარმცველი გელა ფანჩულიძე დაიბრუნა. მაგრამ რად გინდა, მათ თამაშის უფლება ჯერ არა აქვთ. საქმე ის გახლავთ, რომ ქვაჩახიასა და ფანჩულიძის ყოფილმა კლუბებმა, სარატოვის „სოკოლმა“ და თელ ავივის „ბნეი იეჰუდამ“, ვერა და ვერ მოახერხეს სატრანსფერო ფურცლის დროულად გამოგზავნა. ორივე კლუბმა პირობა მისცა ფეხბურთელებს, ნუ გეშინიათ, არანაირი პრობლემა არ გექნებათ, გუნდიდან თავისუფალი ხართო, მაგრამ...

სწორედ ამ საკითხის მოგვარებას ცდილობს „კოლხეთის“ აღმასრულებელი დირექტორი ვახტანგ ხაინდრავა. „სარბიელიც“ მას დაუკავშირდა:

— ქვაჩახიას და ფანჩულიძის ყოფილმა კლუბებმა პრობლემა შეგვიქმნეს, ფაქტობრივად, სიტყვა გატეხეს. ჩვენც რა გზა გვაქვს, ველით სატრანსფერო ფურცლის გამოგზავნას. ვიმედოვნებთ, რომ ორივე ფეხბურთელის საქმე დროულად მოგვარდება, თორემ რა გამოდის — ისინი გუნდთან ერთად ვარჯიშობენ, მაგრამ ვერ თამაშობენ.

ამას წინათ ფეხბურთის ფედერაციაში თავად გავხდი მოწმე, როგორ შესთავაზა ვახტანგ ხაინდრავამ თავის ლოკომოტიველ კოლეგა ედიკ სანაიას, თუ გსურთ, ქვაჩახიას გათხოვებთო. ბატონ ვახოს ამის თაობაზეც ვკითხეთ:

— მას მერე, „ლოკომოტივი“ არ შეგვხმიანებია. ლაპარაკი ლაპარაკადვე დარჩა. ახლა მათ მეკარეც დაიბრუნეს და...

ჩემპიონატის პირველ ტურში ფოთელებმა სეხნია ხობელებთან სენსაციური მარცხი იწვნიეს. როგორ? — ხაინდრავა ამბობს, წაგების მიზეზი ზედმეტი თავდაჯერებაა. სხვათა შორის, ამ აზრს ფოთელთა მწვრთნელხელმძღვანელებიც იზიარებენ.

...და მაინც, არ იყო გამორიცხული, ქვაჩახიას და ფანჩულიძის ტრანსფერის საქმე გუშინ გვიანაც მოგვარებულიყო. თუ ეს ასე მოხდა და მწვრთნელმა გია ტყებუჩავამაც ინება, ვინ იცის, ეგებ ფეხბურთელებმა დღესვე მოიწყონ ხელახალი დებიუტი „კოლხეთში“.



გელა ფანჩულიძე

დღეს ხომ „კოლხეთი“ ჩემპიონატის მეორე ტურში, „ფაზისზე“, რუსთავის „გორდას“ მასპინძლობს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# სომხებმა პირობა შეასრულეს

*23 ივნისს თბილისს სომხური „ერევანი“ ეწვია. მაშინ ჩვენი მეზობლები ბოსკამპის „დინამოს“ ამხანაგურად გაეჯიბრნენ. ის თამაში ფრედ, 0:0 დამთავრდა. სამშობლოში დაბრუნებისას სომხებმა ქართველ ფეხბურთელთა გუნდში აყვანა მოისურვეს, წლეულს უეფას თასზე ვთამაშობთ და ურიგო ნამდვილად არ იქნება, თუ თქვენებურნი გუნდს გაგვიძლიერებენო. ქართული ფეხბურთის სპეციალისტებიც დაფაცურდნენ, მიდგნენ, მოდგნენ, ხუთი ქართველი შეარჩიეს და საქმეც გაიჩარხა. პირობა პირობა იყო, ქართველები „ერევანს“ უეფაზეც უნდა წაშველებოდნენ. „ერევანი“ სამშობლოში გაემგზავრა, ორიოდ დღეში კი კლუბს — ელდარ გვასალიამ, მამუკა აფციაურმა, კახა გოგოლაძემ, პაატა გამცემლიძემ და დიმიტრი პარამონოვმა ჩააკითხეს. ხუთეულიდან მხოლოდ პარამონოვი მობრუნდა. ამასობაში კი „ერევანმა“ უეფას თასის შესარჩევი პირველი მატჩი ითამაშა. „რაზდანზე“ თელავივის „ჰაპოელმა“ 2:0 მოიგო და ფაქტობრივად დაიბევა ოცდამეთორმეტედფინალში თამაშის უფლება. 26 აგვისტოს ისრაელში საპასუხო მატჩია.*

*გუშინ ელდარ გვასალიას დავუკავშირდით ერევანში. ბუნებრივია, გვაინტერესებდა, რატომ მაინცდამაინც სომხეთი, თან „ერევანი“ აირჩია.*

— ჩვენს მიერ წაყენებული პირობები მათთვის მისაღები აღმოჩნდა, თავიდანვე შევთანხმდით, მათ ორი თვის მანძილზე შევეშველებოდით, ამაში, რა თქმა უნდა, უეფას თასზე თამაშიც იგულისხმებოდა.

**— თქვი, ჩვენს მიერ წაყენებული პირობები მათთვის მისაღები აღმოჩნდაო, კმაყოფილნი ხართ?**

— კი, ჩავედით თუ არა, მეორე დღესვე რასაც შეგვპირდნენ, შეგვისრულეს. რაც შეეხება ჩემპიონატის დონეს, რაც საქართველოშია, ისაა აქაც. განსხვავება ფაქტობრივად არ არის.

**— მგონი, „ერევანში“ ლეგიონერთა ნაკლებობა არ უნდა იგრძნობოდეს...**

— ასეა. თავიდანვე მარტო ოთხნი ჩვენ ვიყავით. სულ ახლახან მამუკა აფციაური წამოვიდა. დავრჩით მე, გოგოლაძე და გამცემლიძე. 26-ში „ჰაპოელს“ უეფას თასზე საპასუხო მატჩს ვეთამაშებით და ჩვენც ჩამოვალთ, ყოველ შემთხვევაში, მე რომ დავბრუნდები, ვიცი. ჩვენს გარდა გუნდს რუსი მეკარე, აგრეთვე არგენტინელი და ფრანგი თავდამსხმელები ჰყავს. ერთი სიტყვით, კლუბი საკმაოდ შეძლებულია.



ელდარ გვასალია

**— უეფაზე „ჰაპოელს“ უკვე ეთამაშეთ და 0:2 წააგეთ...**

— ამ თამაშში, ალალად გეტყვი, დავითარსეთ. ორივე ბურთი ფაქტობრივად არაფრისგან გავუშვით. პირველი გოლი ებრაელებმა აშკარა თამაშგარედან გაგვიტანეს, მეორეც უცებ მოაყოლეს, ავირიეთ და... მერე კი ვუტევდით, მომენტებიც საკმაოდ გვქონდა, მაგრამ... ქართველებიდან მწვრთნელმა ძირითადში თავიდანვე მხოლოდ მე დამაყენა, ისიც მარჯვენა მცველად (იცინის), მეორეში გოგოლაძე და გამცემლიძე კი შემოვიდნენ, მაგრამ თამაში უკვე წაგებული იყო.

**— კარგი, ახლა ის მითხარი, ჩემპიონატში როგორ გაქვთ საქმე?**

— მეხუთე ადგილზე ვართ, ლიდერ „არარატს“ 15 ქულით ჩამოვრჩებით. ახლა ცოტა ხნით შესვენება გვაქვს. გუშინ ამხანაგურად შარშანდელ ჩემპიონ „ცემენტს“ ვეთამაშეთ და 1:0 მოვუგეთ.

**— ქართველთა სომხური მონაგარი როგორია?**

— სულ ექვსი მატჩი ვითამაშეთ, ორი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავამთავრეთ და სამი წავაგეთ. გოგოლაძემ ბომბარდირული თვისებები გამოავლინა და უკვე სამი ბურთიც გაიტანა, გამცემლიძის ანგარიშზე ერთი გოლია, მე კი ბედი არ მწყალობს. ფაქტობრივად, თანაგუნდელთა პასებით მომარაგება მევალება, აქეთ მარცხენა ფლანგიო, მისი მთლიანად კონტროლიო. რისი ბრალია, არ ვიცი, მაგრამ მთლიანად გუნდს უცნაურობა სჭირს, რამდენიც ვითამაშეთ, ყველა უნდა მოგვეგო, რომლებიც წასაგები არ იყო, ისინი წავაგეთ და სადაც განწირულები ვიყავით, მოვიგეთ. „არარატთან“ 0:1 წაგებულ მატჩში პენალტიც ვერ გავიტანეთ, მთელი თამაში ჩვენ ვუტევდით, ბოლოს კონტრშეტევაზე დაგვიჭირეს და ისიც გაგვიტანეს.

**— დაბოლოს, კმაყოფილნი ხართ სომხეთში თამაშით?**

— როგორც ფეხბურთელმა, დიდი ვერაფერი შევიძინე. უბრალოდ, სიტყვის ხალხი აღმოჩნდნენ. ხომ გითხარით, რაც მოვითხოვეთ, ყველაფერი უკლებლივ შეგვისრულეს. ახლა, 26-ში, ისრაელში მეორე მატჩსაც ვითამაშებ და იმავე დღეს საქართველოში დავბრუნდები. ნოსტალგია შემეპარა, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ. კი, ბიჭები ერთად ვიყავით, მაგრამ ძნელი ყოფილა, ოჯახს მოწყვეტილი რომ ხარ. იქნებ ჩვენთან ვითამაშო, თუმცა რაღაც კარგი ვარიანტები მაქვს, ჯერჯერობით არ მსურს გამხელა. თუ გამოვიდა, ხომ კარგი, თუ არა და...

**— ესე იგი, მოდიხარ(თ)...**

— კი, აბა, აქ ხომ არ დავრჩები.

**გიორგი ვაშაკიძე**

საქართველოს ჩემპიონატი

2 ტური

# პირველად თბილისში

აი, მეორე ტურიც მოსულა. ამ შაბათ-კვირას ბევრი რამ გაირკვევა, სწორედ ახლა უნდა გამოჩნდეს, ვის რა შეუძლია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მეორე ტური ყველას თავის ადგილზე დააყენებს.

შაბათ-კვირის ცენტრალური მატჩი ისევ „ბათუმს" და მის იტალიელ მწვრთნელ კარნევალეს უკავშირდება. ბათუმელები თბილისს ეწვევიან. იტალიელი პირველად ჩამობრძანდება საქართველოს დედაქალაქში, აქამდე იგი ქუთაისს არ გამოსცილებია.

როგორ დაუხვდებიან უცხოელ სტუმარს თბილისელები, რა ხასიათზე გააბრუნებენ უკან. აი, ეს არის საკითხავი.

ზღვისპირელთა ბანაკში ყველა ჯანზეა და მატჩისთვისაც გამალებით ემზადებიან. ტრავმებს არც დედაქალაქელები უჩივიან. ერთადერთი, რამაც შეიძლება ახალგაზრდა დებიუტანტებზე უარყოფითად იმოქმედოს, კლუბში მომხდარი ბოლოდროინდელი ცვლილებებია. თუმც მწვრთნელის შეცვლა მოულოდნელი არავისთვის ყოფილა, ბიჭებიც შეჩვეულები არიან რამაზ მუმლაძეს და არა მგონია, ამ პრობლემამ შეაწუხოთ.

„ბათუმი" გამარჯვებულის ფსიქოლოგიით ჩამოდის თბილისში. მათ ხომ ქვეყნის უცვლელი ჩემპიონი დაამარცხეს. ესეც დამატებითი სტიმული იქნება სტუმრებისთვის.

„თბილისმა" სასტარტო მღელვარება ბოლნისში დაძლია. დებიუტანტები სიურპრიზს დაგვპირდნენ და ურიგო თამაში არ უნდა გამოვიდეს.

მოკლედ, კვირას, ეროვნულზე, ჩემპიონობის მაძიებელი „ბათუმი" „თბილისის" დამარცხებას შეეცდება, იგივეს აპირებენ თბილისელებიც და ეს მატჩი იქნებ სულაც ფრედ დამთავრდეს.

ავლაბარში მეორე მატჩს ითამაშებს სტუმრად ქვეყნის ჩემპიონი „დინამო". იქაც საინტერესო ორთაბრძოლა უნდა გაჩაღდეს. პირველ ტურში განცდილი მარცხი, გუნდიდან წასული რამდენიმე ფეხბურთელი და ახალი მწვრთნელი — „დინამო" შაბათს მთლად დალაგებულ-დაწყობილი გუნდი ვერაფრით იქნება. არცაა გასაკვირი, ახალ მწვრთნელს მოვლენებში დეტალურად გასარკვევად დრო დასჭირდება.

ოთარ კორღალიძემ კარგად იცის, სად, ვის წინააღმდეგ მიჰყავს „დინამო". იგი ხომ „არსენალსაც" წვრთნიდა თავის დროზე. ავლაბრელთა ავანჩავანიც სხვაზე ნაკლებად როდი შეუსწავლია და ესეც დამატებითი პრივილეგიაა.

„დინამოს" ზედიზედ ორჯერ სადებიუტო მატჩი ეროვნულ ჩემპიონატში ჯერ არ წაუგია. საკმაოდ გალიზიანებული ჩემპიონები ბათუმური ჯავრის ამოყრას შეეცდებიან.

თავის მხრივ „არსენალიც" მადაზეა მოსული. როგორი საქმეა, „ლოკომოტივს" თითქმის წაგებული თამაში შეუტრიალა. რაიმეს დათმობას არც ახლა ვაპირებთ, გვიფრთხილდით, თქვენი ჩემპიონები უკან ატირებულები არ გავაბრუნოთო, ამბობენ.

ავლაბრულ მატჩს გარკვეული ინტრიგაც ახლავს. კორღალიძეს მთლად ნასიამოვნებს არ დაუტოვებია „არსენალი". იგი შეეცდება, მასპინძელი კლუბის თავკაცებს თავისი სიძლიერე დაუმტკიცოს. რაც შეეხება წინასამატჩო პროგნოზს, ჩვენი აზრით, „დინამომ" უნდა იმარჯვოს. ამის თქმის საფუძველს ორივე გუნდის დაკომპლექტების ხარისხი და მომზადების დონის შეჯერება გვაძლევს.



დღეს „ისანზე" რატი ალექსიძეს გოჩა ჩიქოვანი ვერ დაუხვდება, ვეტერანმა თამაშს თავი მიანება

მცხეთაში პირველ საშინაო მატჩს გამართავს პირველ ტურში გამარჯვებული „ვიტ ჯორჯია". ვეტერინარები დღესაც სამ ქულას და მოგებას გეგმავენ. მათ უკეთესი მომზადებისა და შინაური კედლების იმედიც აქვთ.

თუ ბოლნისური კლუბის დაკომპლექტებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, მაშინ ვნახავთ, რომ „სიონი" ურიგო გუნდი არ გახლავთ. გამოცდილი ფეხბურთელები და კარგი მომავლის იმედი. ეს არის ბოლნისელთა კოზირი. ნაკლად, მოთამაშეთა შედარებით სუსტ ფიზიკურ მომზადებას მივიჩნევთ, რომელიც არასახარბიელო თვისებებს განსაკუთრებით მატჩის მიწურულს გამოაჩენს ხოლმე.

უპირატესობა მასპინძლებს ენიჭებათ. ალბათ, საბოლოოდ ვეტერინარები დარჩებიან გამარჯვებულები. თუ ასე მოხდა, მაშინ ვიტელები ოთხეულში მოხვედრაზე სერიოზულ განაცხადს გააკეთებენ.

ბოლოს და ბოლოს, „ლოკომოტივმა" ხომ უნდა გატეხოს ნავსი, ხომ უნდა აჩვენოს საკადრისი თამაში. ამას დღესვე იხილავთ ეროვნულზე, თუ, რა თქმა უნდა, წყალტუბოელებმა მისცეს ამის საშუალება.

რატომღაც გვგონია, რომ რკინიგზელები ნაკლებად ფიქრობენ „სამგურალზე". ახლა მათი საზრუნავი „ლინფილდთან" საპასუხო მატჩი უფროა, მაგრამ ბელფასტში გამგზავრებამდე როგორ ჩაივლის გენერალური რეპეტიცია? დასკვნის გაკეთება, თუ რას უნდა ველოდეთ ბელფასტიდან, დღევანდელი მატჩის შემდეგ შეგვეძლება.

წყალტუბოელთა მარცხის შემთხვევაში იმერული კლუბი ძნელად დასაძლევ ვითარებაში აღმოჩნდება. ეს იცის ბურკაძემ და „ლოკომოტივს" შეაკვდება კიდეც, თუმცა ისიც ხომ ფაქტია, რომ ძალა აღმართს ხნავს. მურთაზ ხურცილავამაც, არა გვგონია, ზედიზედ გაიმეოროს შეცდომა და გუნდს მოდუნების უფლება მისცეს.

თბილისურ „მერანს" სამეგრელოში ადრეც არაერთხელ უთამაშია, თავიც უსახელებია, მაგრამ დღეს ხობში ძალიან გაუჭირდება. ავჭალელები ვერ თამაშობენ ადრინდელივით, არც შემსრულებლები შერჩენიათ მაინცდამაინც უნაკლონი.

„ხობი" კი, პირველი ტურის სენსაცია რომ გამოაცხო, უნდა მოვიგოო, იქადნება. მასპინძლები აქედანვე შეეცდებიან ქულათა მაქსიმუმის დაგროვებას, რათა მერე დამშვიდებულები იყვნენ, თორემ პრიზიორთა შორის მათ რომ ვერ ვიხილავთ, ფაქტია.

დავით ყიფიანის „ტორპედო" გულდამშვიდებული ელის გორის „დილას". ეს ის შემთხვევაა, როცა გამარჯვებული თითქმის წინასწარვეა ცნობილი. ქუთაისელები ყველანაირად სჯობნიან გორელებს და ქვეყანა უნდა დაიქცეს, რომ ვერ მოიგონ.

„დილას" თამაში რომ შეუძლია, ადრეც არაერთხელ დაუმტკიცებია, მაგრამ ახლა თითქოს შეგუებულია დამარცხებას. ქუთაისში განწირულები ვართო — გაიძახოდნენ გორელები ჯერ კიდევ თსუ-სთან მატჩის დაწყებამდე.

ისე, „დილა" სიურპრიზების მოყვარული გუნდია, სწორედ იქ გამოიჩენს ფხას და აფეთქდება [illegible] ვინ ელის.

იციან ეს ტორპედოელებმა [illegible] 0:3-იც კარგად ახსოვთ და არა გვგონია, ქართლელები ამხანაგურ 5:1-ს დააჯერონ.

ფოთის „კოლხეთი" ისეა გაცხარებულ-აფორიაქებული, რომ ან გაამწარებს „გორდას", ანაც თავად დარჩება გამწარებული. „ფაზისზე" ზედიზედ მეორე მარცხს კარგი ამბავი არ მოჰყვება. იციან ეს კოლხებმა, იცის ტყებუჩავამაც და რუსთაველებს ყველანაირად მობილიზებულნი ხვდებიან.

თავის მხრივ, „გორდა" გაიძახის, ხობელებმა თუ მოახერხეს და ფოთელებს საქვეყნოდ თავი მოჭრეს, არც ჩვენ ვართ ჯაბანნიო. სანერვიულოც ბევრი არაფერი აქვთ რუსთაველებს. საწევრო შესატანი გადახდილია. აწი მომავალ აგვისტომდე არა უჭირთ. ერთ წელიწადში კი ან ვირი მოკვდება, ანაც ვირის პატრონი. არც „კოლხეთთან" წაგებით გაასამართლებენ მკაცრად ალადაშვილის ბიჭებს და მიდიან რუსთაველები საპორტო ქალაქისკენ.

სამტრედიულ „იბერიას" ჯერ არაფერი უჭირს. ხვალ მცხეთის სტუმარი იქნება და ითამაშებს, მაგრამ მერე... უსტადიონოდ დარჩენილი გუნდი უქულოდაც რომ ვერ ივარგებს, ცხადია. ფრუიძემ ერთხელ დაამტკიცა, რომ მთლად ხელწამოსაკრავი გუნდი არა ჰყავს. სამტრედიელები მინდორზე თავდადებით იბრძვიან და მეტოქის გამწარებაც ძალუძთ, თუმცა „არმაზი" ნაღდად ვერაა „ეროვნული" და არც თსუ-ა „მერანი". თუ სტუდენტებმა „იბერიას" ვერ სძლიეს, მაშინ საკმარისი ქულების დაგროვება გაუჭირდებათ.

მამუკა ქვანტალიანი

| «ა» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 2 ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 არსენალი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 4 თბილისი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 ლოკომოტივი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 8 სამგურალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

| «ბ» ზონა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 ხობი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 3 მერანი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 4 თსუ | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 5 იბერია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 6 დილა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 8 გორდა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |

თბილისი. „ისანი" 21 აგვისტო. 18 საათი

## არსენალი — დინამო

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. სილაგავა (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

მცხეთა. „არმაზი". 21 აგვისტო. 18 საათი.

## ვიტ ჯორჯია — სიონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი), გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: ნ. კაკულია

თბილისი. „ეროვნული". 21 აგვისტო. 18 საათი

## ლოკომოტივი — სამგურალი

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); ო. ხეცაძე (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

ხობი. „კოლხეთი". 21 აგვისტო. 18 საათი

## ხობი — მერანი

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ზ. დოლიძე; ზ. ჯვარიძე (ორივე თბილისი); სფფ-ის დელეგატი: ჯ. თანანაშვილი

ქუთაისი. „გივი კილაძე". 21 აგვისტო. 18 საათი

## ტორპედო — დილა

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი); თ. გიორგაძე (სამტრედია); სფფ-ის დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

ფოთი. „ფაზისი". 21 აგვისტო. 18 საათი

## კოლხეთი — გორდა

მსაჯები: ა. მეშკოვი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი); სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

თბილისი. „ეროვნული". 22 აგვისტო. 18 საათი

## თბილისი — ბათუმი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. სამხარაძე (სოხუმი); სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

მცხეთა. „არმაზი". 22 აგვისტო. 18 საათი

## თსუ — იბერია

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში); სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

## გერმანია

# მგლების ხროვა ლევერკუზენში



პირველი ტური. ბაიერნი — ჰამბურგი 2:2. მიუნხენელი შოლი და ჰამბურგელი გრავესენი ბურთს ერთმანეთს ეცილებიან

„არმინია“ — „ჰერტასა“ და „უნტერჰახინგ“ — „დუისბურგის“ შეხვედრებით გერმანიის ბუნდესლიგის მეორე ტური დაიწყო; მაგრამ მთავარი შეხვედრა კვირას, ლევერკუზენში გაიმართება, სადაც „ბაიერი“ მიუნხენის „ბაიერნს“ უმასპინძლებს. რამდენადაც ცნობილია ბავარიელები ამ მატჩში ახალი შენაძენების, პაულუ სერჟიოსა და პარაგვაელი ყმაწვილკაცის, სანტა კრუზის გამოცდას აპირებენ.

ვიცე-ჩემპიონთან სტუმრობის წინ, პირველ ტურში, ჩემპიონმა „ჰამბურგთან“ შინ ითამაშა 2:2, რაც მისთვის ერთობ გულდასაწყვეტი შედეგი გახლდათ. მაგრამ წინ მთელი ჩემპიონატია, რომლის განმავლობაშიც კიდევ მრავალი ქულა დაიკარგება — ვგულისხმობთ, როგორც „ბაიერნის“ ასევე მისი კონკურენტების დაკარგულ ქულებს — ამიტომაც ჯობს პაულუ სერჟიოს დავუბრუნდეთ. ეს ბრაზილიელი ფეხბურთელი მიუნხენის კლუბში იტალიური „რომადან“ 15 მილიონ გერმანულ მარკად, ანუ 8,13 მილიონ დოლარად რომ გადავიდა, ერთი ხანობა საზარდულს ჰყავდა გაწამებული და ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ახლა აღდგენითი პროცესი დამთავრდა და პაულუ სერჟიო „ბაიერნის“ სამსახურში დგება.

გვარიანი თანხა, 10 მილიონი მარკა ანუ 5,42 მილიონი დოლარი გადაიხადეს ბავარიელებმა სანტა კრუზშიც, რომელსაც აგრეთვე შეეძლება მიუნხენური საბრძოლო ნათლობის მიღება.

მიმომხილველთა აზრით, გერმანიის ჩემპიონთა მწვრთნელი, ოტმარ ჰიცფელდი, ჯერჯერობით, უმთავრეს ამოცანად მოთამაშეთა თავდადების გაზრდას დაისახავს. საქმე ის გახლავთ, რომ ადრე „საფეხბურთო კლუბ ჰოლივუდად“ შერაცხულ „ბაიერნში“ ზოგიერთი წამყვანი მოთამაშე კვლავაც არ იშლის პრიმადონულ საქციელს.

ერთხელ ჰიცფელდმა თავისი ფეხბურთელები მგლების ხროვას შეადარა. ისინი ნიადაგ ხელფასების მომატებას ითხოვენ, არადა კლუბის პრეზიდენტმა, ფრანც ბეკენბაუერმა, ამ კომედიური სპექტაკლის დამთავრება მოითხოვა.

ლევერკუზენში „ბაიერნს“ კვლავ არ ეყოლება მეკარე ოლივერ კანი, რომელიც გასტრიტით დაავადდა და ჰოსპიტალში მკურნალობს. არ იქნება გამთამაშებელი შტეფან ეფენბერგიც — ფეხის ოპერაციის შემდეგ, მას დრო სჭირდება და ექიმების თქმით, რამდენიმე კვირის განმავლობაში კვლავ ტრიბუნიდან მოუწევს თანაგუნდელთა თამაშის ცქერა.

„ლევერკუზენი“, რომელმაც ბოლო სამი ჩემპიონატის შედეგების მიხედვით საპრიზო სამეულში დაიმკვიდრა ადგილი, ბუნებრივია, წლეულსაც ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს. ამის მიხვედრა ისედაც არავისთვის იყო ძნელი, მაგრამ ნახევარმცველ მიხაელ ბალაკისა (გუშინ ვარჯიშზე დაშავდა და ათ დღეს გამოტოვებს) და თავდამსხმელ ოლივერ ნოივილის ყიდვამ ვიცე-ჩემპიონთა განზრახვებს კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

ლევერკუზენელებს „ბაიერნთან“ თამაშის წინ დამატებითი საფიქრალი მაინც გამოუჩნდათ — ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა ხუთშაბათს გამართულ სხდომაზე „ბაიერის“ მცველს, ბორის ჟივკოვიჩს დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. მასთან ერთად დაისაჯა დორტმუნდის „ბორუსიას“ ნახევარმცველი სერგეი ბარბარესიც. ეს ფეხბურთელები პირველი ტურის შეხვედრებში გააძევეს მოედნიდან.

ჟივკოვიჩი, 23 წლის ხორვატი მოთამაშე, ბედს უნდა უმადლოდეს, რომ მხოლოდ „ბაიერნთან“ შეხვედრას ატოვებინებენ — მან „დუისბურგთან“ თამაშის ბოლო წუთში მეტოქე თავდამსხმელი, მარკუს ბაიერლე წააქცია, რისთვისაც წითელი ბარათი ალუმართეს.

უფრო მკაცრად, სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა 24 წლის ბოსნიელი ბარბარესი. მან „კაიზერსლაუტერნთან“ შეხვედრის დროს მსაჯს ულრიალა.

დორტმუნდელების დღევანდელი მოწინააღმდეგე გახლავთ „ვოლფსბურგი“. ამ შეხვედრაში, ჯერჯერობით, გაურკვევლად რჩება ვინ დაიცავს ვოლფსბურგელთა კარს. საქმე ის გახლავთ, რომ გუნდის მთავარი მეკარე, კლაუს რაიტმაიერი ყურის ინფექციამ სამკურნალო კაცად აქცია და მწვრთნელის, ვოლფგანგ ვოლფის განცხადებით, უშუალოდ მატჩის წინ უნდა გაირკვეს გოლკიპერის ვინაობა.

„ბორუსია“, 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ძველი დიდების დაბრუნების ცდაშია და საამისოდ სატრანსფერო სეზონში 50 მილიონი მარკა ანუ 27,09 მილიონი დოლარი დახარჯა.

ახლა დორტმუნდელთა გუნდს კიდევ ერთი საქმე დარჩა მოსაგვარებელი: გერმანიის ნაკრების ყოფილ ფეხბურთელებს, ანდრეას მიოლერსა და შტეფან როიტერს კლუბთან დადებული კონტრაქტების ვადა გაისად ეწურებათ, ასე რომ, მათ განახლებაზეა მოლაპარაკებები გასამართი.

ქართველ ფეხბურთელთა გერმანული სათვისტომო, „ფრაიბურგი“, კახი ცხადაძის ოდინდელ გუნდს, ფრანკფურტის „აინტრახტს“ მასპინძლობს. „აინტრახტი“ ფრაიბურგში ბულგარელი მცველის პეტერ ხუბჩევის გარეშე ითამაშებს, რადგან ხუბჩევს ფეხის თითის ოპერაციის შემდეგ მოშუშება სჭირდება. „ფრაიბურგს“ არ ეყოლება მცველი დანიელ შუმანი და თავდამსხმელები, უვე ვასმერი და მეჰდი ბენ სლიმანი.

**მიხეილ სურგულაძე**

# უკანმოუხედაობა — აი, პრინციპი

*ფაბიო კაპელო ფეხბურთში „რომას“ მწვრთნელად დაბრუნდა — ძრწოდე სერია A! კაპელო 1946 წლის 18 ივნისს დაიბადა. ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და უზარმაზარ წარმატებებს მიაღწია: 1992, 1993, 1994, 1995 — იტალიის ჩემპიონის ტიტული, 1996 — ევროპის ჩემპიონთა თასი, 1994 — ევროპის სუპერთასი, 1997 — ესპანეთის ჩემპიონი. ბოლო ტიტული მან მადრიდის „რეალს“ მოაპოვებინა, დანარჩენი ჯილდოები კი „მილანისაა“. ქვემოთ ფაბიო კაპელო რომაულ გეგმებზე საუბრობს.*



ფაბიო კაპელო

**— „მილანის“ მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ 18 თვე გავიდა. თქვენ ხან კარიბეთში იყავით, ხან მარბელაში და ბოლოს დასვენება „რომაში“ მისვლით დაასრულეთ. როგორ მოხდა ეს?**

— „რომას“ პრეზიდენტმა, ფრანკო სენსიმ 29 მაისს. საღამოს დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. შევხვდი მეორე დღეს, კვირას, მის ვილაზე. უნდა აღვნიშნო, რომ სენსისთან საქმის დაჭერა ერთობ სასიამოვნოა. იგი იმ ადამიანებს განეკუთვნება, რომელთაც ზუსტად იციან, რა სურთ. დღეს მისი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა „რომას“ წარმატებაა და ალბათ, სწორედ ამიტომ ამირჩია. მეოცნებე ხომ არ ვარ, პრაქტიკოსი გახლავართ. თანაც, „რომა“ ჩემთვის უცხო კლუბი არ არის და ამიტომაც სენსის ამბიციები უცებ გავითავისე. წელიწადნახევარი თამაშს გარეთ ვიყავი ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ ვნახე და შევისწავლე. ახლა, ერთი სული მაქვს საქმეს როდის დავიწყებ.

**— „რომას“ დიდი ცვლილებები ელის. გუნდმა ზდენეკ ზემანი ფაბიო კაპელოთი შეცვალა. თქვენ ხომ აბსოლუტურად სხვა შეხედულებები გაქვთ.**

— წარსულზე ლაპარაკს რა აზრი აქვს. სენსიმ მოქმედების სრული თავისუფლება მომანიჭა და მეც საქმეს შევუდექი. „რომა“ ჯერ კიდევ იმ დროიდან მიყვარს, როგორც ფეხბურთელს მისი მაისურა რომ მეცვა. მე მიყვარს რომი, მისი მაცხოვრებლები. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, აქედან არსად წავიდოდი, მაგრამ მაშინდელმა პრეზიდენტმა, მარკინიმ, „იუვენტუსში“ გამყიდა. თუმცა ეს უკვე ისტორიაა...

**— ზემანი ორი წლის განმავლობაში ცდილობდა „რომაში“ ევრეთწოდებული მხიარული ფეხბურთი დაენერგა, მაგრამ წარუმატებლობა ერგო. რა შეცდომა დაუშვა?**

— მოდით, ჯერ მხიარული ფეხბურთის რაობა დავადგინოთ. გუნდს, რომელიც ფიზიკურად და ტაქტიკურად ძლიერია, თანაც ბრაზილიურ ტექნიკას ფლობს, როცა, სადაც და ვისთანაც უნდა, იმასთან ითამაშებს მხიარულად. მაგრამ ეს იდეალური გუნდი იქნებოდა. მე თუ მკითხავთ, რეალურ პირობებში ყველაფერზე მაღლა შედეგი უნდა იდგეს. ვგონებ ამაში მხარს დამიჭერენ გულშემატკივრებიც და კლუბის პრეზიდენტიც. მთავარია გამარჯვება, დანარჩენს კი აზრი არ აქვს. ჰკითხეთ მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგებს, ბედნიერნი არიან, რომ მათი გუნდი ჩემპიონთა თასის ფინალში, დროის სამი მეოთხედის განმავლობაში მატჩის სადავეებს ფლობდა? როგორ გგონიათ რას გიპასუხებენ?

**— „რომას“ გულშემატკივარს რას ეტყოდით?**

— მე აქ შემთხვევით რაიმეს მოსაგებად არ მოვსულვარ, გაცილებით დიდი ამბიციები მაქვს და მინდა, რომ ფეხბურთელებმა ჩემს იდეებს პატივი სცენ. გულშემატკივარი კმაყოფილი დარჩება და თან, ვგონებ, მისი ენთუზიაზმი სეზონის განმავლობაში გაიზრდება. ყველამ იცის, რომ „რომას“ საუცხოო ქომაგები ჰყავს. სხვა კლუბებს შეუძლიათ შურით შეხედონ რომაელებს. ჩვენს ფანებს თავისუფლად შეგვიძლია მე-12 ფეხბურთელი ვუწოდოთ.

**— პრეზიდენტს რაღას დაპირდით?**

— უახლოესი მიზანი ჩემპიონთა ლიგაა. იქაური საგზურის უპრობლემოდ მოსაპოვებლად უნდა მოვემზადოთ, მაგრამ საამისოდ უნდა შეგვეძლოს ნებისმიერი ძლიერი და დიადი კლუბისთვის კონკურენციის გაწევა. მუხლები არ უნდა გვიკანკალებდეს. ჩვენს გუნდს ჩინებული ბირთვი ჰყავს — უამრავი მაღალი კლასის ფეხბურთელი. მე შემიძლია და მსურს დიდი გუნდის შექმნა. ისეთის, პირველი ტურიდან ბოლომდე რომ იბრძოლებს.

**— შვიდ წელიწადში ხუთი სკუდეტოს მომპოვებელმა, ბუნებრივია, გამარჯვების ფორმულა იცით. ხომ არ გაგვიზიარებდით?**

— ჩემი პრინციპი უკანმოუხედაობაა. რაც ადრე მოხდა, ისტორიას ჩაბარდა. ჩვენ ყველამ მხოლოდ ახალ სეზონზე უნდა ვიფიქროთ. ერთი სული მაქვს, სეზონის დაწყებამდე, განსაკუთრებით კი „ლაციოსთან“ დერბიმდე, კარიერაში ბევრ დერბიში მიმიღია მონაწილეობა. მილანური ყოველთვის უმაღლესი დონისაა, ტურინული ცოტა საშიში, მაგრამ ყველაზე ჟინიანი რომაული გახლავთ. ჩვენ „ლაციოს“ არაფრით ჩამოვუვარდებით, მაგრამ ერთში აშკარად უნდა ვაჯობოთ. ეს ერთი, გამარჯვების წყურვილია. „რომანისტებს“ გამარჯვებები მოენატრათ.

**— რას იტყოდით „რომას“ ფეხბურთელებზე?**

— ტოტი ფანტასტიკურია. ძალიან კარგები არიან ტომაზი, დი ფრანჩესკო, ზაგო, კაფუ და ალდაირი. მომწონს დელვეკიო, ხოლო მონტელა იდეალურ თავდამსხმელად მიმაჩნია.

**— როდესაც ზემანის განთავისუფლების შესახებ შეიტყო, ტოტი გაცოფდა. ეს ამბავი ხომ არ გაღელვებთ?**

— არა და არა. მიყვარს ალალი, პირში მთქმელი მოთამაშეები, რომლებიც საკუთარ მწვრთნელს პატივს სცემენ. სწორედ ასეთ ბიჭებთან მიადვილდება მუშაობა. თანაც ტოტი, აკი გითხარით, დღეისთვის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. როლი, რომელსაც გასულ სეზონში ასრულებდა, მგონი, მისთვის ზედგამოჭრილია — ნახევარდაცვაში, მარცხნივ, მოქმედებისა და იმპროვიზაციის სრული თავისუფლებით... ის გენიოსია, მჯერა, დიდებული სეზონი ელის, იქნებ კარიერაში საუკეთესოც.

**— რომელი ტაქტიკური სქემა მოგწონთ?**

— ერთი სისტემის მიმდევარი არ გახლავართ. სქემა ბევრი მაქვს: 3-4-3, 4-3-1-2 და სხვა. მთავარი იმ მოდელის შექმნაა, რომელშიც ფეხბურთელები თავს კომფორტულად იგრძნობენ და თავიანთ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენენ. სწორედ ამაზე ველაპარაკები ბიჭებს ძალიან ხშირად. ჩვენ გამარჯვების მომტანი სქემა უნდა შევარჩიოთ, ხოლო თუ ეს „მილანსა“ და „რეალში“ შევძელი, მაშ „რომაში“ რად ველარ უნდა შევძლო?

**„უორლდ სოკერიდან“**
**თარგმნა პაპუნა ბედიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

# არსენალი — მანჩესტერი ახალი რაკურსით



სამი კვირის წინ სუპერთასზე ხვალინდელი მეტოქეები არსენალელი პატრიკ ვიეირა და მანჩესტერელი ენდი კოული ასე უბღვერდნენ ერთმანეთს

ინგლისურმა პრემიერლიგამ მთავარი თამაშის ხილვა ძალიან ადრე მოიწადინა: კვირას ლონდონში, „ჰაიბერიზე“, ვიცე-ჩემპიონი, „არსენალი“, ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ხვდება. არაა გამორიცხული, რომ ამ მატჩის შედეგმა ჩემპიონატის დარჩენილ რვა თვეზე დიდი გავლენა იქონიოს.

სამი ტურის შემდეგ ორივე გუნდი დაუმარცხებელია და „ასტონ ვილასთან“ ერთად 7 ქულით ლიდერობს გათამაშების ცხრილს. უფრო ზუსტად, „მანჩესტერ იუნაიტედი“ პირველზეა, „ასტონ ვილა“ მეორეზე, „არსენალი“ კი მესამეზე, მაგრამ განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ გატანილი და გაშვებული გოლების სხვაობა გახლავთ.

რთული მატჩი ელის „ვილასაც“, იგი ჩემპიონის ტიტულის კიდევ ერთ მაძიებელთან, „ჩელსისთან“ სათამაშოდ მიდის ლონდონში, „სტემფორდ ბრიჯზე“.

მაგრამ, დავუბრუნდეთ მთავართა შორის მთავარ შეხვედრას. გასულ სეზონში, ინგლისის სუპერთასზე „არსენალმა“ ერთობ მოულოდნელი ანგარიშით, 3:0 დაამარცხა „იუნაიტედი“ და შემდეგ, უკვე ჩემპიონატის მატჩში, „ჰაიბერიზე“, ზუსტად იგივე გაიმეორა. ძნელი სათქმელია ვის როგორ ენიშნება, მაგრამ წლეულს, სუპერთასი ისევ „არსენალმა“ მოიგო 2:1... ეჭვი არაა, ლონდონელები ასეთ კანონზომიერებაზე თანახმანი არიან.

„არსენალში“ ძირითადი მეკარის, დევიდ სიმენისა და ჰოლანდიელი გარემარბის, მარკ ოვერმარსის დაბრუნებაა მოსალოდნელი, თუმცა დანაკლისიც სერიოზულია: ვერ ითამაშებენ ფრანგი ნახევარმცველი ემანუელ პეტი და ცენტრალური მცველი ტონი ადამსი, ხოლო ჰოლანდიელი თავდამსხმელის დენის ბერხკამპის მოედანზე ყოფნა-არყოფნა ერთობ საეჭვოა.

„იუნაიტედს“ ტრავმები ძირითადად დაცვაში აწუხებს — არ იქნებიან გარი ნევილი, უეს ბრაუნი, დევიდ მეი და რონი იონსენი. ექიმებთან დარბის იაპ სტამი, ხოლო მცველთა ზურგსუკან ავსტრალიელი მარკ ბოსნიჩი ვერ დაიცავს ჩემპიონთა კარს.

ამ შეხვედრისადმი დიდი ინტერესის გათვალისწინებით კომერციულმა ტელეკომპანია BSKyB-მ გულშემატკივარს ახლებური სერვისი შესთავაზა: მაყურებელს შეეძლება თამაშის მსვლელობის დროს შეცვალოს კუთხე თუ რაკურსი, რომლიდანაც თვალს ადევნებდა მას. გარდა ამისა მაყურებელს საინტერესო მომენტთა გამეორების გაუმჯობესებული პირობები შეექმნება.

SKY-ს წარმომადგენელთა განცხადებით ასეთი მომსახურეობა ჯერ არასდროს არავის ჰქონია, ასე რომ, ტელეტრანსლაციათა უნიკალური სიახლე სწორედ „არსენალ“-„მანჩესტერის“ თამაშის დროს დაიდებს სათავეს. აღსანიშნავია, რომ მრავალარხიან ციფრულ სერვისს გასულ წელს 1,2 მილიონი აბონენტი ჰყავდა.

მაშ ასე, ხვალ, SKY-ს აბონენტ ინგლისელ ქომაგს საშუალება ექნება დისტანციური მართვის პულტის საშუალებით უცბათ შეცვალოს რაკურსი და ეპიზოდის ცქერა კარის უკნიდან განაგრძოს. დანარჩენი რაკურსები დროთა განმავლობაში დაემატება. როგორც მოგახსენეთ, მაყურებელი აგრეთვე შეძლებს თავად გაიმეოროს სახიფათო მომენტი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო გამოსტოვა. ცხადია, იქნება სტატისტიკის სექტორიც და ეპიზოდის იმწამსვე გამეორების სერვისიც.

სანამ SKY-ს აბონენტები ტექნოლოგიური სიახლით შეიქცევენ თავს, „სტემფორდ ბრიჯზე“ „ჩელსი“ და „ასტონ ვილა“ დიდ ბრძოლას გაუმართავენ ერთმანეთს. მოსალოდნელია, რომ მასპინძელთა სათადარიგო სკამზე გამოჩნდება „ჩელსის“ ახალი, 5 მილიონ დოლარიანი შენაძენი, გაბრიელე ამბროზეტი. ამ იტალიელ თავდამსხმელზე, რომელმაც ლონდონში „ვიჩენცადან“ ამოჰყო თავი, „სტემფორდ ბრიჯის“ ბოსი, ჯანლუკა ვიალი, უდიდეს იმედებს ამყარებს. ინგლისელთათვის გასაგები რომ ყოფილიყო, ვიალიმ ამბროზეტის ახალი რაიან გიგზი უწოდა.

„სულაც არ მინდა გაბრიელე საგანგებო ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოვაქციო, მაგრამ ვგონებ იგი რაიან გიგზის იტალიური პასუხი გახლავთ“ — განაცხადა მწვრთნელმა, რომელმაც 26 წლის მოთამაშის ხელში ჩასაგდებად ექვსთვიანი გარჯა არ დაიზარა — „იგი ძალიან სწრაფია და კონტრშეტევებზე თამაშის საშუალებას მოგვცემს. ამბროზეტი კარგად აწოდებს მაღალ პასებს, ძალიან ტექნიკურია და კარშიც გამართულად არტყამს“.

„ასტონ ვილას“ შემადგენლობაში მოსალონდელია ლი ჰენდრის ხილვა, რადგან ჯორჯ ბოატენგმა „ქოვენთრი სიტიდან“ გადასვლის შემდეგ ახალ გუნდში თამაშს მთლად კარგად ჯერ ვერ აუღო ალღო. საბოლოოდ „სტემფორდ ბრიჯული“ მატჩი შეიძლება შეფასდეს, როგორც „ვილას“ ამბიციათა პირველი სერიოზული ტესტი.

„მიდლსბრო“ „ლივერპულს“ დიდი რიხით მასპინძლობს, რადგან ბოლო ორი შეხვედრა სტუმრად მოიგო. ორივე გამარჯვებაში გოლით მიიღო მონაწილეობა გერმანიის ნაკრების ცნობილმა მოთამაშემ, კრისტიან ციგემ. საინტერესოა, რომ მიდლსბროელი პოლ ინსისთვის ეს იქნება თამაში გუნდთან, რომელიც ამ ზაფხულს დასტოვა.

თემურ ქეცბაიას „ნიუკასლი“ „უიმბლდონს“ მასპინძლობს და ეცდება სამი სასტარტო მარცხის შემდეგ რამენაირად გაამართლოს სატრანსფერო სეზონის 17 მილიონიანი დანახარჯი. ნიუკასლელთა სასტიკად გაკრიტიკებულ ჰოლანდიელ მწვრთნელს, რუუდ გულიტს იმედი აქვს, რომ აგრესიული ფორვარდის, დანკან ფერგიუსონის მოედანზე დაბრუნება გუნდისთვის ბედის მოტრიალების მნიშვნელობას შეიძენს.

**მიხეილ სურგულაძე**

# ხუთწლედის გეგმა შედგენილია

*„მიდლსბრო“ სამი ტურის მერე პრემიერლიგის ცხრილში მეხუთე ადგილზეა, არადა შარშან ამ დროს უმაღლეს დონეზე ახალდაბრუნებული იყო. მეოთხე ტურში იგი „ლივერპულს“ მასპინძლობს...*

*მიდლსბროელთა მწვრთნელი, ბრაიან რობსონი, ფეხბურთელობისას „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ეროვნული გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა გახლდათ, დღეს კი ახალ პროფესიასაც ერთობ წარმატებით ართმევს თავს. ქვემოთ, ინტერვიუში ჩანს, რომ მისტერ რობსონს არც ამბიცია აკლია და თუ საქმეები ისე აეწყო, როგორც სურს, „მიდლსბრომ“ შესაძლოა მალე რიხითაც გააღოს ევროპის კარი.*



ბრაიან რობსონი

**— გასულ სეზონში „მიდლსბრომ“ მეცხრე ადგილი დაიკავა. ეს შედეგი თქვენთვის დამაკმაყოფილებელი იყო?**

— მთლიანობაში კლუბი კმაყოფილი დარჩა. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც „ნოტინგემ ფორესტისა“ და „ჩარლტონის“ შედეგები გვახსენდება — ეს გუნდები პრემიერლიგაში ჩვენთან ერთად დაბრუნდნენ, ახლა კი კვლავ პირველ დივიზიონში თამაშობენ — ვხვდებით, რომ ლიგის ზედა ნახევარში დამკვიდრება ურიგო შედეგი ნამდვილად არ ყოფილა. ჩვენთვის დიდი დარტყმა გახლდათ პოლ მერსონის წასვლა, მაგრამ ამას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა: ბიჭებმა, რომლებიც გასულ ზაფხულს შევიძინე, კერძოდ გარი პალისტერმა, კოლინ კუპერმა და დინ გორდონმა, ფეხა გამოიდგეს. დეკემბერში, როდესაც „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ დავამარცხეთ, მეოთხე ადგილზეც კი ვიყავით. ისე მეოთხე ადგილი ჩვენთვის მართლაც მეტისმეტად მაღალი პოზიცია იქნებოდა, მაგრამ იქ ყოფნა ერთობ სასიამოვნოც გახლავთ. ბიჭები ამ სიამოვნების კვლავ მისაღწევად ძალიან სერიოზულად მუშაობენ.

**— შესაბამისად, უნდა ვივარაუდოდ, რომ ახალ სეზონში უფრო მაღალ ადგილზე გასვლას გეგმავთ.**

— ჩვენი მიზანია იმაზე მაღლა ავიდეთ, გასულ სეზონში რომ ვიყავით. ამან შეიძლება ევროტურნირებისკენაც კი გაგვიკაფოს გზა. კლუბის თავმჯდომარემ ცოტა მეტი ფულიც მოგვცა ზაფხულზე დასახარჯად და ესეც საქმის გაუმჯობესებას მოხმარდება. გუნდში ერთი-ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელიც მივიყვანე. თანაც, ახალი და ცნობილი გვარის გამოჩენა გულშემატკივრებში ყოველთვის მღელვარებას იწვევს.

**— იმ, ერთი-ორი უმაღლესი კლასის ფეხბურთელზე გვითხარით...**

— ჩემი აზრით კრისტიან ციგე ღღევანდელობის ერთ-ერთი უძლიერესი განაპირა მცველია. მაღალი დონის ნახევარმცველია პოლ ინსი. ახალი სეზონი იმავე შემადგენლობითაც რომ დამეწყო, რომლითაც გასული სეზონი დავამთავრე, ერთობ კმაყოფილი ვიქნებოდი. ბიჭებმა ერთობ კარგად გაართვეს თავი ამოცანას და ვგრძნობ, რომ ზრდის საშუალებაც არ ამოწურულა. რაც შეეხება კით ონილს, იგი ტრანსფერების ბოლო დღეს ვიყიდეთ და ამიტომ, ჯერჯერობით, მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობთ, ხოლო ელან არმსტრონგს კვლავ შეუძლია თამაში და ფაქტობრივად ახალი შენაძენივითაა.

**— ბევრს ლაპარაკობდნენ, რომ თქვენ კლუბისგან კიდევ ითხოვდით ფულს.**

— ეს ჭორები ძალიან მაღიზიანებს და გულშემატკივრებსაც არასწორ წარმოდგენას უქმნის. ფანებს, რომელთაც ასეთ რაღაცას ჩააწვეთებენ, მერე ერთი სული აქვთ გაიგონ რომელი ვარსკვლავის ყიდვას ვაპირებ და ბრაზდებიან, რადგან იციან რომ რამდენიმე ფეხბურთელთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, ყიდვით კი არავინ ვიყიდე. ამიტომაც, გაზეთებს რეგულარულად აღარ ვკითხულობ, ჩემი გეგმა მაქვს და კლუბისა და იმავე გულშემატკივრების სასიკეთო საქმეს ვაკეთებ.

**— ახლა გვინდა თქვენი გუნდის ერთ ფეხბურთელზე ჩამოგიგდოთ სიტყვა. პოლ გესქოინი გვყავს მხედველობაში. როგორ გგონიათ, შეძლებს ის ინგლისის ნაკრებში დაბრუნებას?**

— დიახ, შეძლებს. გაზა ზაფხულზე თავგამოდებით ვარჯიშობდა, ხოლო არდადეგები სანატორიუმში გაატარა და თუ ტრავმებმა საქმე არ გაუფუჭეს, ჩინებულ სეზონს ჩაატარებს. ლუქსემბრუგის ნაკრების წინააღმდეგ ინგლისს აუცილებლად სჭირდება ფეხბურთელი, რომელიც მოწინააღმდეგის დაცვას გახსნის. ხომ გახსოვთ რომში, იტალიის წინააღმდეგ ჩატარებული მატჩი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატისკენ გაგვიკვალა გზა? მაშინ გაზამ დაამტკიცა, რომ შეხვედრის ხასიათის განსაზღვრა შეუძლია. კევინ კიგანს პოლონეთთანაც დასჭირდება გესქოინის ნიჭი.

**— გაზეთებს ყველანი ვკითხულობთ, მაგრამ, იქნებ თქვენ გვითხრათ რა კავშირი გესქოინი ყოველდღიურ ცხოვრებაში?**

— ო, მასთან ვერ მოიწყენ. გასულ სეზონში ჩინებულად დაიწყო და საბოლოოდ გუნდმა სასურველი ადგილი რომ მოიპოვა, მისი დიდი დამსახურება გახლავთ. სამწუხაროდ, შობის შემდეგ წვრილმანმა ტრავმებმა მაინც შეაწუხა. ვიმეორებ, სერიოზული არაფერი იყო, მაგრამ რამდენიმე კვირა მაინც გაუცდა, რამაც მყისვე დაასვა დაღი და გაზამ ფორმა დაკარგა.

**— „მიდლსბროს“ მომავალზე ვილაპარაკოთ.**

— ხუთწლიანი გეგმა მაქვს. მომავალ სეზონში ევროტურნირებს უნდა მივაღწიოთ. უნდა ჩამოვაყალიბო გუნდი, რომელიც ყოველ კვირას სტადიონზე 42 ათას გულშემატკივარს მოიზიდავს — მომავალი სეზონიდან სტადიონის გაფართოვებასაც ვაპირებთ. ვიცი, ამ კლუბს დიდი ჯილდო არასდროს მოუპოვებია და ამიტომაც, შემდგომი ნაბიჯი სწორედ ეს უნდა იყოს.

**— რაკიღა მომავალზე ვსაუბრობთ, გავიხსენოთ, რომ ერთი ხნის წინ, თქვენზე, როგორც ინგლისის ნაკრების შესაძლო მწვრთნელზე ლაპარაკობდნენ. როგორი გრძნობა დაგეუფლათ?**

— ცხადია ამ საუბრების მოსმენა ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ აზრი არ შემიცვლია: სანამ სანაკრებო მწვრთნელობაზე ვიფიქრებ, საკლუბო დონეზე დიდი გამოცდილება უნდა დავაგროვო. 1996 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, ტერი ვენეიბლზის რაზმში ყოფნით ძალიან ვისიამოვნე და შევიგრძენი, რას ნიშნავს ნაკრების ხელმძღვანელობა. იმედი მაქვს, რომ ჯერ საკლუბო მწვრთნელის რანგში მივაღწევ დიდ წარმატებებს.

**— თქვენ, როგროც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილ ფეხბურთელს, ამ კლუბის წარმატებაზე რომ არ გკითხოთ, არ იქნება.**

— დიდებული იყო, თუმცა, მერე ფეხბურთის ასოციაციის თასზე თამაში რომ იუარეს, აშკარად უკმაყოფილო დავრჩი. თუმცა არა უშავს, ყველაფერს აქვს დადებითი მხარე. წლეულს, თასზე მათთან შეხვედრისგან დაზღვეული ვარ. „იუნაიტედში“ დღემდე უამრავი მეგობარი მყავს და მიხარია ისინი ჩემპიონები რომ ხდებიან. ჩემპიონთა თასის ფინალის საცქერლად ბარსელონაში გახლდით და უნდა გითხრათ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამ გამარჯვებით ინგლისური ფეხბურთისთვის დიდებული საქმე გააკეთა. ვგონებ ჩვენი ქვეყნისთვის ევროპაში ახალი დერეფანი უკვე გაჭრილია და ეს ჩემი გუნდისთვისაც დიდებული საქმეა, რადგან „მიდლსბროს“ ამ დერეფანში გასვლისთვის ბრძოლა ხელეწიფება.

**— ისევ ფეხბურთის ასოციაციის თასს და „მანჩესტერელთა“ უარს დავუბრუნდეთ...**

— გათამაშებიდან ასეთი მომხიბლავი კლუბის წასვლა ძალიან სამწუხაროა, მაგრამ, მეორე მხრივ, „იუნაიტედი“ ხომ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე მიდის, რითაც ინგლისს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისათვის ბრძოლაში დაეხმარება. ვგონებ „იუნაიტედი“ ცოდო იყო, რადგან ამ სიტუაციაში, ნებისმიერი არჩევანის შემთხვევაში დამარცხდებოდა და მაინც, საამაყოა, რომ ეს გუნდი ჩვენ მსოფლიო დონეზე წარგვადგენს.

**365-დან თარგმნა**
**ბაბუნა კედიამ**

# ესპანეთი

# მთავარი თემა და მთავარი კითხვა

შვიდი კვირა გავიდა ესპანეთის ბოლო ჩემპიონატის დამთავრებიდან და აი, ამ უქმეებზე ახალი, რიგით 69-ე პირველობა იწყება. მთავარი თემა, ცხადია, კვლავ ორი „ვეშაპის" — მადრიდის „რეალისა" და „ბარსელონას" სადღეისო ამბებია. მთვარი კითხვა კი — ვისი ფილოსოფია აჯობებს, ჯონ ტოშაკის შემტევი, თუ ლუის ვან გაალის ტოტალური ფეხბურთი.

საზაფხულო სატრანსფერო ბაზარზე არც სხვა კლუბებს დაუკლიათ ხელი. მაგალითად, მადრიდის „ატლეტიკომ" ორი მაღალი კლასის ფეხბურთელი, ჰოლანდიელი ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და პარაგვაელი კარლოს გამარა შეიძინა. ლა კორუნიას „დეპორტივომ" 10 ახალი მოთამაშე შეიმატა. „მალიორკამ" კი, უკვე დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, მზერა არგენტინისკენ მიაპყრო და სამი სამხრეთამერიკელი გადაიბირა. საინტერესოა, რომ „მალიორკას" შემადგენლობის სამ მეოთხედს სწორედ არგენტინელები წარმოადგენენ. „სელტას", რომელმაც გასული სეზონი ჩინებულად დაიწყო, მაგრამ ბოლოს ჩავარდა, გადაუწყვეტია შეცდომები აღარ გაიმეოროს და სათადარიგოთა სკამიც მნიშვნელოვნად დაავრძელა.

და მაინც, მთავარი „რეალი" და „ბარსელონა" არიან, რომლებმაც ბოლო 15 წელიწადში ოქროს მედლები ერთმანეთში თოთხმეტჯერ გაითამაშეს.

კატალონიური „ბარსელონა", რომელსაც ესპანეთის ჩემპიონობა 16-ჯერ მოუგია, მათ შორის ორი უკანასკნელიც, ახალ სეზონს კიდევ ერთი ექსაიაქსელით, ფინელი იარი ლიტმანენით ხვდება. ის მეექვსე აიაქსელია გუნდში ლუის ვან გაალის მისვლის შემდეგ. „ბარსას" თამაში ისევ გვარდიოლაზე აეწყობა, დაცვის ცენტრში კი შეუვალი ფრანკ დე ბური ეყოლებათ. ვან გაალის საყვარელი სათამაშო სქემაც 3-4-3, ალბათ, არ შეიცვლება. წინა ხაზზე ჩემპიონებს რივალდო-ფიგუ-კლუივერტის იმედი ექნებათ. ესპანური პრესის მტკიცებით, წლეულს ვან გაალის მთავარი ამოცანა ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ გამოსვლას ითვალისწინებს. შარშან „ბარსამ", მისდა სამარცხვინოდ, ჯგუფშივე დაამთავრა ევროპის ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრი.



სარბიელის არქივიდან

„ბარსას" ამბიციას. ზურგს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე, ბრაზილიელი რივალდო (მარცხნივ) უმაგრებს

ახლა მიზანი გაცილებით სერიოზულია და, ალბათ, არც არავის გაუკვირდება, თუ ჰოლანდიელი მწვრთნელი ახალ სეზონში პრიორიტეტულად ევროტურნირს მიიჩნევს.

და კიდევ ერთი, ბოლო დროს „მანჩესტერ იუნაიტედს" დაცვაში საკმაო პრობლემები გაუჩნდა და „ბარსას" 3,21 მილიონი დოლარი შესთავაზა ჰოლანდიელ უკანახაზელ იუნსტონ ბოგარდში. თავად ბოგარდი ამბობს, რომ ბედნიერი იქნება, თუ პრემიერლიგაში ითამაშებს, მაგრამ ჯერჯერობით გარკვეული არაფერია.

მადრიდის „რეალს", რომელსაც პრემიერადივიზიონი 27-ჯერ მოუგია, ტრადიციულად უმაღლესი მიზნები დაუსახავს. ზაფხულში სამეფო კლუბმა მოთამაშეების შეძენაში დაახლოებით 80 მილიონი დოლარი დახარჯა. არადა, საინტერესოა, რომ მარტო ფრანგი ნიკოლა ანელკა მათ 36 მილიონი დაუჯდათ მაშინ, როცა მასზე მეტი თუ არა, არანაკლებ მაღალი კლასის ფეხბურთელი სტივ მაკმანამანი მუქთად მიიღეს. მაკმანამანს „ლივერპულთან" კონტრაქტი დამთავრებოდა და თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა.

1990 წელს, როცა „რეალს" დღევანდელი თავკაცი ჯონ ტოშაკი წვრთნიდა, გუნდმა ესპანეთის ჩემპიონატში 107 გოლი გაიტანა. უესელი მწვრთნელი იქადნება, რომ წლეულს ამ მაჩვენებელს გააუმჯობესებს. ვერაფერს ვიტყვით, ტოშაკის შემტევი სტრატეგიიდან გამომდინარე, თუკი ანელკა რაულ-მორიენტესის წყვილს შეეწყობა, იქნებ მისი სიტყვები გამართლდეს კიდეც.

ახლა „რეალის" მთავარი პრობლემა დაცვაა. შარშან სამეფო კლუბმა საკუთარ კარში 62 ბურთი მიიღო. ასეთი მაჩვენებელი კი, ევროამბიციური გუნდისთვის სამარცხვინოა.

ხვალ, პირველ ტურში, მეტად შეთხელებული „რეალი" „მალიორკას" ესტუმრება. გუნდის ერთ-ერთმა ახალბედამ, ბოსნიელმა ელვირ ბალიჩმა ვარჯიშზე მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო და ფეხბურთს ორი კვირით ჩამოშორდა. მსგავსი ტკივილები კიდევ სამ მოთამაშეს აწუხებს. პირველ რიგში ეს გუნდის კაპიტან ფერნანდო იეროს ეხება, რომელმაც მარჯვენა მუხლის დაზიანების გამო ოთხშაბათს პოლონელებთან ეროვნული ნაკრების თამაშიც გამოტოვა. მორიენტესმა ვარშავაში ითამაშა და გოლიც გაიტანა, მაგრამ მისი ფუნქციური მომზადება მწვრთნელებს არ აკმაყოფილებთ. იგივე შეიძლება ითქვას არგენტინელ ფერნანდო რედონდოზეც. ამ შემთხვევაში ტოშაკს, ალბათ, ვეტერანი მანუელ სანჩისის იმედი უნდა ჰქონოდა, რომელმაც შარშან არაერთხელ ითამაშა ხან იეროს, ხანაც რედონდოს მაგიერ, მაგრამ სანჩისს წინა სეზონის „ცოდვა" გადმოჰყვა. ბოლო ტურში მან ჩემპიონატის მანძილზე მეხუთე გაფრთხილება მიიღო და ახლა დისკვალიფიკაციას იხდის.

სოლომონ ბულისაშვილი





სარბიელის არქივიდან

ვინ ვის: ვან გაალი თუ ტოშაკი?

# მნიშვნელოვანი ტრანსფერები

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სატრანსფერო თანხა (მილიონი $) |
|---|---|---|---|
| ნიკოლა ანელკა (საფრანგეთი) | არსენალი | რეალი | 36,7 |
| ელვირ ბალიჩი (ბოსნია) | ფენერბაჰჩე | რეალი | 15 |
| ხერმან ბურგოსი (არგენტინა) | რივერ პლეიტი | მალიორკა | ა/გ |
| კარლოს გამარა (პარაგვაი) | კორინთიანსი | ატლეტიკო | 6,25 |
| დანი | მალიორკა | ბარსელონა | 15,5 |
| სლავიშა იოკანოვიჩი (იუგოსლავია) | ტენერიფე | დეპორტივო | ა/გ |
| იარი ლიტმანენი (ფინეთი) | აიაქსი | ბარსელონა | თ/ა |
| გუსტავო ლოპესი (არგენტინა) | სარაგოსა | სელტა | ა/გ |
| როი მაკაი (ჰოლანდია) | ტენერიფე | დეპორტივო | 8,3 |
| სტივ მაკმანამანი (ინგლისი) | ლივერპული | რეალი | თ/ა |
| სიმაო საბროსა (პორტუგალია) | სპორტინგი | ბარსელონა | 15 |
| მიჩელ სალგადო | სელტა | რეალი | 12,5 |
| ხუან სერისელა (არგენტინა) | არხენტინოს ხუნიორსი | მალიორკა | ა/გ |
| ჯიმი ჰასელბაინკი (ჰოლანდია) | ლიდსი | ატლეტიკო | 19,5 |

თ/ა — თავისუფალი აგენტი; ა/გ — სატრანსფერო თანხა არ გაამხილეს

**ალავესი** მწვრთნელი: მანე; მეკარეები: კიკე, ერერა; მცველები: კარმონა, ეგენი, ხოსეტე, ბერუეტი, ალფონსო, კონტრა, ტელიესი; ნახევარმცველები: ასტუდილიო, იბონ ბეგონია, ბენიტო, ალექსი, პაბლო, [illegible], კოიტია, მორალესი, ბერტი; თავდამსხმელები: [illegible], სანჩესი, კოდრო, ხავი მორენო

**ატლეტიკო** მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი; მეკარეები: მოლინა, ტონი [illegible]; მცველები: შამოტი, ტონი მუნიოსი, ლოპესი, სანტი, აგილერა, დიასი, ხელი, გამარა, კაპდევილა; ნახევარმცველები: პაუნოვიჩი, ჟუნინიო, ვალერონი, რობერტო, მენა, ბეიბლი, ბარახა, ლეალი, სოლარი, ლარდინი; თავდამსხმელები: ხოსე მარი, კიკო, კორეა, ჰასელბაინკი

**ბარსელონა** მწვრთნელი: ლუის ვან გაალი; მეკარეები: ჰესპი, არნაუ; მცველები: რაიციგერი, აბელარდო, სერხი, ბოგარდი, ფ. დე ბური, დეუ; ნახევარმცველები: გვარდიოლა, კოკუ, რ. დე ბური, ხავი, ლუის ენრიკე, ამუნიკე, ლიტმანენი, სიმაო, ზენდენი; თავდამსხმელები: რივალდო, გაბრი, ფიგუ, კლუივერტი, დანი, ჟოფრე

**ბილბაო** მწვრთნელი: ლუის ფერნანდესი; მეკარეები: იმანოლ ეჩებერია, ლაფუენტე, არანსუბია; მცველები: ალკორტა, ლარასაბალი, ლაკრუსი, კარლოს გარსია, პაჩი ფერეირა, ლარაინსარი, მიგელ ლასა, ხოსე მარი, რობერტო რიოსი, ფელიპე; ნახევარმცველები: ვალესი, ორბაისი, ურაკა, ურუტია, იმასი, ი.გერერო, ედუ ალონსო, ალკისა, ხავი გონსალესი, იესტე; თავდამსხმელები: სივორი, ესკერო, ურსაისი, ბოლო, ხოსება ეჩებერია

**ბეტისი** მწვრთნელი: კარლოს ტიმოტეო გრიგუოლი; მეკარეები: ტონი პრატსი, ვალერიო, რობლესი; მცველები: ლუის ფერნანდესი, ვიდაკოვიჩი, მერინო, აიალა, ოტერო, ბორნესი, კარჰანი; ნახევარმცველები: ფილიპესკუ, კანიასი, იტო, დენილსონი, ბენხამინი, ფერნანდო, ხუან ხესუსი, ალექსისი, მარკესი, ნადი; თავდამსხმელები: ფინიდი, ალფონსო, გალვესი, კუელიარი, ოლი

**დეპორტივო** მწვრთნელი: ხავიერ ირურეტაგოიენა ამიანო; მეკარეები: სონგოო, მალიო, ნუნუ; მცველები: სესარი, რომერო, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, რამისი; ნახევარმცველები: ხაიმე, მაურო სილვა, ჯალმინია, ხოსე მანუელი, იოკანოვიჩი, ფრანი, სკალონი, ფლავიო კონსეისაო, დონატო, ხოსე რამონი, მანელი, ვიკტორი; თავდამსხმელები: მაკაი, პაულეტა, ტურუ ფლორესი, ივანი

**ესპანიოლი** მწვრთნელი: მიგელ ანხელ ბრინდისი; მეკარეები: მორა, კავალიერო, ბალბუენა; მცველები: კრისტობალი, როტჩენი, კორინო, დომინგესი, ნანდო, პოჩეტინო, სანტისი, ლოპო; ნახევარმცველები: სერხიო, ნავასი, მოლნარი, ბრნოვიჩი, გალკა, არტეაგა, ბენიტესი, ივან დიასი, ველამასანი; თავდამსხმელები: დე ლუკასი, კიკე მარტინი, პოსე, პულიდო, ტამუდო

**ვალენსია** მწვრთნელი: ექტორ კუპერი; მეკარეები: კანისარესი, ბარტუალი, ჯონათანი; მცველები: კამარასა, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, როში, ანგლომა, სორია, ფახიანი, ტელუსი; ნახევარმცველები: მენდიეტა, ფარინოსი, ლუის მილია, სერბანი, ანგულო, ხერარდი, ალბელდა, კილი გონსალესი, ოსკარი, გ. პოპესკუ; თავდამსხმელები: კლაუდიო ლოპესი, ილიე, ვლაოვიჩი, ხუან სანჩესი, კასეირო

**ვალიადოლიდი** მწვრთნელი: გრეგორიო მონსანო; მეკარეები: რიკარდო, სესარი, ფლორესი; მცველები: მარკოსი, ეინცე, გარსია კალვო, სანტამარია, პენია, ორლანდო, ტორეს გომესი, ტენა; ნახევარმცველები: ეუსებიო, დიასი, ჩემა, ვისკაინო, ტურიელი, აროლდ ლოსანო, კამინერო, აბელი; თავდამსხმელები: პეტერნაკი, ისაილოვიჩი, ალბერტო, ვიკტორი, კონგო

**მალაგა** მწვრთნელი: ხოაკინ პეირო; მეკარეები: რაფა, სანჩეს ბროტო, კონტრერასი; მცველები: ბრავო, დორადო, როტეტა, ვალკარსე, ჩომინ ლარაინსარი, ფერნანდო სანსი, როხასი, ისტანა; ნახევარმცველები: დე ლოს სანტოსი, მოვილია, რუანო, აგოსტინიუ, რუფეტე, სანდრო, მუსამპა, კაპა; თავდამსხმელები: ედგარი, სარატე, ბასტი, კატანია, დარიო სილვა

**მალიორკა** მწვრთნელი: მარიო გომესი; მეკარეები: სესარ გალვესი, ლეო ფრანკო, ბურგოსი; მცველები:მიგელ სოლერი, სივიერო, ოლაისოლა, ფერნანდო ნინიო, არმანდო, დავიდი, სერისელა, ენგონგა, კარერასი, ნადალი; ნახევარმცველები: პაკო სანსი, იბაგასა, სტანკოვიჩი, ლაურენი, ჩიჩი სოლერი, პაბლო ლაგო, მარტი; თავდამსხმელები: ჯოკაი, კარლოსი, ბიაჯინი, დიეგო, კინტეროსი, ლუკე, გაბრიჩი

**ნუმანსია** მწვრთნელი: ანდონი გოიკეაჩეა; მეკარეები: დიესმა, რაული, ნუნიესი; მცველები: ელედერი, ოსკარი, მუნისი, ბელსუე, რივერა, მანუსოვიჩი, კომე; ნახევარმცველები: ოკტავიო, კასტანიო, კაკო, პაჩეტა, ნაგორე, ფაბრისი, ტიტო; თავდამსხმელები: მარიო ლარეა, არტიგასი, ინიაკი, მორალესი, ანხელ ლუისი, ხანდრო, პეპინი, რუბენ ნავარო, ოხედა, ბარბუ

**ოვიედო** მწვრთნელი: ლუის არაგონესი; მეკარეები: ესტებანი, ლუკასი, უნსუე; მცველები: რაბარივონი, მორენო, ოსკარ ალვარესი, ონოპკო, ბორისი, მატეო კორბო; ნახევარმცველები: ბანგო, ხაიმე, ამიევა, პაულუ ბენტუ, ივან ანია, ესკურსა, კლასენსი, პომპეი, კეიტა, ივანი; თავდამსხმელები: პინტო, დელი ვალდესი, დუბოვსკი, გონსალესი, მიოლერი, ლოსადა

**ვალეკანო** მწვრთნელი: ხუან დე ლა კრუს რამოს კანო;მეკარეები: იუბერო, ლოპეტეგი, კელერი, სეგურა;მცველები: კოტა, ლიორენსი, ფერონი, ალკასარი, ერნანდესი, ესტიბარისი, პაბლო სანსი, კლოტეტი, ჟილმარი, ამაია, ხერო;ნახევარმცველები: ვან დენ ბერგი, მიჩელი, ლუის სემბრანოსი, რივერა, ტიაგო, ალვარო, პოშნერი, პახესი; თავდამსხმელები: ივან როსადო, დანი ბოუსასი, კინბინიუ, მიჩელი II

**რასინგი** მწვრთნელი: გუსტავო ბენიტესი; მეკარეები: კაბალიოსი, ბორხა, ლემენსი; მცველები: მელბერგი, ნერუ, არსენო, სიეტესი, ჩემა, ტაისი, სესარი, მორატონი, მორა; ნახევარმცველები: სესარ პორასი, ისმაელი, ვივარ დორადო, შუსტიკოვი, კოლსა, ესპინა, ხელი; თავდამსხმელები: მორანი, ამავისკა, ბესჩასტნიხი, მაგალიანესი, მუნიტისი, მანხარინი

**რეალი** მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი; მეკარეები: ილგნერი, ბისარი; მცველები: რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, ივან კამპო, კარანკა, მიჩელ სალგადო, ჟულიო ცეზარი, რუბიო; ნახევარმცველები: რედონდო, ზეედორფი, გუტი, იარნი, კარემბუ, ოგნიენოვიჩი, სავიო, მაკმანამანი, ივან ელგერა, ხერემი; თავდამსხმელები: რაული, მორიენტესი, ბალიჩი, ტოტე, ანელკა, ეტოო

**სარაგოსა** მწვრთნელი: ხოსე ანხელ როხო; მეკარეები: ხუანმი, ლაინესი, კონრადი, მოსო; მცველები: სოლანა, კუატერო, აგუადო, პაბლო, სუნდგრენი, პაკო, ლანა, დავილა, ხოსე ანხელი, ხორხე, ბელსუე; ნახევარმცველები: არაგონი, გარიტანო, ხოსე იგნასიო, აკუნია, მარკოს ვალესი, ლუის ელგერა; თავდამსხმელები: ვუტერი, ველისკა, მილოშევიჩი, იორდი, ჯამელი, პიერი, ხუან კიროსი

**სელტა** მწვრთნელი: ვიკტორ ფერნანდესი; მეკარეები: დუტრუელი, პინტო, რობერტო; მცველები: სერხიო, ბერხესი, კასერესი, ველასკო, ადრიანო, ჯოროვიჩი, კოირა; ნახევარმცველები: მაზინიო, ხუან ფრანი, ტომასი, კარპინი, ჯოვანელა, მოსტოვოი, მაკელელე, სელადესი, კაირესი; თავდამსხმელები: გუსტავო ლოპესი, პაბლო, რევივო, გუდელი, ბენი მაკარტი, კავიედესი, ტურდო, პანტელიჩი

**სევილია** მწვრთნელი: მარკოს ალონსო; მეკარეები: მონჩი, ვალენსია, რაბადხა; მცველები: ექტორი, ნანდო, პრიეტო, ჰიბიჩი, კორონა, მანუელ ანხელი, ადილსონი, ტაბარე, იურიჩი; ნახევარმცველები: მარჩენა, ცარტასი, ბაკერო, ალფრედო, ფრანსისკო, ანხელი, ფრედი, ოლივერა, კევედო, პოდესტა, მიჩელი; თავდამსხმელები: ლორენი, პატრი, ოტერო, მოია, გლუშჩევიჩი, ხუან კარლოსი, ხესული, სალაიეტა

**სოსიედადი** მწვრთნელი: ბერნდ კრაუსი; მეკარეები: ალბერტო, ალვარესი; მცველები: ფუენტესი, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, ანტია, სარიეხი, რეკარტე, ბარკერო; ნახევარმცველები: ხ. გერერო, დე პედრო, გომესი, კუხბაუერი, ადეპოჟუ, ხაურეხი, არამბურუ; თავდამსხმელები: იდიაკესი, სა პინტუ, ალდეონდო, დე პაულა, ბონილია

### I ტური. 22.08.99
მალიორკა — რეალი
ბარსელონა — სარაგოსა
ატლეტიკო — რაიო ვალეკანო
ნუმანსია — ვალიადოლიდი
სევილია — სოსიედადი
ოვიედო — სელტა
ვალენსია — რასინგი
მალაგა — ესპანიოლი
დეპორტივო — ალავესი
ბილბაო — ბეტისი

### II ტური. 29.08.99
რაიო ვალეკანო — მალიორკა
სოსიედადი — ატლეტიკო
სელტა — სევილია
სარაგოსა — ოვიედო
რასინგი — ბარსელონა
ესპანიოლი — ვალენსია
ალავესი — მალაგა
ბეტისი — დეპორტივო
ვალიადოლიდი — ბილბაო
რეალი — ნუმანსია

### III ტური. 12.09.99
რაიო ვალეკანო — სოსიედადი
ატლეტიკო — სელტა
სევილია — სარაგოსა
ოვიედო — რასინგი
ბარსელონა — ესპანიოლი
ვალენსია — ალავესი
მალაგა — ბეტისი
დეპორტივო — ვალიადოლიდი
ბილბაო — რეალი
მალიორკა — ნუმანსია

### IV ტური. 19.09.99
სოსიედადი — მალიორკა
სელტა — რაიო ვალეკანო
სარაგოსა — ატლეტიკო
რასინგი — სევილია
ესპანიოლი — ოვიედო
ალავესი — ბარსელონა
ბეტისი — ვალენსია
ვალიადოლიდი — მალაგა
რეალი — დეპორტივო
ნუმანსია — ბილბაო

### V ტური. 26.09.99
სოსიედადი — სელტა
რაიო ვალეკანო — სარაგოსა
ატლეტიკო — რასინგი
სევილია — ესპანიოლი
ოვიედო — ალავესი
ბარსელონა — ბეტისი
ვალენსია — ვალიადოლიდი
მალაგა — რეალი
დეპორტივო — ნუმანსია
მალიორკა — ბილბაო

### VI ტური. 03.10.99
სელტა — მალიორკა
სარაგოსა — სოსიედადი
რასინგი — რაიო ვალეკანო
ესპანიოლი — ატლეტიკო
ალავესი — სევილია
ბეტისი — ოვიედო
ვალიადოლიდი — ბარსელონა
რეალი — ვალენსია
ნუმანსია — მალაგა
ბილბაო — დეპორტივო

### VII ტური. 13.10.99
სელტა — სარაგოსა
სოსიედადი — რასინგი
რაიო ვალეკანო — ესპანიოლი
ატლეტიკო — ალავესი
სევილია — ბეტისი
ოვიედო — ვალიადოლიდი
ბარსელონა — რეალი
ვალენსია — ნუმანსია
მალაგა — ბილბაო
მალიორკა — დეპორტივო

### VIII ტური. 17.10.99
სარაგოსა - მალიორკა
რასინგი - სელტა
ესპანიოლი - სოსიედადი
ალავესი - რაიო ვალეკანო
ბეტისი - ატლეტიკო
ვალიადოლიდი - სევილია
რეალი - ოვიედო
ნუმანსია - ბარსელონა
ბილბაო - ვალენსია
დეპორტივო - მალაგა

### IX ტური. 24.10.99
სარაგოსა — რასინგი
სელტა — ესპანიოლი
სოსიედადი — ალავესი
რაიო ვალეკანო — ბეტისი
ატლეტიკო — ვალიადოლიდი
სევილია — რეალი
ოვიედო — ნუმანსია
ბარსელონა — ბილბაო
ვალენსია — დეპორტივო
მალიორკა — მალაგა

### X ტური. 31.10.99
რასინგი — მალიორკა
ესპანიოლი — სარაგოსა
ალავესი — სელტა
ბეტისი — სოსიედადი
ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო
რეალი — ატლეტიკო
ნუმანსია — სევილია
ბილბაო — ოვიედო
დეპორტივო — ბარსელონა
მალაგა — ვალენსია

### XI ტური. 07.11.99
რასინგი — ესპანიოლი
სარაგოსა — ალავესი
სელტა — ბეტისი
სოსიედადი — ვალიადოლიდი
რაიო ვალეკანო — რეალი
ატლეტიკო — ნუმანსია
სევილია — ბილბაო
ოვიედო — დეპორტივო
ბარსელონა — მალაგა
მალიორკა — ვალენსია

### XII ტური. 21.11.99
ესპანიოლი — მალიორკა
ალავესი — რასინგი
ბეტისი — სარაგოსა
ვალიადოლიდი — სელტა
რეალი — სოსიედადი
ნუმანსია — რაიო ვალეკანო
ბილბაო — ატლეტიკო
დეპორტივო — სევილია
მალაგა — ოვიედო
ვალენსია — ბარსელონა

### XIII ტური. 28.11.99
ესპანიოლი — ალავესი
რასინგი — ბეტისი
სარაგოსა — ვალიადოლიდი
სელტა — რეალი
სოსიედადი — ნუმანსია
რაიო ვალეკანო — ბილბაო
ატლეტიკო — დეპორტივო
სევილია — მალაგა
ოვიედო — ვალენსია
მალიორკა — ბარსელონა

### XIV ტური. 05.12.99
ალავესი — მალიორკა
ბეტისი — ესპანიოლი
ვალიადოლიდი — რასინგი
რეალი — სარაგოსა
ნუმანსია — სელტა
ბილბაო — სოსიედადი
დეპორტივო — რაიო ვალეკანო
მალაგა — ატლეტიკო
ვალენსია — სევილია
ბარსელონა — ოვიედო

### XV ტური. 12.12.99
ალავესი — ბეტისი
ესპანიოლი — ვალიადოლიდი
რასინგი — რეალი
სარაგოსა — ნუმანსია
სელტა — ბილბაო
სოსიედადი — დეპორტივო
რაიო ვალეკანო — მალაგა
ატლეტიკო — ვალენსია
სევილია — ბარსელონა
მალიორკა — ოვიედო

### XVI ტური. 19.12.99
ბეტისი — მალიორკა
ვალიადოლიდი — ალავესი
რეალი — ესპანიოლი
ნუმანსია — რასინგი
ბილბაო — სარაგოსა
დეპორტივო — სელტა
მალაგა — სოსიედადი
ვალენსია — რაიო ვალეკანო
ბარსელონა — ატლეტიკო
ოვიედო — სევილია

### XVII ტური. 22.12.99
ბეტისი — ვალიადოლიდი
ალავესი — რეალი
ესპანიოლი — ნუმანსია
რასინგი — ბილბაო
სარაგოსა — დეპორტივო
სელტა — მალაგა
სოსიედადი — ვალენსია
რაიო ვალეკანო — ბარსელონა
ატლეტიკო — ოვიედო
მალიორკა — სევილია

### XVIII ტური. 05.01.00
მალიორკა — ვალიადოლიდი
რეალი — ბეტისი
ნუმანსია — ალავესი
ბილბაო — ესპანიოლი
დეპორტივო — რასინგი
მალაგა — სარაგოსა
ვალენსია — სელტა
ბარსელონა — სოსიედადი
ოვიედო — რაიო ვალეკანო
სევილია — ატლეტიკო

### XIX ტური. 09.01.00
ვალიადოლიდი — რეალი
ბეტისი — ნუმანსია
ალავესი — ბილბაო
ესპანიოლი — დეპორტივო
რასინგი — მალაგა
სარაგოსა — ვალენსია
სელტა — ბარსელონა
სოსიედადი — ოვიედო
რაიო ვალეკანო — სევილია
ატლეტიკო — მალიორკა

### XX ტური. 16.01.00
რაიო ვალეკანო — ატლეტიკო
სოსიედადი — სევილია
სელტა — ოვიედო
სარაგოსა — ბარსელონა
რასინგი — ვალენსია
ესპანიოლი — მალაგა
ალავესი — დეპორტივო
ბეტისი — ბილბაო
ვალიადოლიდი — ნუმანსია
რეალი — მალიორკა

### XXI ტური. 23.01.00
მალიორკა — რაიო ვალეკანო
ატლეტიკო — სოსიედადი
სევილია — სელტა
ოვიედო — სარაგოსა
ბარსელონა — რასინგი
ვალენსია — ესპანიოლი
მალაგა — ალავესი
დეპორტივო — ბეტისი
ბილბაო — ვალიადოლიდი
ნუმანსია — რეალი

### XXII ტური. 30.01.00
სოსიედადი — რაიო ვალეკანო
სელტა — ატლეტიკო
სარაგოსა — სევილია
რასინგი — ოვიედო
ესპანიოლი — ბარსელონა
ალავესი — ვალენსია
ბეტისი — მალაგა
ვალიადოლიდი — დეპორტივო
რეალი — ბილბაო
ნუმანსია — მალიორკა

### XXIII ტური. 06.02.00
მალიორკა — სოსიედადი
რაიო ვალეკანო — სელტა
ატლეტიკო — სარაგოსა
სევილია — რასინგი
ოვიედო — ესპანიოლი
ბარსელონა — ალავესი
ვალენსია — ბეტისი
მალაგა — ვალიადოლიდი
დეპორტივო — რეალი
ბილბაო — ნუმანსია

### XXIV ტური. 13.02.00
სელტა — სოსიედადი
სარაგოსა — რაიო ვალეკანო
რასინგი — ატლეტიკო
ესპანიოლი — სევილია
ალავესი — ოვიედო
ბეტისი — ბარსელონა
ვალიადოლიდი — ვალენსია
რეალი — მალაგა
ნუმანსია — დეპორტივო
ბილბაო — მალიორკა

### XXV ტური. 20.02.00
მალიორკა — სელტა
სოსიედადი — სარაგოსა
რაიო ვალეკანო — რასინგი
ატლეტიკო — ესპანიოლი
სევილია — ალავესი
ოვიედო — ბეტისი
ბარსელონა — ვალიადოლიდი
ვალენსია — რეალი
მალაგა — ნუმანსია
დეპორტივო — ბილბაო

### XXVI ტური. 27.02.00
სარაგოსა — სელტა
რასინგი — სოსიედადი
ესპანიოლი — რაიო ვალეკანო
ალავესი — ატლეტიკო
ბეტისი — სევილია
ვალიადოლიდი — ოვიედო
რეალი — ბარსელონა
ნუმანსია — ვალენსია
ბილბაო — მალაგა
დეპორტივო — მალიორკა

### XXVII ტური. 05.03.00
მალიორკა — სარაგოსა
სელტა — რასინგი
სოსიედადი — ესპანიოლი
რაიო ვალეკანო — ალავესი
ატლეტიკო — ბეტისი
სევილია — ვალიადოლიდი
ოვიედო — რეალი
ბარსელონა — ნუმანსია
ვალენსია — ბილბაო
მალაგა — დეპორტივო

### XXVIII ტური. 12.03.00
რასინგი — სარაგოსა
ესპანიოლი — სელტა
ალავესი — სოსიედადი
ბეტისი — რაიო ვალეკანო
ვალიადოლიდი — ატლეტიკო
რეალი — სევილია
ნუმანსია — ოვიედო
ბილბაო — ბარსელონა
დეპორტივო — ვალენსია
მალაგა — მალიორკა

### XXIX ტური. 19.03.00
მალიორკა — რასინგი
სარაგოსა — ესპანიოლი
სელტა — ალავესი
სოსიედადი — ბეტისი
რაიო ვალეკანო — ვალიადოლიდი
ატლეტიკო — რეალი
სევილია — ნუმანსია
ოვიედო — ბილბაო
ბარსელონა — დეპორტივო
ვალენსია — მალაგა

### XXX ტური. 26.03.00
ესპანიოლი — რასინგი
ალავესი — სარაგოსა
ბეტისი — სელტა
ვალიადოლიდი — სოსიედადი
რეალი — რაიო ვალეკანო
ნუმანსია — ატლეტიკო
ბილბაო — სევილია
დეპორტივო — ოვიედო
მალაგა — ბარსელონა
ვალენსია — მალიორკა

### XXXI ტური. 02.04.00
მალიორკა — ესპანიოლი
რასინგი — ალავესი
სარაგოსა — ბეტისი
სელტა — ვალიადოლიდი
სოსიედადი — რეალი
რაიო ვალეკანო — ნუმანსია
ატლეტიკო — ბილბაო
სევილია — დეპორტივო
ოვიედო — მალაგა
ბარსელონა — ვალენსია

### XXXII ტური. 09.04.00
ალავესი — ესპანიოლი
ბეტისი — რასინგი
ვალიადოლიდი — სარაგოსა
რეალი — სელტა
ნუმანსია — სოსიედადი
ბილბაო — რაიო ვალეკანო
დეპორტივო — ატლეტიკო
მალაგა — სევილია
ვალენსია — ოვიედო
ბარსელონა — მალიორკა

### XXXIII ტური. 16.04.00
მალიორკა — ალავესი
ესპანიოლი — ბეტისი
რასინგი — ვალიადოლიდი
სარაგოსა — რეალი
სელტა — ნუმანსია
სოსიედადი — ბილბაო
რაიო ვალეკანო — დეპორტივო
ატლეტიკო — მალაგა
სევილია — ვალენსია
ოვიედო — ბარსელონა

### XXXIV ტური. 23.04.00
ბეტისი — ალავესი
ვალიადოლიდი — ესპანიოლი
რეალი — რასინგი
ნუმანსია — სარაგოსა
ბილბაო — სელტა
დეპორტივო — სოსიედადი
მალაგა — რაიო ვალეკანო
ვალენსია — ატლეტიკო
ბარსელონა — სევილია
ოვიედო — მალიორკა

### XXXV ტური. 30.04.00
მალიორკა — ბეტისი
ალავესი — ვალიადოლიდი
ესპანიოლი — რეალი
რასინგი — ნუმანსია
სარაგოსა — ბილბაო
სელტა — დეპორტივო
სოსიედადი — მალაგა
რაიო ვალეკანო — ვალენსია
ატლეტიკო — ბარსელონა
სევილია — ოვიედო

### XXXVI ტური. 07.05.00
ვალიადოლიდი — ბეტისი
რეალი — ალავესი
ნუმანსია — ესპანიოლი
ბილბაო — რასინგი
დეპორტივო — სარაგოსა
მალაგა — სელტა
ვალენსია — სოსიედადი
ბარსელონა — რაიო ვალეკანო
ოვიედო — ატლეტიკო
სევილია — მალიორკა

### XXXVII ტური. 14.05.00
ვალიადოლიდი — მალიორკა
ბეტისი — რეალი
ალავესი — ნუმანსია
ესპანიოლი — ბილბაო
რასინგი — დეპორტივო
სარაგოსა — მალაგა
სელტა — ვალენსია
სოსიედადი — ბარსელონა
რაიო ვალეკანო — ოვიედო
ატლეტიკო — სევილია

### XXXVIII ტური. 21.05.00
რეალი — ვალიადოლიდი
ნუმანსია — ბეტისი
ბილბაო — ალავესი
დეპორტივო — ესპანიოლი
მალაგა — რასინგი
ვალენსია — სარაგოსა
ბარსელონა — სელტა
ოვიედო — სოსიედადი
სევილია — რაიო ვალეკანო
მალიორკა — ატლეტიკო

| № | ესპანეთის ჩემპიონატი | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალავესი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 2 | ატლეტიკო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ბარსელონა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 4 | ბილბაო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 5 | ბეტისი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 6 | დეპორტივო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 7 | ესპანიოლი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 8 | ვალენსია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 9 | ვალიადოლიდი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 10 | მალაგა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 11 | მალიორკა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 12 | ნუმანსია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 13 | ოვიედო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 14 | რაიო ვალეკანო | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 15 | რასინგი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | რეალი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | სარაგოსა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 18 | სელტა | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 19 | სევილია | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 20 | სოსიედადი | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

შენიშვნა: კალენდარში მოცემულია წინასწარი, ძირითადი თარიღები. რამდენიმე მატჩი სხვა დღეს ტარდება და მათ ტურის წინ ირჩევენ

# სამხრეთ ამერიკის საუკეთესო მცველი ესპანეთის დაპყრობას აპირებს



WORLD SOCCER

მადრიდის „ატლეტიკოს" ახალწვეული კარლოს გამარა

ახლახან დასრულებულ „კოპა ამერიკაზე" ერთ-ერთი განსაკუთრებული მოვლენა პარაგვაის ნაკრების 28 წლის მცველის, კარლოს გამარას თამაში გახლდათ. სიხისტე, პოზიციის ჩინებული შერჩევა და სისწრაფე — აი, ის თვისებები, რომლებიც ბრაზილიური „კორინთიანსის" ყოფილ, ახლა კი მადრიდის „ატლეტიკოს" ფეხბურთელს გამოარჩევს. „კოპაზე" გამარამ ცენტრალური მცველის თამაშის მაგალითი უჩვენა ყველას. ამიტომაც იყო, როცა ის ბურთს მიიღებდა, „დეფენსორს დელ ჩაკოს" სტადიონზე უმალ გამოცოცხლება იგრძნობოდა ხოლმე.

პარაგვაის ნაკრების ქომაგები დარწმუნებული იყვნენ, რომ გამარას შეეძლო, თავისი ქვეყნისთვის გამარჯვება მოეტანა, მაგრამ ასე არ მოხდა. მისი თავური, რომელიც კუთხურს მოჰყვა, სანტიმეტრებით ასცდა ურუგვაელთა კარს და ტურნირის მასპინძლებმა ანგარიშის გაზრდა (1:0) ველარ შეძლეს. ურუგვაელებმა კი მალე საპასუხო გაიტანეს და მატჩისშემდგომ პენალტებშიც იმარჯვეს. პარაგვაიმასპარეზობა მეოთხედფინალში დაამთავრა.

როცა პარაგვაელთა მწვრთნელი ბრაზილიელი პაულო სეზარ კარპეჟანი იყო, გუნდი 3-5-2 ტაქტიკური სქემით თამაშობდა, მაგრამ ახალი დამრიგებლის მისვლამ ბევრი რამ შეცვალა. ევერ ალმეიდამ 4-4-2 განლაგება აირჩია. „დარწმუნებული ვიყავი, რომ სამი მცველით ვითამაშებდით — ამბობს გამარა — ასეთი განლაგების დროს, საკუთარ მოედანზე თამაშისას (ტურნირი, მოგეხსენებათ, პარაგვაიში ტარდებოდა), შეტევებში ჩართვის მეტი შესაძლებოლბა მექნებოდა. მსოფლიოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, სადაც მეტოქეები გააფთრებით გვიტევდნენ და ჩვენ მხოლოდ დაცვაზე ვფიქრობდით, აქ შემტევი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა". „კოპაზე" კი გამარას ღირსეული პარტნიორი არ გამოუჩნდა. მცველები დროულად დაზღვევას ვერ ასწრებდნენ და გამარაც წინ ველარ მიდიოდა, არადა, მისი ყოფნა მოედნის ყველა მონაკვეთზე აუცილებელი გახლდათ.

გასულმა წლებმა ჭაბუკი გამარა გუნდის ნამდვილ ლიდერად აქცია. ის არგენტინაშიც თამაშობდა, ბრაზილიაშიც და პორტუგალიაშიც. შესაბამისად, „ინდეპენდიენტეში", „ინტერნასიონალსა" და „ბენფიკაში". „ბენფიკაში" ბევრი რამ ვისწავლე — მიაჩნია გამარას — მათთან ერთად მინდორზე გასვლა მსიამოვნებდა, მაგრამ მაშინ კლუბს უამრავი პრობლემები დაუგროვდა, ლისაბონელები ერთ ადგილს ტკეპნიდნენ. ამიტომ ვიფიქრე, ჯობდა, ბრაზილიაში დავბრუნებულიყავი და ჩემი ჯერისთვის დამეცადა".

ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ გამარამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. შარშან პარაგვაელი „კორინთიანსის" წამყვანი მოთამაშე გახლდათ და დიდი წვლილიც შეიტანა გუნდის გაჩემპიონებაში. მერე ერთი უჩვეულო ამბავიც მოხდა — გამარა ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ამ ქვეყანაში კი, მოგეხსენებათ, მცველებს არცთუ ხშირად წყალობენ, მით უმეტეს, უცხოელებს. ერთი სიტყვით, „კორინთიანსში" ყოფნისას პარაგვაელი მცველის ნიჭი და მაღალი სათამაშო კლასი საბოლოოდ აღიარეს.

უკვე რამდენიმე წელიწადია, გამარას სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ცენტრალურ მცველს უწოდებენ, ახლა კი ევროპაში კვლავ მობრუნებული პარაგვაელისთვის ახალი ცხოვრება დაიწყება. ზაფხულში მადრიდის „ატლეტიკომ" „კორინთიანსს" 6,25 მილიონი დოლარი გადაუხადა და გამარა თავისთან წაიყვანა. ესპანეთში ამბობენ, რომ „ატლეტიკოს" მეტოქე თავდამსხმელებს ამიერიდან ერთიორად გაუჭირდებათ.

**ტიმ ვიქერი**

# მინსკში რუსები დაიჭირეს

გასულ ოთხშაბათს რუსეთის ნაკრები მინსკის სტადიონზე ბელარუსებთან ამხანაგურ მატჩში 2:0 გაიმარჯვა. მინსკში ოთხასამდე რუსი ფანი ჩასულა და როცა სტუმრებმა მეორე ბურთი გაიტანეს, ტრიბუნაზე ჩხუბიც წამოუწყიათ. ადგილობრივი სამართალდამცავები საქმეში დროზე ჩაერივნენ და სამოცამდე რუსი, ასევე ერთი ბელარუსი ქომაგი დააკავეს.

ოთხი მოსკოველის წინააღმდეგ, რომლებიც ყველაზე მეტად აქტიურობდნენ, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ისინი დროებითი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან. სამოციდან 16 ადამიანს წვრილმანი ხულიგნობისთვის ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს, რომელიც სამიდან ათ დღემდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. დანარჩენებს ნახევარ მილიონამდე ბელარუსული რუბლის ჯარიმის სახით გადახდა მოუწევთ, ეს კი მხოლოდ სიმბოლური თანხა გახლავთ და დაახლოებით ორნახევარი ამერიკული დოლარის ექვივალენტია.

ხუთი მოსკოველი არასრულწლოვანი კი, სანამ მშობლები არ მიაკითხავენ, მილიციის სპეცგანყოფილებაში იყურყუტებენ.

რუსეთის საფეხბურთო კავშირმა განაცხადა, რომ მზადაა, სრულიად დაფაროს მატერიალური ზარალი, რომელიც რუსმა ფანებმა მინსკის სტადიონს მიაყენეს. თანხა აქაც სიმბოლურია — სულ 3 პლასტიკური სკამი დაუმტვრევიათ და 4 დაუზიანებიათ. თითოეულის ღირებულება 19 დოლარია.



REUTERS მინსკიდან

ბელარუს — რუსეთის მატჩს არეულობები მოჰყვა

# უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

## იტალია

მილანი: კრისტიან ციგე (მიდლსბრო, ინგლისი), ჯამპიერო მაინი (პარმა), ანდრე კრუზი (ტორინო), დეიან სავიჩევიჩი (რაპიდი, ავსტრია), მორფეო (ფიორენტინა), ოდო (ნაპოლი), კოკო (ტორინო), იანუცი (რეჯინა), დიდა (კორინთიანსი, ბრაზილია); **ანდრეი შევჩენკო (დინამო, უკრაინა), სერჟინიო (სან პაულუ, ბრაზილია), დიეგო დე აშენტისი (ბარი), ჯენარო გატუზო (სალერნიტანა), პიერლუიჯი ორლანდინი (პარმა), ალესანდრო ტეოდორანი (ჩეზენა), მაქს ტონეტო (ემპოლი)**; ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა)**; იუვენტუსი: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი)**; ინტერი: იური ჯორკაეფი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი)**; ფიორენტინა: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი)**; პარმა: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა)**; რომა: პაულო სერჟიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია)**; ბოლონია: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი), ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როჯატი (რავენა)**; უდინეზე: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალორი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უონდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლერუა, ბელგია), აკვასი (ლუგანო, შვეიცარია)**; ბარი: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი)**; კალიარი: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანონჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), ლილიზო (ვიჩენცა), მაიელო (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა)**; ლეჩე: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონნელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), კიმენტი (რომა), კიშიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი)**; პერუჯა: კოლონნელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი)**; პიაჩენცა: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი)**; რეჯინა: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა)**; ტორინო: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), კრუზი (მილანი), სილენცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკაია (იუვენტუსი)**; ვენეცია: რეკობა (ინტერი), აპინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია)**; ვერონა: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (პსჟ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტაზი (ფოჯა)**.

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული;*

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 034 | ჰამბურგი — შტუტგარტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 035 | ვერდერი — შალკე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 036 | დორტმუნდი — ვოლფსბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,5 |
| | 037 | მიუნხენი — ულმი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 038 | ფრაიბურგი — აინტრახტი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 22.08 | 039 | ლევერკუზენი — ბაიერნი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 040 | ჰანზა — კაიზერსლაუტერნი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 044 | ბერლინი — კარლსრუე | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 22.08 | 045 | მიონხენგლადბახი — ჰანოვერი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 046 | ფორტუნა — მაინცი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 047 | კიკერსი — ზანქტ პაული | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 048 | ობერჰაუზენი — კოტბუსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 23.08 | 049 | ოფენბახი — ნიურნბერგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 050 | ჩელსი — ასტონ ვილა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 051 | ქოვენთრი — დერბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 052 | ევერტონი — საუთჰემპტონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 053 | მიდლსბრო — ლივერპული | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 054 | ნიუკასლი — უიმბლდონი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| | 055 | უენსდი — ტოტენჰემი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 056 | უოტფორდი — ბრედფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 057 | ვესტ ჰემი — ლესტერი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 059 | ლიდსი — სანდერლენდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 22.08 | 058 | არსენალი — მანჩესტერი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.08 | 244 | ლიდსი — ლივერპული | 1,9 | 2,9 | 3,9 |

### ინგლისი. I დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 061 | ბირმინგემი — პორტ ვეილი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 062 | ბლექბერნი — ბარნსლი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 063 | ჩარლტონი — ნორვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 064 | კრისტალ პალასი — სუინდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 065 | გრიმსბი — ფულემი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 066 | იფსვიჩი — ბოლტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 067 | მანჩესტერ სიტი — შეფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 068 | პორტსმუთი — სტოკპორტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 069 | ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 070 | ტრანმერი — ჰადერსფილდი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 071 | უოლსოლი — ქრიუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ინგლისი. II დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 072 | ბლეკპული — ჯილინგემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 073 | ბორნმუთი — კოლჩესტერი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 074 | როვერსი — ოქსფორდი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | 075 | ბერი — ბრენტფორდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 077 | ჩესტერფილდი — კემბრიჯი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 078 | ნოტსი — სკანთორპი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 079 | ოლდემი — ბარნლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 080 | რედინგი — ლუტონი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 081 | უიგანი — ბრისტოლი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 082 | უიკომბი — პრესტონი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 22.08 | 083 | სტოკი — მილუოლი (17[00]) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. III დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 084 | ბრაიტონი — ტორკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 085 | კარლაისლი — ჰარტლპული | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 086 | ჩელტენემი — ჰალი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| | 087 | ექსეტერი — როტერჰემი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 088 | ჰალიფაქსი — პლიმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 089 | ლინკოლნი — ბარნეტი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 090 | მაკლსფილდი — სუონსი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| | 091 | პიტერბრო — ლეიტონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 092 | შრიუსბერი — დარლინგტონი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| | 093 | საუთენდი — მენსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 094 | იორკი — როჩდეილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.08 | 102 | ლანსი — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 103 | ბასტია — ნანტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 104 | ნიორი — ვალანსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | 105 | ლე მანი — კანი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | 106 | ნიმი — ლავალი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 108 | აიაჩო — ამიენი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 109 | შატორუ — ლილი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | 110 | ლუანი — სოშო | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 111 | ტულუზი — გენიონი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 112 | ვასკეალი — ლორიანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 113 | კრეტეი — კაენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 118 | ვალენსია — რასინგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 121 | ბილბაო — ბეტისი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 123 | მალიორკა — რეალი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 22.08 | 114 | ატლეტიკო — რაიო ვალეკანო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 115 | სევილია — სოსიედადი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 116 | ოვიედო — სელტა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 117 | ბარსელონა — სარაგოსა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 119 | მალაგა — ესპანიოლი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 120 | დეპორტივო — ალავესი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | 122 | ნუმანსია — ვალიადოლიდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 127 | ლეიდა — ვალიარეალი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 129 | ლას პალმასი — ტენერიფე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 133 | ლეგანესი — მერიდა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 22.08 | 124 | ბადახოსი — ხეტაფე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 125 | ალბასეტე — ეიბარი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 126 | სალამანკა — ელჩე (15[00]) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | 128 | ლოგრონიესი — ლევანტე | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | 130 | კორდობა — სპორტინგი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 131 | კომპოსტელა — რეკრეატივო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 132 | ოსასუნა — ტოლედო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 134 | ესტრემადურა — ატლეტიკო B | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### პორტუგალია. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 136 | ბოავიშტა — პორტუ | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 137 | სანტა კლარა — სპორტინგი | 6,0 | 3,6 | 1,4 |
| 22.08 | 138 | ალვერკა — ბრაგა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 139 | ამადორა — ბელენენსეში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 140 | ჟილ ვისენტე — კამპომაიორენსე | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 141 | სალგეირუში — მარიტიმუ | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 142 | ფარენსე — ლეირია | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | 143 | რიუ ავე — ბენფიკა | 6,0 | 3,6 | 1,4 |

### ჰოლანდია. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 145 | დენ ბოსხი — გრააფსხაპი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 146 | ჰერენვენი — სპარტა | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | 147 | როდა — ვალვაიკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 148 | ტვენტე — ნაიმეგენი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 149 | ტილბურგი — სიტარდი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 22.08 | 150 | ფეიენოორდი — კამბური (17[30]) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 151 | ვიტესი — პსვ | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ბელგია. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 152 | სენტ ტრუიდენი — ლოკერენი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 153 | სტანდარდი — გენტი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 154 | შარლერუა — ვესტერლო | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 155 | მუსკრონი — მეხელენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| | 156 | ბევერენი — ჰარელბეკე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 157 | გეელი — გენკი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| 22.08 | 158 | ბრიუგე — ბეერსხოტი (18[00]) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 159 | ლომელი — აალსტი (18[00]) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 160 | ლიერსი — ანდერლეხტი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ჩეხეთი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.08 | 162 | დუკლა — ბლშანი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 163 | სლავია — ლიბერეცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 164 | სიგმა — ჰრადეც კრალოვე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 165 | დრნოვიცე — ბანიკი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 166 | ვიკტორია — ბოჰემიანსი (13[15]) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 167 | იაბლონეცი — ბუდეიოვიცე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 168 | ტეპლიცე — სპარტა | 2,8 | 2,9 | 2,3 |

### პოლონეთი. VI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 169 | ლეხი — პოლონია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 170 | ლკს — გროცლინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 171 | გურნიკი — რაძიონკოვი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 172 | ზაგლებე — ვიძევი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 173 | ამიცა — პლოცკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 174 | ლეგია — ოდრა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.08 | 175 | რუხი — სტომილი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| | 176 | ვისლა — პოგონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### უკრაინა. VIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 177 | დინამო — მეტალურგი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 178 | ზირკა — ჩორნომორეცი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 179 | ტავრია — კარპატი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 180 | დნიპრო — მეტალისტი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 181 | კრივბასი — ცსკა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | 182 | ვორსკლა — ნივა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 183 | ზაპოროჟიე — მარიუპოლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 184 | შახტარი — პრიკარპატია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### შოტლანდია. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 185 | დანდი — სელტიკი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 186 | კილმარნოკი — მოზერუელი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | 187 | რეინჯერსი — დანდი იუნაიტედი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 188 | სენტ ჯონსტონი — ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 22.08 | 189 | ჰართსი — აბერდინი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |

### ავსტრია. IX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 190 | ტიროლი — ბრეგენცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 191 | ლუსტენაუ — აუსტრია | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 192 | რაპიდი — გრაცერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| | 193 | რიდი — ლინცერი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 194 | შტურმი — ზალცბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### შვეიცარია. IX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 196 | სენტ გალენი — ლუგანო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 197 | ლოზანა — ბაზელი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 198 | ლუცერნი — ქსამაქსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 199 | ციურიხი — არაუ | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 22.08 | 200 | დელემონი — გრასჰოპერი | 5,0 | 3,2 | 1,5 |

### დანია. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 202 | აკადემისკი — ბრონდბიუ (18[00]) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| | 206 | ოლბორგი — ორჰუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 22.08 | 201 | სილკებორგი — ესბიერგი (18[00]) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 203 | ჰერფიოლგე — ვაილე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 204 | ვიბორგი — ლიუნგბიუ (18[00]) | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 23.08 | 205 | კოპენჰაგენი — ოდენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### რუსეთი. XXI ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 207 | ჩერნომორეცი — ცსკა | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 208 | ზენიტი — როსტსელმაში | 1,8 | 2,8 | 3,8 |
| | 209 | შინიკი — ტორპედო | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 210 | ურალანი — ნ. ნოვგოროდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | 211 | ალანია — სატურნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | 212 | კრილია — ჟემჩუჟინა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 213 | დინამო — ლოკომოტივი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

### შვედეთი. XVIII ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 214 | აიკ — ფრიოლუნდა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 215 | ჰელსინგბორგი — მალმიო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | | 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 22.08 | 217 | ელფსბორგი — იორგრიტე | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| | 219 | გიოტებორგი — კალმარი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| 23.08 | 216 | ჰალმსტადი — ტრელებორგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | 218 | ნორჩიოპინგი — ჰამარბი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | 220 | იორებრო — იურგარდენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### ნორვეგია. XX ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.08 | 221 | ბორდიო გლიმტი — სტაბეკი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 222 | კონგსვინგერი — ოდ გრენლანდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 223 | ლილესტრიომი — სკეიდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | 224 | მოლდე — ბრანი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 225 | სტრიომსგოდსეტი — რუსენბორგი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 226 | ტრომსიო — მოსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 227 | ვოლერენგა — ვიკინგი | 2,3 | 3,0 | 2,7 |

### იტალიის სუპერთასი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 245 | მილანი — პარმა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### იტალია. თასის I ეტაპი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.08 | 228 | ლეჩე — ფ. ანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 229 | ტერნანა — ლუკეზე | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 230 | ჩეზენა — სამპდორია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 231 | სავოია — პალერმო | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 232 | ემპოლი — ლუმეცანე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 233 | ჯენოა — მონცა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 234 | პისტოიეზე — კრემონეზე | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 235 | ატალანტა — კიევო | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 236 | რეჯინა — ტრევიზო | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| | 237 | გუალდო — კოზენცა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| | 238 | ფერმანა — ნაპოლი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 239 | სალერნიტანა — კომო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 240 | რეჯანა — ბრეშა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 241 | სტაბია — პესკარა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | 242 | ვიჩენცა — ალძანო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 243 | სპალ — რავენა | 4,0 | 3,0 | 1,8 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.08 | 516 | ხორვატია — მალტა | 1,01 | 10,0 | 20,0 |

სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონობაზე ფსონების მიღება დროებით შეჩერდა, ახალი კოეფიციენტების გამოქვეყნებამდე!

შესავსები ქვითრის მარცხენა სვეტში არჩეული წყვილის შესაბამისი ნომრის მითითება აუცილებელია
(ნომრისა და წყვილის შეუსაბამობის შემთხვევაში პრიორიტეტულად ჩაწერილი წყვილი ჩაითვლება)

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# მუდამ უკმაყოფილო დავიდსი

*ამ ზაფხულს „იუვენტუსის“ ჰოლანდიელი ლეგიონერი ედგარ დავიდსი სატრანსფერო ბაზარზე დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენდა. დავიდსს თითქოს თავადაც სურდა კლუბის გამოცვლა, მაგრამ ჯერჯერობით ისევ „ბებერი ქალბატონის“ მაისურა აცვია. თანაც ერთ-ერთი მატჩის დროს მან თვალი დაიზიანა და ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ახლა ის მკურნალობს და 24 აგვისტოს ინტერტოტოს თასის ფინალის საპასუხო შეხვედრასაც გამოტოვებს ფრანგულ „რენთან“.*

*მისი „მოუთვინიერებლობის“ შესახებ კი არაერთხელ დაწერილა. ხანხადან წარმოშობით სურინამელს თავისი ქუჩის ბიჭობა უხეშობამდეც გადაეზრდება ხოლმე. ხალახანს, ინტერტოტოს თასის მატჩზე, როსტოვში ჩასვლისას ერთ მომხიბლავ რუს გოგონას ისეთი მუჯლუგუნი უთავაზა, ყველა გაოცებული დარჩა.*

*დღეს კი გთავაზობთ ინგლისური „უორლდ სოკერის“ რედაქტორის კირ რედნიჯის წერილს ედგარ დავიდსის შესახებ.*



ედგარ დავიდსი (№26) ყოველთვის ბოლომდე იხარჯება

„**მანჩესტერ** იუნაიტედს“ ის ძალიან უნდოდა. მისი გადაბირება „რომასა“ და „ბარსელონასაც“ სურდათ, მაგრამ ვერც ერთი ეს კლუბი დაბეჯითებით ვერ იტყოდა, რომ დავიდსის ყიდვის შემთხვევაში მის მოთვინიერებას მოახერხებდა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავიდსი საფეხბურთო ინტელექტით განთქმულ „აიაქსის“ აკადემიაში მოხვდა, ვერაფრით მოაშლევინეს ქუჩის ბიჭის თვისებები. 1996 წლის ზაფხულში, როცა „მილანში“ გადავიდა, მალევე „ბრწყინვალედ“ წარმოაჩინა ხასიათი. დავიდსმა თავისი „პორშე“ შუქნიშანზე გააჩერა, ამ დროს მას ვილაც ორი ველოსიპედისტი შეუჩნდა. ფეხბურთელი კი, იმის ნაცვლად, რომ წყნარად გაეგრძელებინა გზა, მანქანიდან გადმოვიდა და ორივე გალახა.

შემდგომშიც არასოდეს გაურბოდა კონფლიქტებს, თანაც მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყო მისი ოპონენტი — უბრალო ხულიგანი, მწვრთნელი, თანაგუნდელი, თუ მეტოქე. აიაქსელ თანაკოლეგებს მუდამ ეშინოდათ მისი გიჟური ტემპერამენტის და „პიტბულიც“ კი შეარქვეს, რადგან დავიდსს თავისუფლად შეეძლო ჩხუბი როგორც მეტოქესთან, ასვე თანაგუნდელთან, რომელმაც არაზუსტი პასი მიაწოდა.

70-იანი წლების დასაწყისში „აიაქსს“ „ტოტალური ფეხბურთის“ ფუძემდებელს ეძახდნენ, ფეხბურთისა, რომელშიც ჩინებულად იყო შერწყმული ათლეტიზმი და სილამაზე. ყველაფერს კი იოჰან კრუიფი ხელმძღვანელობდა. ორი ათეული წლის შემდეგ გუნდში ახალი თაობა მივიდა, რომელთა უმეტესობა სურინამიდან ჩასული ღარიბი ოჯახების შვილები იყვნენ. ამ თაობამ „აიაქსის“ კლასიკური სტილი აალორძინა.

დავიდსი სურინამის დედაქალაქ პარამარიბოში დაიბადა, მაგრამ ჰოლანდიაში გაიზარდა და კლარენს ზეედორფთან და პატრიკ კლუივერტთან ერთად „ახალი ტალღის“ ლერძსაც წარმოადგენდა. ისინი განუყრელნი იყვნენ და ნებისმიერ რასისტულ გამოხტომას ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ. ვეტერანებთან და მწვრთნელებთან კი მუდამ უთანხმოება ჰქონდათ.

მოთმინება არასოდეს ყოფილა დავიდსის თანამგზავრი. მას სურდა, ყველაფერი მოეგო და რაც შეიძლება ჩქარა. 24 წლისას კოლექციაში უკვე ჰქონდა ჩემპიონთა თასი, სუპერთასი, საკონტინენტთაშორისო თასი, უეფას თასი და ჰოლანდიის ჩემპიონის სამი ტიტული. 1996 წლის ზაფხულში თვალის ტრავმა ახალი მოშუშებული ჰქონდა, როცა ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. შოტლანდიელებთან პირველ მატჩში (0:0) დავიდსმა უხეიროდ ითამაშა და ძირითადიდან ამოვარდა. მომდევნო შეხვედრაში შვეიცარიასთან ის შეცვლაზე შეიყვანეს. ცუდი სპორტული ფორმის შესახებ მას გაგონებაც არ უნდოდა და როგორც კი საშუალება მიეცა, პირველივე ტელეინტერვიუში ჰოლანდიელთა მაშინდელ მწვრთნელ გუს ჰიდინკს დაესხა თავს, რომელიც თითქოს გუნდში თეთრ ვეტერანებს იწევდა და შავ ახალგაზრდებს ავიწროვებდა. აქ ჰიდინკის აღშფოთების წუთიც დადგა და მოთამაშისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა. დავიდსმა თქვა, რომ მხოლოდ ეთერში ნათქვამი სიტყვების გამო წუხს, თუმცა ძველებურადვე ფიქრობს. შედეგად, შუა ჩემპიონატის დროს ჰიდინკმა ის გუნდიდან გააძევა.

ნაკრებიდან დავიდსი თითქმის ორი წელიწადი გახლდათ მოკვეთილი. ჰიდინკს წყენა არ დავიწყებია და საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ქვეყნის მთავარ გუნდში არ მიუწვევია.

ევრო-96-ის დაწყებამდე კი დავიდსი „აიაქსიდან“ „მილანში“ გადავიდა. სწორედ იმ დროს, როცა გუნდის დაღმასვლა იწყებოდა. მალე სურინამელმა ფეხი მოიტეხა და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ეჩხუბა. ყველაფერი თავდაყირა დადგა: „მილანში“ გადასვლა დიდი შეცდომა იყო — ამბობს დავიდსი — ამაზე მწარე გამოცდილება საკლუბო კარიერის მანძილზე არ მქონია. მაგრამ ვეცადე, აქედან სასიკეთო დასკვნები გამომეტანა. კერძოდ, მივხვდი, რომ მსოფლიო დონის ფეხბურთელს საკუთარი თავის მოთოკვა უნდა შეეძლოს.“

1997-98 წლების სეზონის შუაში დავიდსი „იუვენტუსმა“ იყიდა, რათა ჩემპიონთა ლიგის გადამწყვეტ ეტაპზე გამოეყენებინა: „ის ჩემი გუნდის ნამდვილი ძრავაა“ — შეაქო მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ახალწვეული, მას შემდეგ, რაც დავიდსმა „მონაკოსთან“ და კიევის „დინამოსთან“ გუნდს დიდი სამსახური გაუწია. მაგრამ იმ წლის ყველაზე მთავარი მატჩი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, „იუვემ“ მადრიდის „რეალთან“ 0:1 წააგო. დავიდსი ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ მოხდა ასე.

მართალია, მოედნის ცენტრში თავის სამუშაო კარგად შეასრულა, მაგრამ ნერვები ვერ მოთოკა, ერთი ყვითელი ბარათი მიიღო და მეორესთანაც ახლოს იყო.

ჰიდინკმა კი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნდს აკომპლექტებდა, დავიდსი საფრანგეთში მაინც წაიყვანა. იუგოსლავიის ნაკრებთან მერვედფინალური მატჩის ბოლო წუთზე სწორედ დავიდსის ძლიერმა დარტყმამ გადაწყვიტა ყველაფერი. მაშინ სინიშა მიხაილოვიჩმა თქვა: „ეს დავიდსი ნამდვილი მხეცია!“ — თანაც ეს სიტყვები პატივისცემით წარმოთქვა და არა გასაბრაზებლად.

არავის გაკვირვებია, როცა „იუვენტუსის“ ჩავარდნას დავიდსის იმედგაცრუებაც მოჰყვა. შარშან „იუვემ“ სერია A-ც საშინლად ჩაატარა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც წააგო „მანჩესტერ იუნაიტედთან“. იმ მარცხში დავიდსი ყველაზე ნაკლებად იყო დამნაშავე. ის, როგორც ყოველთვის თავდავიწყებით თამაშობდა. მაშინ რაღა გასაკვირია, რომ როცა „იუვემ“ გამარჯვებულის ფსიქოლოგია დაკარგა, დავიდსმა სხვა კლუბში გადასვლა ითხოვა: „რაც უფრო მაღალია მიზანი, მით დამუხტული გამოვდივარ მინდორზე. ჩემთვის გამარჯვება აუცილებელია!“ — ამბობს დავიდსი და ამ მხრივ ვერაფერში შეეწინააღმდეგები.

„უორლდ სოკერი“

## ფეხბურთის რუკასთან



**ზამბიის** ნაკრების ყოფილი კაპიტანი კალუშა ბვალია აცხადებს, რომ კვლავ მიუბრუნდება აქტიურ ფეხბურთს. 35 წლის ბვალიამ საინფორმაციო სააგენტოებს განუცხადა, რომ იგი ბედნიერი იქნება, კვლავ უკაპიტნოს ზამბიის ნაკრებს აფრიკის პირველობაზე, რომელიც იანვარ-თებერვალში ცენტრალური აფრიკის ორ ქვეყანაში — განასა და ნიგერიაში გაიმართება. აფრიკის ყოფილმა საუკეთესო ფეხბურთელმა მას შემდეგ თქვა უარი თამაშზე, რაც ზამბიის ნაკრებმა 1998 წელს ბურკინა ფასოში გამართულ აფრიკის ბოლო თასზე ცუდი შედეგი აჩვენა, სულაც გავარდა პირველივე წრიდან. ტურნირის შემდეგ ზამბიელი მექსიკაში გადაბარგდა და იქაური კლუბის „ვერა კრუზის“ მოთამაშე-მწვრთნელი გახლავთ. თავისი მექსიკური ოდისეის შემდეგ ზანგს გული მოუბრუნდა შავ კონტინენტზე და ეროვნულ გუნდთან ერთად აფრიკის დალაშქვრა განუზრახავს.

**სამხრეთ** აფრიკის რესპუბლიკის უდიდეს ქალაქ იოჰანესბურგში შეკრებილან აფრიკის ფეხბურთის გავლენიანი პირები. ისინი იმაზე კამათობენ, ვინ უმასპინძლებს 2006 წელს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს. როგორც იცით, მასპინძლის ვინაობა გაისად უნდა გაირკვეს. აფრიკის ფეხბურთის მამამ — ისა აიატუმ თავისთან იხმო ორი აფრიკელი კანდიდატის — მაროკოსა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფედერაციების წარმომადგენლები, რათა ისინი დააჯეროს, რომ აფრიკის გამარჯვებისთვის აუცილებელია, ერთ-ერთმა ქვეყანამ მოხსნას კენჭისყრიდან თავისი კანდიდატურა, რადგან მეორეს გამარჯვების მეტი შანსი მიეცეს. ბუნებრივია, ეს არც მაროკოს სურს და, მით უმეტეს, არც სამხრეთ აფრიკას. არც ერთი არ თმობს. აიატუც მხარეებს მრგვალი მაგიდისკენ და მოლაპარაკებისკენ მოუწოდებს — ეს საქმე სხვაგვარად ვერ გადაწყდება — ამბობს იგი. აიატუს აზრს იზიარებს სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტი და ქვეყნის დიდი პატრიოტი ნელსონ მანდელა. მოლაპარაკებები ერთადერთი გზაა ამ პრობლემის გადასაჭრელად. აქ ბატონ მანდელას იმედი აქვს, რომ ბურთი და მოედანი მის მშობლიურ ქვეყანას დარჩება, რადგან ის გაცილებით შეძლებული და წელგამართული სახელმწიფოა, ვიდრე მაროკო.

**ხორვატიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი ამ შაბათს შინ, მალტასთან გასამართი თამაშისთვის სერიოზულად ემზადება. მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე რაც არ უნდა იყოს, მალტაა და არა, ვთქვათ, იტალია, ბლაჟევიჩი მაინც სერიოზულად უდგება მასთან თამაშს. „მე არ დავდევ ილუზიებს, რომ ეს იოლი მატჩი იქნება. მალტა თავს დაიცავს და მის ბოქლომს აუცილებლად უნდა მოვარგოთ გასაღები“ — ამბობს მთავარი მწვრთნელი, რომელსაც ძალიან აფიქრებს, რომ მის გუნდს თავდასხმაში ყველაფერი წესრიგში ვერა აქვს. და ეს რომ ასეა, იუგოსლავიასთან ბელგრადში ნათამაშევმა უგოლო ფრემაც ცხადყო. მალტას კარის დასაბომბად იგი თავდასხმაში აუცილებლად გაამწესებს ლონდონურ „არსენალში“ ახლახან გადასულ დავორ შუკერს და მას, ალბათ, ახალგაზრდა ტალანტს, ორის სიმიჩს წაახმარს. ამ ორს უკნიდან პასებს ზვონიმირ ბობანი და ალიოშა ასანოვიჩი მიაწვდიან. ალბათ, ხორვატია მოიგებს. მალტაში სწორედ მას დარჩა 4:1 გამარჯვება, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი 0:1 წააგო.

**იაპონური** ჯეი ლიგის ჩემპიონ „კაშიმა ანტლერსს“ სეზონი ერთობ ცუდად დაუწყია და გუნდის მენეჯერი ზე მარიო ადგილს ვერ პოულობს — მას სავარძლის დაკარგვის რეალური საფრთხე ემუქრება. აბა, რა საკადრისია, რომ ჩემპიონმა 18 თამაშიდან სულ რაღაც ექვსი მოიგოს და თექვსმეტგუნდიან ცხრილში სადღაც მე-13 ადგილზე იმყოფებოდეს. ორი საფეხურითაც თუ დაეშვა, „კაშიმა“ სულაც გასავარდნთა ზონაში მოექცევა. ჩაფიქრებულია კლუბის პრეზიდენტი მასარუ სუძუკიც. „გამოვცვლი მენეჯერს — ამბობს პრეზიდენტი — თუ საქმე ასე გაგრძელდა, აუცილებლად გამოვცვლი“. 50 წლის ბრაზილიელის შემცვლელიც ჩანს ჰორიზონტზე. იგი გუნდშია და სახელად ზიკო ჰქვია. ზიკო ამჟამად კლუბის ტექნიკური დირექტორია. მის ენერგიულ საქმიანობას სუძუკი კარგად ამჩნევს და წარსულში ამ დიდი ფეხბურთელის დიდი იმედი აქვს.

**შოტლანდიური** კლუბის „გლაზგო რეინჯერსის“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი მიხაელ მოლსი უარს აცხადებს, გაჰყვეს თავის გუნდს პარმაში, სადაც ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მატჩი გაიმართება „რეინჯერსსა“ და „პარმას“ შორის. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ მოლსის მეუღლეს თურმე დღე-დღეზე პირმშო უნდა შეეძინოს. მომავალ მამას ამ მატჩში თამაში სურს, მაგრამ... „ჩემი გული ლამის ორად გაიყოს — ალალად ამბობს მოლსი — „პარმასთან“ უმნიშვნელოვანესი თამაში გველის, მე კი იქ წასვლა არ შემიძლია. ეს ხომ ჩემი პირველი ბავშვია და ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს“. თამაში კი მართლაც მნიშვნელოვანია. „პარმა“ ვერას დიდებით შეეგუება გლაზგოში განცდილ მარცხს (იქ 0:2 წააგო) და საკუთარ კედლებში თავს არ დაზოგავს. მოლსი კარგი თავდამსხმელია. მან ბოლო ხუთ მატჩში შოტლანდიის პირველობაზე ერთბაშად შვიდი გოლი გაიტანა და ასეთი მეგოლე დიდი დანაკლისი იქნება სქოთებისთვის. არის იმედი, რომ მოლსი ჯერ შვილს მიუალერსებს და შემდეგ პარმაში გუნდს შეუერთდება. ბავშვს ორშაბათს ელიან, თამაში ოთხშაბათსაა. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ვაითუ ბავშვმა დაიგვიანოს.

**ბელგიის** ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლეს ჟორჟ ლიკენსი. მიზეზი: ევრო 2000 ახლოვდება, გუნდს კი ცუდი შედეგები აქვს. სტატისტიკა მოწმობს, რომ ლიკენსის ხელმძღვანელობით ბელგიის ნაკრებმა 28 თამაშიდან 10 მოიგო და 8 წააგო. ბოლო ცხრა შეხვედრაში მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა — გუნდმა 6 მარცხი იწვნია. ევრო 2000-მდე ბელგიელებს კიდევ 8 ამხანაგური მატჩი აქვთ ჩასატარებელი. სხვათა შორის, მათი სპარინგ პარტნიორები იქნებიან ჰოლანდია, ინგლისი და იტალია. ჯერჯერობით ლიკენსის საქმეს რობერტ ვასეიგე ჩაიბარებს.

**სარბიელის** საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20



ბადრი კვიციანიძის ფოტო

**ზაზა ფაჩულია**

*დაიბადა* 1984 წლის 10 თებერვალს

*სიმაღლე:* 210 სმ

*წონა:* 105 კგ

*ამპლუა:* თავდამსხმელი

*კლუბი:* „ულქერი“ (სტამბოლი, თურქეთი), ახალგაზრდული შემადგენლობა

საქართველოს კადეტთა და ჭაბუკთა ნაკრების წევრი

# შოკოლადის ყმაწვილი პარტიზანობას აპირებს

ზაზა ფაჩულია იმ თაობის წარმომადგენელია, რომელსაც დიდი მისია აკისრია: სწორედ მათ, დღევანდელმა კადეტ-ჭაბუკებმა უნდა ამოათრიონ ჭაობიდან მისიკვდილებული ქართული კალათბურთი და ფეხზე წამოაყენონ.

უნიჭობას ნაღდად ვერ დააბრალებ ქართველ ყმაწვილ კალათბურთელებს, მაგრამ ნიჭს ხომ შრომა და ოსტატობის ამაღლება სჭირდება. ამისთვის ფაჩულიამ რთული, მაგრამ ქართული კალათბურთის დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე ყველაზე მართებული გადაწყვეტილება მიიღო: სათამაშოდ უცხოეთის კარგ (და არა უსახურ) გუნდში წავიდა. მესამე სეზონია ფაჩულია თურქეთშია და ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში, სტამბოლის „ულქერის“ ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს. „ულქერი“, მოგეხსენებათ, შოკოლადის პროდუქციის მწარმოებელი მძლავრი ფირმაა, რომლის ფინანსურ შესაძლებლობებზე ლაპარაკი არ ღირს...

ამჟამად ფაჩულია თბილისშია და საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის ემზადება.

**— ზაზა, საუბარი დავიწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდით თურქეთში.**

— 1997 წლის 3 დეკემბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე, საქართველოსა და თურქეთს შორის, თურქეთის დელეგაციაში იყვნენ საკალათბურთო კლუბ „ფენერბაჰჩეს“ წარმომადგენლები. მათ მოინახულეს სულეიმან დემირელის სახელობის თურქული კოლეჯი, სადაც მე ვსწავლობდი. „ფენერბაჰჩეს“ წარმომადგენლებმა გაიგეს რომ კალათბურთში ვვარჯიშობდი. გადამიღეს სურათები, ჩაიწერეს ჩემი მონაცემები და გამოაქვეყნეს თურქეთის ერთ-ერთ გაზეთში.

1997 წელს საქართველოს კადეტთა ნაკრები იტალიაში აპირებდა წასვლას. შეკრებაზე კი ვიმყოფებოდი, მაგრამ გუნდში ვერ მოვხვდი. ჩვენმა ნაკრებმა იტალიაში ჩასვლა ვერ მოახერხა და აღმოჩნდა თურქეთში. თურქები თურმე ნაკრების რიგებში მელოდნენ და როდესაც იქ არ აღმოვჩნდი, „ულქერის“ მწვრთნელმა და მენეჯერმა თავად ჩამომაკითხეს და მიმიწვიეს თავისთან გასასინჯად.

**— თუ „ფენერბაჰჩეს“ წარმომადგენლებმა აიღეს თქვენი მონაცემები, ულქერელებმა როგორღა მოგაკითხეს?**

— ყველაფერი გაზეთიდან შეუტყვიათ. თურქეთში ჩასულს „ფენერბაჰჩეს“ ქართველმა კალათბურთელმა ზაზა ენდენმა (ენდელაძე) მითხრა, რომ გუნდს კი უნდოდა შენი აყვანა, მაგრამ ფინანსური პრობლემები ჰქონდათ და „ულქერმა“ დაგვასწროო.

**— პირობებით კმაყოფილი დარჩით?**

— რა თქმა უნდა. კარგი პირობები შემომთავაზეს, როგორც სავარჯიშო, ასევე საყოფაცხოვრებო. კონტრაქტის დადების დროს წარმოიშვა პატარა პრობლემები, რომლებიც საბოლოოდ ჩემს სასარგებლოდ გადაწყდა.

**— კონკრეტულად, რა პრობლემები?**

— დაჟინებით მთხოვდნენ თურქეთის მოქალაქეობის მიღებას და ეროვნების გამოცვლას, რათა იქაურ ნაკრებში თამაშის უფლება მიმეღო. აღნიშნულის სანაცვლოდ 50 ათასი დოლარიც კი შემომთავაზეს, მაგრამ სასტიკი წინააღმდეგი წავედი. გუნდის ხელმძღვანელობას გამოვუცხადე: თუ ჩემი წინადადება არ მოგწონთ, უკან ვბრუნდები-თქო და შემდეგ დამთანხმდნენ.

**— რას ითვალისწინებს კონტრაქტი და იგი რომელ წლამდე გააფორმეთ?**

— კონტრაქტი გაფორმებულია 2001 წლამდე, ანუ სანამ სრულწლოვანი არ გავხდები. მიქირავეს სამოთახიანი ბინა და ავეჯი. ამასთან ერთად, ყოველთვიურად მიხდიან ათას დოლარს.

**— მოქალაქეობა რომ მიგეღოთ, მაინც ათას დოლარს მიიღებდით?**

— არასრულწლოვნებს ყველას ერთნაირად უხდიან.

**— თქვენს გარდა უცხოელი გყავთ?**

— არის ერთი გერმანელი, რომელიც თურქეთის მოქალაქეა და სლოვენიაშიც ითამაშა კადეტთა ევროპის ჩემპიონატში თურქეთის სახელით. განსაკუთრებით ბევრნი არიან ბოსნიელები, რომლებიც თურქეთის მოქალაქეები არიან. ჩვენს გუნდში უცხოელად მარტო მე ვითვლებოდი.

**— „ულქერში“ კადეტთა გუნდში დაიწყეთ თამაში?**

— თურქეთში ჩავედი 1998 წლის თებერვალში. ჩემპიონატის დამთავრებას ბევრი აღარაფერი აკლდა და სეზონის ბოლომდე მხოლოდ ვვარჯიშობდი. 1998-99 წლის სეზონი კადეტთა გუნდში გავატარე, მოვიგეთ სტამბოლის ჩემპიონატი, თურქეთის პირველობაზე კი მესამე ადგილზე გავედით. გუნდის ხელმძღვანელობა ჩემი თამაშით კმაყოფილი დარჩა. გასული სეზონი ამ საშუალო მაჩვენებლებით დავასრულე: 22,5 ქულა, 14,7 მოხსნა, 4,6 პასი, 2,8 დაფარება, 1,9 ჩაჭრა. წესით კიდევ ერთი წელი უნდა გამეტარებინა კადეტებში, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ დამაწინაურეს და მომავალი სეზონიდან ახალგაზრდებში ვითამაშებ.

**— მალე გიხილავთ „ულქერის“ ძირითად შემადგენლობაში?**

— ძალიან დიდი კონკურენციაა და ჩემი ასაკის კალათბურთელისთვის „ულქერის“ ძირითადში თამაში ძნელი საქმეა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ჩეტინ ილმაზი, როცა დრო აქვს, ჩვენს ვარჯიშებს ესწრება. რამდენჯერმე ძირითადის კალათბურთელებთანაც ვივარჯიშე.

**— თურქული ადვილად ისწავლეთ?**

— თბილისში, დემირელის სახელობის კოლეჯში სწავლის დროს უკვე ვფლობდი ინგლისურს და თურქულს. თურქეთში ინგლისურენოვან კოლეჯში ვსწავლობ და, ამდენად, ენის მხრივ პრობლემები არ მაქვს.

**— თქვენს ასაკში ინგლისურის კარგად მცოდნე კაცმა შეიძლება სპორტი გვერდზე გადადოს და სამომავლოდ ბიზნესი ან მეცნიერება აირჩიოს...**

— კალათბურთი ჩემთვის გატაცება აღარ არის, დიდი ხანია პროფესია გახდა. ჩემი უმთავრესი მიზანი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშია.

**— თურქებთან კონტრაქტის გაგრძელებას აღარ აპირებთ?**

— ამ სეზონიდან მინდოდა ბელგრადის „პარტიზანში“ გადასვლა. ჩემი მენეჯერი მოლაპარაკებასაც აწარმოებდა, მაგრამ კოსოვოს ამბებმა შეგვიშალა ხელი.

**— რატომ გადაწყვიტეთ „პარტიზანში“ გადასვლა. თურქეთის ეროვნული ჩემპიონატი ხომ უფრო ძლიერია, ვიდრე იუგოსლავიის?**

— გეთანხმებით, თურქეთის ჩემპიონატი ძლიერია, მაგრამ იუგოსლავიის საკალათბურთო სკოლა მაინც სულ სხვაა. ვარჯიშის განსხვავებული მეთოდები აქვთ. როგორც კალათბურთელი, იქ უფრო გავიზრდები.

**— „ულქერმა“ რომ არ გაგიშვათ?**

— ამის უფლება არა აქვს. მას შეუძლია ჩემზე დახარჯული ფული მოითხოვოს და თუ დაინტერესებული გუნდი გადაიხდის, უნდა გამათავისუფლოს.

**— თუ „ულქერმა“ „პარტიზანზე“ მეტი თანხა შემოგთავაზათ?**

— ჯერჯერობით ჩემი უმთავრესი მიზანია კალათბურთის სწავლა, კალათბურთელად ჩამოყალიბება და არა ფულის კეთება. თუ კარგი პროფესიონალი გავხდები, ფული შემდეგაც მოვა და ბევრად უფრო მეტი. ასე რომ, თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, მომავალი წლიდან იუგოსლავიაში გადავალ.

**— „პარტიზანის“ ხელმძღვანელობა თუ არის თანახმა?**

— რა თქმა უნდა.

**— გავიგეთ, სლოვენიაში კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე, თქვენით ფრანგები დაინტერესებულან...**

— არ ვიცი, ჩემთან არავინ მოსულა.

**— თქვენი აზრით, მეტის მიღწევა თუ შეგეძლოთ?**

— რა თქმა უნდა. უხეში შეცდომები რომ არა, სულ მცირე, ფინალში თამაშს ვიმსახურებდით. კარგად კი თამაშობდა, მაგრამ ფრანგი დოროსთვის 41 ქულის გაკეთების საშუალება არ უნდა მიგვეცა. ეს ხომ მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო.

**— რამდენიმე დღეში სლოვაკეთში ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი იწყება...**

— იუგოსლავია უდავო ფავორიტია. ჩემი აზრით, სლოვაკებთან, რუმინელებთან და ავსტრიელებთან შედარებით, მომდევნო წრეში მოხვედრის მეტი შანსი გვაქვს ჩვენ და ფრანგებს.

**— საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ კალათბურთელებს აგარაკებზე ვაგროვებო. თუ არ ვცდები, ერთ-ერთი მათგანი თქვენც იყავით...**

— მართალია. ჯერ შოვში და შემდეგ ქობულეთში ვისვენებდი, რადგან გადაწყვეტილი მქონდა: თუ ჭეიშვილი დარჩებოდა ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად, გუნდში არ მეთამაშა.

**— რატომ?**

— სლოვენიაში მხოლოდ 20 წუთს მათამაშებდა და ამისთვის თურქეთიდან ჩამოსვლა ნამდვილად არ მიღირს.

**— იმედია, ჩერქეზიშვილი სლოვაკეთში უფრო დიდხანს გათამაშებს.**

— ჯერ ისიც არ არის გადაწყვეტილი, წავალ თუ არა სლოვაკეთში.

**— ეგ როგორ?**

— ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელობას ჯერაც არ მიუღია „ულქერის“ თანხმობა ჩემი გათავისუფლების შესახებ. „ულქერს“ ვარჯიშების დაწყება 12 აგვისტოს ჰქონდა დაგეგმილი. ალბათ განგებამ დამიფარა, ან უბრალო დამთხვევა იყო, რომ არ წავედი. სტამბოლში 17 აგვისტოს ხომ საშინელი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც უამრავი ადამიანი შეიწირა.

**— თქვენი კალათბურთით დაინტერესება რამ განაპირობა. ოჯახურმა ტრადიციამ თუ...**

— დედაჩემი მარინა კოდუა კალათბურთელი იყო. მამა დავით ფაჩულია კი ძიუდოისტი. ჩემი კალათბურთით დაინტერესებაში დიდი როლი ითამაშეს არა მშობლებმა, არამედ კალათბურთელმა კახა შენგელიამ. იგი ჩვენი ოჯახის ძალიან ახლო მეგობარია და თბილისში ბინის მიღებამდე ჩვენთან ცხოვრობდა. კახას დავყავდი კალათბურთის მატჩებზე და შეიძლება ითქვას, რომ მან მაზიარა სპორტის ამ სახეობას.

**როლანდ ლაგუჩიძე**

## თავისუფალი აგენტების ბაზარი

19 აგვისტო

*სიეტლ სუპერსონიქსი:* აიყვანა უგუნდო უკანახაზელი ფრედ ვინსონი

# გაბრიელ-გრიუნფელდის პაქტი: განა მენინგი ნიახურია?

მოუსვენარი კაცია „ორლანდო მეჯიქის“ გენერალური მენეჯერი ჯონ გაბრიელი: მარტო აგვისტოში ოთხი სერიოზული ყიდვა-გაყიდვა მოაწყო.

გაბრიელზე არანაკლებ აქტიურია „მილუოკი ბაქსის“ გენერალური მენეჯერი ერნი გრიუნფელდი. იგი ორიოდ დღის წინ შეუდგა მუშაობას და უმუშევრობის დროს დაგროვილი ენერგიას ახლა უწყებს გამოყენებას. ორმა გენერალურმა მენეჯერმა მოილაპარაკა და „ორლანდომ“ და „მილუოკიმ“ ორ-ორი კაცი გაუცვალეს ერთმანეთს. გაცვლილთაგან ყველა ვეტერანია, მათგან ყველაზე ახალგაზრდას ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ასპარეზობის რვაწლიანი სტაჟი აქვს.

მაშ ასე, გაბრიელ-გრიუნფელდის პაქტის მიხედვით: „ორლანდოდან“ „მილუოკიში“ გადავიდნენ ფორვარდი დენი მენინგი და უკანახაზელი დეილ ელისი. შებრუნებული მოძრაობა გააკეთეს ფორვარდებმა კრის გეტლინგმა და არმენ გილიამმა.



დენი მენინგმა ორ კვირაში ფინიქსი, ორლანდო და მილუოკი მოიარა

ვინ? მენინგი? ეს გვარი ხომ ორიოდ კვირის წინაც მოიხსენიებოდა ლიგის ტრანსფერებში? მართალია! 5 აგვისტოს იგი „ფინიქს სანზიდან“ გადმოვიდა „ორლანდოში“, მასთან ერთად პეტ გერიტიც, ხოლო „ორლანდოდან“ „ფინიქსში“ პენი ჰარდევეი გაეშურა. ორი კვირის შემდეგ მენინგი კვლავ გაყიდეს, ისე, რომ „მეჯიქის“ სავარჯიშო მაისურას ჩაცმაც ვერ მოასწრო. არადა, არაა დენი ის კაცი, ნიახურივით ხშირად რომ ყიდო: 33 წლის კაცი 1988 წლის დრაფტის პირველი ნომერი ყოფილა, ორჯერ ოლ-სტარში უთამაშია. 1988 წელს კი სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშედ აღიარეს.

არც მასთან შეწყვილებულს, 39 წლის დეილ ელისს ღირსებია „მეჯიქში“ თამაში, ეგაა, მან მენინგზე მეტხანს დაჰყო ორლანდოელთა სიაში. ელისი ორი თვის წინ გადმოვიდა „სიეტლიდან“. თუ გახსოვთ, მაშინ „სონიქსმა“ ოთხი კაცი მისცა „ორლანდოს“ ჰორას გრანტის სანაცვლოდ. ელისისთვის „მილუოკის ბაქსის“ გარემო ახალი არ იქნება: ამ გუნდში იგი 1990-92 წლებში თამაშობდა. თანაც, მას „მილუოკის“ მწვრთნელის, ჯორჯ კარლის ხელმძღვანელობითაც უთამაშია 1997-98 წლების „სიეტლში“. ელისმა წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 10,3 ქულა გააკეთა. ასეთი ცუდი შედეგი მას 1986 წლის შემდეგ აღარ ჰქონია. დეილს კარიერაში 1682 სამქულიანი ჩაუგდია და ამ მაჩვენებლით მხოლოდ „ინდიანა პეისერზის“ რეჯი მილერს ჩამორჩება.

„ორლანდოში“ მისული კრის გეტლინგი „მხოლოდ“ 31 წლისაა. იგი 1991 წლის დრაფტში აირჩია „გოლდენ სტეიტმა“. შემდეგ მან „მაიამიში“, „დალასში“, „ნიუ ჯერსისა“ და „მილუოკიში“ ითამაშა. 1997 წელს ოლ-სტარშიც მიიღო მონაწილეობა. წინა სეზონი მეტლინგს ჩაუვარდა: 48 მატჩში საშუალოდ 5,7 ქულა და 3,7 მოხსნა გააკეთა.

ვერც 35 წლის არმენ გილიამმა გაიბრწყინა წინა სეზონში — მატჩში საშუალოდ 8,3 ქულა უცუდესი მიღწევაა მის 12-წლიან კარიერაში. მას „მილუოკიში“ სამი სეზონი გაუტარებია. შარშან ძირითად ხუთეულში მოუწია გამოვლამ, მაშინ, როცა „ბაქსის“ ლიდერი გლენ რობინსონი დამტვრეული იყო. გილიამი 1987 წელს მოვიდა ლიგაში, დრაფტში „ფინიქსმა“ აირჩია. „მეჯიქი“ მისი მეექვსე კლუბი იქნება.

„მილუოკის“ მწვრთნელი ჯორჯ კარლი გარიგებით კმაყოფილია: „მენინგი უნივერსალია და ყველა შესაძლო პოზიციაზე თანაბარი სიძლიერით თამაშობს. ელისი კი ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო სნაიპერია. მათი მოსვლა გუნდს უკეთესს გახდის“.

ორლანდოელთა კომენტარი გაცვლა-გამოცვლის შესახებ უცნობია. თუმცა, ჯონ გაბრიელს ამისთვის ალბათ არ სცალია: იგი იმაზე ფიქრობს, ახლო მომავალში ვინ გაყიდოს და ვინ იყიდოს.

# სიეტლის მესამე ნალიგარი

„სიეტლ სუპერსონიქსისთვის“ ბოსტონის საზაფხულო ლიგას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონია. სხვაგვარად ვერ იფიქრებ, რადგან ხუთშაბათს გუნდმა ამ ლიგაში გამოცდილი უკვე მესამე კალათბურთელი აიყვანა. რუბენ პატერსონის და შემონდ ვილიამსის შემდეგ „სონიქსის“ განაცხადში ფრედ ვინსონის გვარი გაჩნდა. 28 წლის უკანახაზელმა „სიეტლიდან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ვინსონი სტუდენტობისას ჯორჯიის ტექნიკურ უნივერსიტეტში თამაშობდა. 1994 წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით „ატლანტა ჰოქსში“ მივიდა. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ხუთი მატჩი ითამაშა, მერე კი კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის „ნიუ მექსიკოში“ გადავიდა. ერთხანს ევროპაშიც დაიარებოდა, საბოლოოდ კი, ბოსტონის საზაფხულო ლიგის გავლით, „სიეტლში“ მივიდა.

ვინსონმა ბოსტონის საზაფხულო ლიგაში მატჩში საშუალოდ 15 ქულა გააკეთა და ნასროლი სამქულიანების 45 პროცენტი ჩააგდო. „სონიქსის“ მწვრთნელი პოლ ვესტფოლი ამით მოიხიბლა: „ფრედი ჯერ კიდევ შარშანდელი საზაფხულო თამაშებისას მომეწონა, მერე მისი აყვანა ლოკაუტის გამო ვერ მოხერხდა. წლევანდელ საზაფხულო ლიგაში მან შესანიშნავად ითამაშა, განსაკუთრებით შორიდან სროლებით გამოირჩევა. ვფიქრობ, იგი დაგვეხმარება“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი

# რიოსი შინ არ არის

ინდიანაპოლისი. აშშ
RCA CHAMPIONSHIPS
საპრიზო 870 000 $

არა, ნამდვილად ვერ არის მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი მარსელო რიოსი ფორმაში. აბა, სხვას რას უნდა მივაწეროთ კიკინიანი ჩილელის სამარცხვინო წაგება ფრანგ სებასტიენ გროსჟანთან. სად რიოსი და სად გროსჟანი... ამიტომაც ეს ფაქტი ყველამ მცირე სენსაციად აღიქვა. თუმცა არავის ავიწყდება, რომ რიოსი ამ მდგომარეობამდე თეძო-საზარდულის ტრავმამ მიიყვანა. ამის გამო მარსელოს ერთი თვე არ უთამაშია. მას ბრძოლის წყურვილი კი კლავდა, მაგრამ კორტზე გვარიანად შერცხვა — პირველი სეტი ხომ 4:6 წააგო, მეორე უფრო იოლად 2:6 დათმო და ტურნირს დაემშვიდობა. რიოსმა მატჩის შემდეგ თქვა, თქვენ დღეს ნამდვილი მარსელო არ გინახავთ, ჩვეულ ფორმაში ვერ ვარ, კორტზე თავს შინაურულად ვერ ვგრძნობდი და საერთოდ ბურთის შეგრძნება დავკარგეო.

რიოსის მარცხს განსაკუთრებული ყურადღება იმიტომ მიაპყრეს, რომ იმ დღეს იგი ერთადერთი იყო, ვინც რეიტინგით დაბლა მდგომ მეტოქეს თავი დააჩაგვრინა. მესამე წრიდან გავარდა მე-14 ნომრად განთესილი ფრანგი სედრიკ პიოლინი, მაგრამ იგი მეოთხე ნომერმა კარლოს მოიამ დაჩაგრა. რიოსის მძლეველი კი სულაც განუთესავია, კლასიფიკაციის ქვედა ფენების ბინადარი. ისე, მოიამაც ზუსტად ისეთივე ანგარიშით მოიგო, როგორც სებასტიენ გროსჟანმა.

მაშინ, როცა ყოფილი პირველი ჩოგანი იმ დღეს წყევლიდა, როცა ტრავმა მიიღო, პიტ სამპრასმა კიდევ ერთი ბარიერი დაძლია, ადვილად დაამარცხა ბელარუსი მაქს მირნი. მართალია, მაქსმა ანუ მაქსიმმა პირველ ჩოგანს თავიდან დიდი ბრძოლა გაუმართა და პირველ სეტში ტაი-ბრეიკამდე არ გატყდა, მაგრამ მირნი აბა, როგორ დაუდგება გვერდში სამპრასს. ჰოდა, მეორე სეტში მატჩი ნავარაუდევ კალაპოტში ჩადგა. პისტოლ პიტმა ამ მოგებით ზედიზედ გამარჯვებათა სერია 23-მდე გაზარდა.

თუ სამპრასი მეოთხედფინალშია, მერალა დავაშავეო, თქვა, ალბათ, ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა და პირველ ჩოგანს მიბაძა. სხვათა შორის, რაფტერმა, რომელმაც პირველ ჩოგნობის ბედნიერება სულ ერთი კვირით იგემა, თითქმის იმავე ანგარიშით მოუგო კანადელ დანიელ ნესტორს, როგორითაც პიტ სამპრასმა მაქს მირნის.

სამპრასს და რაფტერს ტურნირის კიდევ ერთი ფავორიტი დაემატათ — მეოთხედფინალში მესამე ნომრად განთესილი გუსტავო კუერტენი, მალე კი მას კიდევ ერთი განთესილი — ნიკოლას ლაპენტიც შეუერთდა.

მესამე წრე: **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6, 6:3; **პატრიკ რაფტერი** (2, ავსტრალია) — დანიელ ნესტორი (კანადა) 7:6, 6:2; **გუსტავო კუერტენი** (3, ბრაზილია) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 7:5; **კარლოს მოია** (4, ესპანეთი) — სედრიკ პიოლინი (14, საფრანგეთი) 6:4, 6:2; **სებასტიენ გროსჟანი** (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (6, ჩილე) 6:4, 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (11, ეკვადორი) — არნო დი პასკალი (საფრანგეთი) 6:4, 7:5; **იან სიმერინკი** (ჰოლანდია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:2, 6:3; **ვინს სპადეა** (აშშ) — არნო კლემენტი (საფრანგეთი) 7:5, 7:6.

ტორონტო. კანადის ღია პირველობა
საპრიზო 1 050 000 $

დიდ ტურნირებში მერვედფინალი (კანადის ღია პირველობის შემთხვევაში მესამე წრე) შეჯიბრების ის ეტაპია, სადაც განთესილებს პირველად უწევთ ერთმანეთთან ჭიდილი, თუ, რა თქმა უნდა, მათ ამ ეტაპამდე ყოველგვარი ხიფათის გარეშე მიაღწიეს. ისე, როგორც წესი, რვავე წყვილის წევრთაგან ყველა როდია განთესილი, საკმაო ნაწილი წინა წრეებში ემშვიდობება ტურნირს, მაგრამ ბობოლები რამდენიმე წყვილში მაინც ეჯახებიან ერთმანეთს, რაც, ბუნებრივია, უფრო დიდ ინტერესს იწვევს, ვიდრე შეხვედრები ძლიერსა და სუსტს შორის. ხუთშაბათს ტორონტოს კორტებზე კანადელმა გულშემატკივრებმა სამი ასეთი წყვილის ლამაზი ორთაბრძოლა იხილეს. ისე, ამ წყვილებშიც, კაცებისა არ იყოს (ინდიანაპოლისის პირველობა იგულისხმება), უმთავრესად უფრო ძლიერებმა, კლასიფიკაციაში [illegible] იმარჯვეს — სენსაცია არ მომხდარა. მოულოდნელობების [illegible] დღეს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

მეხუთე ნომრად განთესილი [illegible]ნჩა სანჩეს-ვიკარიო მეთორმეტე ნომერს — კონჩიტა მარტინესს ხვდებოდა. ამ ორმა ჩოგბურთში ჭიპმოჭრილმა ესპანელმა დიდი ბრძოლა გამართა. პირენეელი დიაცების ჯახმა კულმინაციას პირველი სეტის ბოლოს მიაღწია. არც ერთი თმობდა, ყოველ მოპოვებულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ტემპერამენტიანი სამხრეთელები დაშვებულ შეცდომასაც შესაბამისად განიცდიდნენ. კორტზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი მართლაც დაძაბული სანახაობის მოწმე გახდა. ბოლოს ყველაფერ[illegible]ანჩეს-ვიკარიოს სასარგებლოდ გა[illegible] ტაი-ბრეიკის მიწურულს ის უე[illegible]ესტი აღმოჩნდა და პირველი სე[illegible]მას დარჩა. როგორც შემდეგ გაირკვა, ამით არანჩამ ფაქტობრივად მატჩიც მოიგო, რადგან კონჩიტა მარტინესმა ბრძოლის ჟინი დაკარგა და მეორე სეტში გულმოცემული მეტოქის ყოჩაღობის მოწმელა იყო.

რაღა თქმა უნდა, მოიგეს ტურნირის უმთავრესმა ფავორიტებმაც. პირველმა ნომერმა მარტინა ჰინგისმა სულ იოლად, მეორე მონიკა სელეშმა და მესამე მერი პირსმა შედარებით ძნელად. სხვა მატჩებშიც განთესილებმა იმარჯვეს. განუთესავთა ერთადერთ წყვილში იანა ნოვოტნას მძლეველმა აი სუგიამამ წინა დღის ბრძოლის შემდეგ ძალა ვერ აღიდგინა და ნახევარფინალის საგზური ფრანგ ანე ჟილ სიდოტს დაეთმო.

მესამე წრე: **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (16, აშშ) 6:3, 6:1; **მონიკა სელეში** (2, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) 7:6, 6:3; **მარი პირსი** (3, საფრანგეთი) — ანკე ჰუბერი (გერმანია) 6:2, 7:5; **არანჩა სანჩეს-ვიკარიო** (5, ესპანეთი) — კონჩიტა მარტინესი (12, ესპანეთი) 7:6, 6:1; **ამანდა კუტცერი** (6, სამხრეთ აფრიკა) — მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) 4:6, 7:6, 6:2; **ბარბარა შეტი** (9, ავსტრია) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:3, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (10, საფრანგეთი) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:4, 7:6; **ანე ჟილ სიდოტი** (საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:4, 6:3.

**ივანე ძოზიაშვილი**

REUTERS ტელეფოტოდან



არანჩა სანჩეს-ვიკარიო

AP ინდიანაპოლისიდან



სებასტიენ გროსჟანი

## რაგბი

# ნაკრების ხათრით, თორემ...

**არგენტინელთა** კაპიტან პედრო სპორლედერს და ჰუკერ მარიო ლედესმას მსოფლიოს თასზე თამაშის უფლება მიეცათ. ასე გადაწყვიტა გუშინ არგენტინის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა. არადა, ერთი კვირის წინ რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა სპორლედერს ოთხთვიანი, ხოლო ლედესმას ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა იმის გამო, რომ ისინი არ გამოცხადდნენ არგენტინის ნაკრების საწვრთნელ მატჩზე მეორე დივიზიონის ერთ-ერთ კლუბთან.

ორივე მობურთალი ეროვნული გუნდისთვის მნიშვნელოვანი ძალაა და მათი უთამაშებლობა ნაკრებს მსოფლიოს თასზე ძალიან დაეტყობოდა — ერთ-ერთ მოწინავე გუნდიდან აუტსაიდერად აქცევდა. ამიტომაც იყო, ნაკრების ახალ დანიშნულმა მწვრთნელმა ექტორ მენდესმა ქვეყნის რაგბის კავშირის პრეზიდენტს მობურთალთა შეწყალების თხოვნით რომ მიმართა. თხოვნამ გაჭრა და ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, პრეზიდენტმა სპორლედერიც და ლედესმაც შეიწყალა. მალე ისინი ბრიტანეთში მყოფ თანაგუნდელებს შეუერთდებიან.



პედრო სპორლედერი

# მესამე გუნდიც ზედმეტია

## ავსტრალიას და ახალ ზელანდიას თავის ანგარიშები აქვთ

**სამი** ერის პირველობაზე ყველაფერი გარკვეულია. ახალზელანდიელები ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ გახდნენ ჩემპიონები. მეორე ადგილზე ავსტრალიელები გავიდნენ. შარშანდელი გამარჯვებულები, სამხრეთაფრიკელები კი ბოლო, მესამე ადგილს დასჯერდნენ. ამის მიუხედავად, ბოლო ტურის შეხვედრა ახალზელანდიელებსა და ავსტრალიელებს შორის დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ისაა, რომ მეტოქეთა დაპირისპირება ყოველთვის უშელავათოა და დიდი დაძაბულობით გამოირჩევა. გარდა ამისა, ბლედისლოუს თასიც ხომ პატრონს ელის. ეს ჯილდო ავსტრალიელებსა და ახალზელანდიელებს შორის თამაშდება და ორი მატჩის ჯამში მოგებულს გადაეცემა. პირველი შეხვედრა, რომელიც ახალ ზელანდიაში გაიმართა, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა — მომავალ შაბათს კი გუნდებს კვლავ მოუწევთ პაექრობა.

საამმატჩოდ „ვოლაბთა" მწვრთნელმა როდ მაკქვინმა, სამხრეთაფრიკელებთან შეხვედრისგან განსხვავებით, სამ ცვლილებას მიმართა. „ქურციკებთან" ორთაბრძოლაში დაწუნებულ ჯო როფის, ნათან გრეისა და ტომ ბოუმანის ნაცვლად გუნდში ჯეისონ ლითლი, მარკ კონორსი და როდ კაფერი ითამაშებენ. ტურნირის დაწყებისთვის როფი საუკეთესო ფორმაში იყო და სამხრეთაფრიკელებთან პირველი მატჩიც უმაღლეს დონეზე ჩაატარა, თუმცა მერე აშკარად მოუკლო და ძირითადი შემადგენლობიდანაც ამოვარდა. მის ადგილს მარცხენა ფრთაზე ვეტერანი ჯეისონ ლითლი დაიკავებს. გრეის მაგივრად მწვრთნელმა როდ კაფერი შეიგულა. უფრო ზუსტად კი, კაფერი შერკინების ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშებს, ამ ადგილზე მობურთალი ტიმ ჰორანი კი გრეის შეცვლის ცენტრში.

საუბარია ჯონ ილზისა და სტეფან ლარქემის დაბრუნებაზეც, მაგრამ მწვრთნელი ჯერჯერობით გადაჭრით არც „ჰოს" ამბობს და არც „არას". ისე, თუ გუნდში ორივე მობურთალი გამოჩნდა, მაშინ ახალწვეულებს, კონორსს და კაფერს მოუწევთ უქმობა. ყველაფერი ოთხშაბათ საღამოს გადაწყდება, როცა მაკქვინი ავსტრალიელთა საბოლოო შემადგენლობას დაასახელებს.

**პაატა თოთაძე**

# თბილისი ტაუმალოლოს ქალაქია

**ტონგელი** სიუა ტაუმალოლო შოტლანდიელ ალან ტაიტთან ერთად სანაკრებო დონეზე წლეულს მსოფლიოს საუკეთესო მელელოეთა სიას უდგას სათავეში. ორივე მათგანის ანგარიშზე ექვს-ექვსი ლელოა, მაგრამ თუ შოტლანდიელს ამის გასაკეთებლად ხუთი მატჩი დასჭირდა, ტაუმალოლომ ეს ორ თამაშში მოახერხა — ოთხი ლელო ქართველ ბორჯღალოსნებს გაუტანა, ორიც ფრანგებს. განსაკუთრებით იღბლიანი ტონგელისთვის ჩვენი „ეროვნულის" სარბიელი გამოდგა. მსოფლიოს თასის შესარჩევი ეტაპის საპასუხო შეხვედრაში პოლინეზიელთა მიერ გატანილი ხუთი ლელოდან სამი ტაუმალოლომ მიითვალა, ერთიც ნუკუალოფაში გამართულ პირველ მატჩში გაგვიტანა.

მისი თვისტომი, მცველი სატეკი ტუიპულოტუ მეექვსეა ბომბარდირთა შორის. ტუიპულოტუმ ოთხ მატჩში 62 ქულის მოგროვება შეძლო — 27 სამხრეთ კორეასთან, 5 საფრანგეთთან, 17 ფიჯისთან და 13 კანადასთან.



საქართველო — ტონგა. სტუმარ სიუა ტაუმალოლოს (ბურთით) ლელოების გატანაში ვერც ზაზა ლეჟავამ და ვერც სხვა ბორჯღალოსნებმა შეუშალეს ხელი

# ვისაც არ უნახავს სევილია
## ქართველებმა ანდალუზიაც ნახეს

დღეს სევილიაში მძლეოსანთა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატი იწყება. დღესვე საღამოს ჭოკით მხტომელი ქალები, ბირთვის მკვრელი და 20 კილომეტრზე სპორტულად მოარული კაცები ფინალში გაეჯიბრებიან ერთმანეთს და, ცხადია, მედლების მფლობელთა ვინაობაც გაირკვევა. სპეციალისტები გამარჯვებას, შესაბამისად, ავსტრალიელ ემა ჯორჯს, ამერიკელ ჯონ გოდინასა და ესპანელ ფრანცისკო ფერნანდესს უწინასწარმეტყველებენ.

ვიდრე სპორტსმენები სევილიურ სარბიელზე საასპარეზოდ გასულან, მანამდე წინასაშეჯიბრო ციებ-ცხელებაზეც ვთქვათ, მით უფრო, ბევრი რამ მოხდა ისეთი, ყურადღებას რომ იმსახურებს და სალაპარაკოდაც ღირს.

ქართველებით დავიწყოთ. ესპანეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენს ქვეყანას შუბის მტყორცნელი მაკა ობოლაძე, 1500 მეტრზე მორბენალი ზიგმუნდ ზილბერშტეინი და სპრინტერები თამარ შანიძე და რუსლან რუსიძე წარმოადგენენ. ამათ საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობის მეტ-ნაკლები გამოცდილება კი აქვთ, მაგრამ ასეთი დონის შეჯიბრში მათ წარმატებულ გამოსვლაზე ფიქრი ფანტაზიის ნაყოფი უფრო იქნება.

აი, ესპანელები კი, რომელთაც სამსოფლიოსჩემპიონატოდ 76 მძლეოსანი შეუგულებიათ, ცხრა მედლის მოპოვებას გეგმავენ. ფრანცისკო ფერნანდესზე წელან გითხარით, გარდა ამისა, პირენეელებს სიგრძეზე მხტომელების იაგო ლამელასა და ნიურკა მონტალვოსი, მარათონელების — აბელ ანტონის, მარტინ ფიცისა და ფაბინ რონსეროსი, 1500 მეტრზე მორბენლების ფერმინ კაჩოსი, რეიეს ესტევესი და ანდრეს დიასის ეიმედებათ. თუკი ამ მძლეოსნებმა კვარცხლბეკზე ასვლა შეძლეს, მაშინ ეს ესპანეთისთვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული ყველაზე ბევრი მედალი იქნება.

გუშინდელ „სარბიელშიც“ ვთქვით, სევილიაში უპირველეს ფავორიტებად ამერიკელები მიიჩნევნია. ოკეანისგაღმელები ევროპაში უძლიერესი მძლეოსნებით ჩავიდნენ.

მათგან კი მაინც სპრინტერები უნდა გამოვარჩიოთ — მსოფლიოს რეკორდსმენი 100 მეტრზე რბენაში მორის გრინი და წლეულს ყველაფრის მომგები მარიონ ჯონსი. ამ ქალბატონზე კი ღირს საგანგებოდ ვილაპარაკოთ, მით უფრო, ჩემპიონატზე აკრედიტებულ ჟურნალისტთა ყურადღებაც სწორედ მისკენაა მიპყრობილი.



მარიონ ჯონსმა სევილიამდე ყველაფერი მოიგო

მარიონ ჯონსი, რომელსაც უკვე „ყველა დროის უდიდეს მძლეოსანს“ უწოდებენ, სევილიიდან ოთხი ოქროს წაღებას აპირებს — იგი 100 და 200 მეტრზე, 4X100 ან 4X400 მ ესტაფეტაში და სიგრძეზე ხტომაში იასპარეზებს. თუკი 23 წლის ჩრდილოეთკაროლინელმა მძლეოსანმა ოცნება აისრულა, მაშინ იგი თვისტომ კარლ ლუისისა და გერმანელ მარიტა კოხის რეკორდს დაამხობს. ამ უკანასკნელებმა 1983 წლის ჰელსინკის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამ-სამი ოქროს დაუფლება შეძლეს.

მარიონ ჯონსს დღესვე იხილავენ სევილიის ოლიმპიურ სტადიონზე. ის ჯერ სიგრძეში ხტომაში იასპარეზებს, თხუთმეტი წუთის მერე კი 100 მეტრზე მორბენალთა შეჯიბრიც იწყება. ჰოდა, მარიონმა — ჩემი პირველივე ნახტომი ისეთი უნდა იყოს, ფინალში გასვლა რომ გავინაღდოო.

კვირას ჯონსი 100 მეტრზე ნახევარფინალში, საღამოს კი ფინალურ გარბენში იბრძოლებს, ეს რომ ასე იქნება, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

ოთხშაბათს ამერიკელი სიგრძეზე მხტომელთა გადამწყვეტ შეჯიბრში მიიღებს მონაწილეობას. მეორე დღეს 200 მეტრზე ფინალური გარბენია. ჩემპიონატის ბოლო დღეს კი — 29 აგვისტოს — მარიონი ერთ-ერთ ესტაფეტაში იასპარეზებს, თუ რომელში, ამას ამერიკელთა მთავარი მწვრთნელი გადაწყვეტს.

წლეულს მარიონ ჯონსმა 100 და 200 მეტრზე სეზონის საუკეთესო დრო 10,80 და 21,81 წამი აჩვენა. „ოქროს ლიგის“ ხუთ ტურნირშიც იმარჯვა, ალბათ, დარჩენილ ორსაც მოიგებს და ან მთელ, ან საზიარო მილიონ დოლარსაც ჩაიჯიბავს.

რახან ფულზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც გეტყვით, რომ ქალთა მძლეოსნობაში მარიონი აქაც პირველია. შარშან სხვადასხვა ტურნირის მოგებით მან ბიუჯეტი 633 333 დოლარით შეავსო. სევილიაში კი 200 ათას მწვანეს უმიზნებს — 180 000 სიგრძეზე ხტომაში, 100 და 200 მ სპრინტში და 20 000-იც ესტაფეტაში გამარჯვებისთვის.

გუშინ კი, ჯინსებსა და ყავისფერ მაისურაში გამოწყობილმა მარიონმა პრესკონფერენცია გამართა. სად, არ იკითხავთ? მდინარე გვადალკვივირის ნიჩბოსანთა კლუბის ბარში. მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან სევილიაში ჩასულმა ჟურნალისტებმაც იქ მოიყარეს თავი და მარიონს უამრავი კითხვა დააყარეს. ჯონსმა ჯერ დოპინგზე ისაუბრა: „იამაიკელი მერლინ ოტის მოკვეთამ შემძრა, მეცოდება მერლინი, როგორი საქმეა, კარიერის დასასრულს მოგკვეთონ, თანაც დოპინგის დადგენის პროცედურას მაინცდამაინც არ ვენდობი“. მერე კი მარიონი სიდნეის ოლიმპიურ თამაშებსაც [illegible] სიდნეიში ხუთი ოქროს მოპოვებას [illegible] ბობ, თანამემამულეების ჯესი ოუენსისა და კარლ ლუისის მიღწევები [illegible] ნდა გავაუმჯობესო, ოუენსმა ბერლინის, ხოლო ლუისმა ლოს ანჯელესის ოლიმპიადებზე ოთხი-ოთხი ოქრო დაისაკუთრეს“.

მარიონის ქმარმა, ამერიკელმა ბირთვის მკვრელმა ჯონ ჰანტერმა უნდა თქვას, ცოლი მყავსო.

სევილიაში რუსებიც დიდი ამბიციებით ჩავიდნენ. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები 10-12 მედლის მოპოვებას გეგმავენ. სვეტლანა მასტერკოვას (1500 მ), ელენა ნიკოლაევას (20 კმ სპორტული სიარული), ოლგა კუზნეცოვას (უროს ტყორცნა), მაქსიმ ტარასოვს (ჭოკით ხტომა), ოლგა შიშიგინასა და ნატალია სადოვას (ბადროს ტყორცნა) ნაღდად ხელეწიფებათ კვარცხლბეკზე ასვლა.

წელან, მარიონ ჯონსზე საუბრისას, მერლინ ოტი ვახსენეთ. იამაიკელი ჩემპიონატის დაწყებამდე ორი დღით ადრე მოკვეთეს. გუშინ კი კიდევ ერთი სისხლმოწამლული მძლეოსანი შერისხეს. ლაპარაკია ჰოლანდიელ სპრინტერ ტროი დუგლასზე, რომელსაც სისხლში აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ დუგლასი ადრე ბერმუდის კუნძულების სახელით ასპარეზობდა. ერთი სიტყვით, წამლისმოყვარულ მძლეოსანთა რიგები დღითიდღე იზრდება და თუ ასე გაგრძელდა, ვინძლო, ესპანეთში ჩასულთა უმრავლესობას IAAF-ის წამლისმოძულე ჩინოსნებმა საერთოდ მოანატრონ სარბიელზე გასვლა.

წერილის დასასრულს კი ორიოდ სიტყვით სევილიაზეც ვთქვათ.

ესპანელები ამბობენ — თუ არ გინახავს სევილია, მაშინ არ გინახავს მშვენიერებაო, ანდალუზიის დედაქალაქი მართლაც რომ გამოირჩევა უმდიდრესი კულტურით, არქიტექტურით, შუასაუკუნეებში აგებული სასახლეებითა და ტაძრებით. ქალაქის მშვენება კი წმინდა მარია დე ლა სედას კათედრალური ტაძარი გახლავთ. როგორც ესპანელები ირწმუნებიან, აქ არის დაკრძალული კოლუმბი.

ისიც გავიხსენოთ, რომ სევილია ამაყი და თავისუფალი კარმენის, მექალთანე დონ ჟუანისა და ყველგანმყოფი ფიგაროს სამშობლოა.

მალე კი ანდალუზიის დედაქალაქის თანამედროვე ისტორიაში მძლეოსანთა მსოფლიოს მეშვიდე ჩემპიონატიც ჩაიწერება.

**სოსო ძოტორეიშვილი**

REUTERS სევილიიდან



მარია მუტოლა და სვეტლანა მასტერკოვა



100 მეტრის ფავორიტი — მორის გრინი

### ექვსივე მსოფლიოს ჩემპიონატი

**ვინ რამდენი?**

**ქვეყანათა მონაგარი**

| | ო | ვ | ბ |
|---|---|---|---|
| აშშ | 60 | 33 | 39 |
| გერმანია,გდრ | 38 | 34 | 37 |
| რუსეთი,სსრკ | 28 | 43 | 42 |

**კაცები (ოქრო)**

| | |
|---|---|
| კარლ ლუისი (აშშ) | 8 |
| მაიკლ ჯონსონი (აშშ) | 7 |
| სერგეი ბუბკა (სსრკ,უკრაინა) | 6 |

**ქალები (ოქრო)**

| | |
|---|---|
| ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) | 4 |
| გეილ დივერსი (აშშ) | 4 |
| ტატიანა სამოილენკო (სსრკ,რუსეთი) | 3 |
| გვენ ტორენსი (აშშ) | 3 |
| ჯირლ მაილს-კლარკი (აშშ) | 3 |
| საბინე ბუში (გდრ) | 3 |
| მარიტა კოხი (გდრ) | 3 |
| სილკე მელერი (გდრ) | 3 |
| მერლინ ოტი (იამაიკა) | 3 |

**ყველა მედალი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| კარლ ლუისი | 10 |
| მაიკლ ჯონსონი | 7 |
| ბაჩ რეინოლდსი (აშშ) | 7 |
| სერგეი ბუბკა | 6 |
| მაქსიმ ტარასოვი (სსრკ,რუსეთი) | 4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| მერლინ ოტი | 14 |
| გვენ ტორესი | 8 |
| ირინა პრივალოვა (სსრკ,რუსეთი) | 6 |
| ჰაიკე დრექსლერი (გერმანია,გდრ) | 6 |
| გეილ დივერსი | 6 |
| ჯირლ მაილს-კლარკი | 6 |

## მსოფლიოს VII ჩემპიონატის ფინალთა განრიგი

21 აგვისტო. შაბათი
ჭოკით ხტომა — ქალები
ბირთვის კვრა — კაცები
სპორტული სიარული 20კმ. — კაცები

22 აგვისტო. კვირა
100 მ. — ქალები
100 მ. — კაცები
უროს ტყორცნა — კაცები
შვიდჭიდი — ქალები

23 აგვისტო. ორშაბათი
ბადროს ტყორცნა — ქალები
სიმაღლეზე ხტომა — კაცები
სიგრძეზე ხტომა — ქალები
3000 მ. წინაღობებით — კაცები

24 აგვისტო. სამშაბათი
უროს ტყორცნა — ქალები
სამხტომი — ქალები
800 მ. — ქალები
1500 მ. — კაცები
10 000 მ. — კაცები

25 აგვისტო. ოთხშაბათი
სპორტული სიარული. 50 კმ. — კაცები
სამხტომი — კაცები
ბირთვის კვრა — ქალები
110 მ. თარჯრბენი — კაცები
400 მ. თარჯრბენი — ქალები
ათჭიდი — კაცები

26 აგვისტო. ხუთშაბათი
ჭოკით ხტომა — კაცები
400 მ. — ქალები
400 მ. — კაცები
10 000 მ. — ქალები

27 აგვისტო. პარასკევი
სპორტული სიარული. 20 კმ. — ქალები
200 მ. — ქალები
200 მ. — კაცები
400 მ. თარჯრბენი — კაცები
5000 მ. — ქალები

28 აგვისტო. შაბათი
მარათონი — კაცები
სიგრძეზე ხტომა — კაცები
შუბის ტყორცნა — ქალები
110 მ. თარჯრბენი — ქალები
5000 მ. — კაცები

29 აგვისტო. კვირა
მარათონი — ქალები
სიმაღლეზე ხტომა — ქალები
შუბის ტყორცნა — კაცები
4X100 მ. — ქალები
4X100 მ. — კაცები
1500 მ — ქალები
800 მ. — კაცები
4X400 მ. — ქალები
4X400 მ. — კაცები

# მწვანე წვიმა გაზარდე შვილიშვილები, ლანს!



ლანს არმსტრონგი

რა თქმა უნდა, ველომრბოლები თავის შემოსავლებით ოგბურთელებს, ფეხბურთელებს და მოკრივეებს ვერ შეე- ფრებიან, მაგრამ მათაც საკმაოდ ბევრი ფულის მოხვეჭა ძლუძთ. ამისთვის რომელიმე დიდ ტურნირში გამარჯვება და მრბოლთა ელიტაში შესვლაა საჭირო. დიდი ტურნირი ევროპაში სამია — „ჯირო“, „ტური“ და „ვუელტა“ — შესაბამისად იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის გარ- შემო რბოლები. თუ რომელიმე მათგანის საბოლოო ჩათვ- ლაში პირველი საფეხური დაიკავე, იმდენ ფულს იშოვი, შენი შვილიშვილებიც (რა თქმა უნდა, თუ ისინი გეყოლე- ბა), კი უზრუნველად გაატარებენ თავიანთ ცხოვრებას.

დაახლოებით ასეთი რამ მოუვიდა წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ გამარჯვებულ ამერიკელ ლანს არმსტრონგს. გუნდმა, რომლის ღირსებასაც იგი მსოფლიოს გზებზე იცავს, „პოსტალმა“ მას მომავალი წლისთვის ახალი კონტრაქტი გაუფორმა. თუ 1999 წელს „ტურის“ გმირი ხელფასის სახით 500 ათას დოლარს (დაახლოებით 950 ათასი ლარი) იღებდა, საუკუნის ბოლო წელს იგი ოთხჯერ მეტს, 2 მილიონ დოლარს (3,8 მილიონი ლარი) ჩაიჯიბავს.

არმსტრონგის შემოსავლები ამით არ შემოიფარგლება. იგი „პოსტალისგან“ პრემიების სახითაც გვარიან თანხას მიიღებს და სარეკლამო საქმიანობითაც კარგად გაისქე- ლებს ჯიბეს. ველომრბოლმა რამდენიმე ახალ სარეკლამო კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლების მიხედვითაც მას 2004 წლამდე მთელი 6 მილიონი დოლარი (11,4 მილიონი ლარი) ერგება.

„ლანსი ცოტა არ იყოს, გაოგნებული და განცვიფრებუ- ლია ყოველივე იმით, რაც დღეს ხდება — განუცხადა ჟურნალისტებს 1999 წლის „ტურ დე ფრანსის“ მომგების აგენტმა ბილ სტეპლტონმა — ციფრები ნამდვილად ძალი- ან. მაღალია და ეს მასზე ოდნავ დამთრგუნველადაც მო- ქმედებს“.

იქნებ ამდენი ფული ვინმესთვის მართლაც დამთრგუნვე- ლი იყოს და განსჯის უნარიც წაართვას, მაგრამ არმსტრონგს ეს ნამდვილად არ ეტყობა. სიმდიდრე მას თავში არ ავარ- დნია და გაჭირვებულთა დახმარებაც არ დავიწყებია. 27 წლის სპორტსმენმა საჯაროდ განაცხადა, რომ გაისად თა- ვისი ხელფასიდან 250 ათას დოლარს (475 ათასი ლარი) იგი კიბოს გამოკვლევის ცენტრს გადაურიცხავს. ეს ცე- ნტრი, რომელიც არმსტრონგის სახელობისაა, იმ ქალაქშია, სადაც ამჟამად მრბოლი ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინ თვით ლანსიც სათესლე ჯირკვლების კიბოთი იყო დაავა- დებული და ამ ცენტრში მორჩა, რის შემდეგაც „ტურ დე ფრანსის“ მოგება ნამდვილად გმირობის ტოლფასი იყო.

არადა, არმსტრონგის სიტყვას რომ ფასი ნამდვილად აქვს, ახლავე დარწმუნდებით. ფირმები, რომელთა რეკლა- მირების მიზნითაც ველომრბოლი საჯაროდ ილაპარაკებს, 100 ათას დოლარს (თითოეული) გადაუხდიან.

ბევრი, ალბათ, მის ადგილზე ენაგაუჩერებლად ილაქლა- ქებდა.

**გაგი გურული**

# განხეთქილების მთა

## აბრაამ, ჩემპიონი ხარ!

**ესპანეთში დასრულდა ველომრბოლთა კიდევ ერთი ტურნირი — „ბურგოსის ტური“. საბოლოო გამარჯვება, როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანელმა აბრაამ ოლანომ (ონსე) მოიპოვა. იგი ამჟამად საკმაოდ კარგ ფორმაშია და „ვუელტას“, რომელიც ოთხ სექტემბერს იწყება, ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაც არის მიჩნეული.**

ხუთშაბათს 157-კილომეტრიანი მეოთხე ეტაპი გაიმართა, რომლის ფი- ნიშიც უმაღლესი კატეგორიის სიძნე- ლის მთა ლას ლაგუნას დე ნეილაზე იყო მოწყობილი. ფინიშის ხაზი პირ- ველმა იტალიელმა ლეონარდო პიე- პოლიმ (ბანესტო) გადაკვეთა, ოლანო მას 51 წამით ჩამორჩა, მაგრამ საე- რთო ჩათვლაში ლიდერობა მაინც შე- ინარჩუნა. მთელი გზის მანძილზე „ონსეს“ ლიდერს თავისი ყოფილი გუ- ნდის „ბანესტოს“ წევრების იერიშების მოგერიება უწევდა, რომელთაგან გა- დამწყვეტი შეტევა პიეპოლიმ და მი- სმა ესპანელმა თანაგუნდელმა ხოსე მარია ხიმენესმა ლას ლაგუნას დე ნეილსთან მიახლოებისთანავე წამოი- წყეს.

თავიდან ოლანომ მოწინააღმდეგეე- ბის გამოდევნება შეძლო, მაგრამ მერე მასავით დაწინაურებულებს გამოკიდ- ებულ იტალიელ დარიო ფრიგოს ოდნავ შეეჯახა და ველოსიპედიდან ჩამოხ- ტომაც მოუხდა წაქცევისგან თავის ასა- რიდებლად. ამ მცირედმა ფათერაკმა მას დაახლოებით ნახევარი წუთი და- აკარგვინა, რითაც მშვენივრად ისარ- გებლა „ბანესტოს“ დუეტმა და გამარ- ჯვებულიც ერთმანეთში გაარკვია.

ისე, საინტერესოა, რომ შარშან „ვუ- ელტას“ დროს სწორედ ამ მთის ფერ- დობზე მომხდარი ამბის გამო მიატოვა ოლანომ „ბანესტო“. მაშინ, მორიგი ეტა- პის დამთავრებამდე ორი კილომეტრით ადრე ხიმენესმა იერიში წამოიწყო და საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფი თავისი ლიდერი ოლანო ჩამოი- ტოვა, რაც ამ უკანასკნელმა ვერ აიტა- ნა და ახალი გუნდიც გამოძებნა.

დავუბრუნდეთ „ბურგოსის“ ტურს. მე- ხუთე და უკანასკნელი ეტაპი გუშინ შუადღისას დამთავრდა. მრბოლებს ბელორა- დოსა და ბურგოსს შორის 160 კილომე- ტრი ჰქონდათ დასაფარი. პროგნოზე- ბის შესაბამისად, პელოტონმა ეტაპი მშვიდობიანად დაასრულა და გამარჯვე- ბულის ვინაობაც საფინიშო სპრინტში გაირკვა. გერმანელი მარსელ ვუსტი (ფე- სტინა) ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა.

დისტანციაზე ერთი „ღირშესანიშნა- ვი“ აღმართიც კი არ იყო და ამიტო- მაც მრბოლებმა გზა, საკმაოდ ძლიერი პირქარის მიუხედავად, ძალიან სწრა- ფად გაიარეს. დღის მთავარი შეტევა ესპანელი ანხელ კასტრესანას ანგარი- შზეა, ვინც პელოტონს მე-20 კილომე- ტრზე გაექცა და მისი დაწევა მხო- ლოდ ფინიშამდე 14 კილომეტრით ადრე მოხერხდა. სპრინტში კი ვუსტმა შველ გლენ მაგნუსონსა და იტალიელ დანი- ელე გალის აჯობა.

საერთო ჩათვლაში ოლანოს გამარჯ- ვება ბოლო ეტაპის წინ ეჭვს თითქმის აღარ იწვევდა. პირველი ეტაპის, ინდი- ვიდუალური რბოლის მოგების შემდეგ, ლიდერის მაისურა მას არც გაუხდია. „ვუელტას“ დაწყებამდე ორი კვირით ადრე მიღწეულმა ამ წარმატებამ მას საკუთარი ძალების რწმენა უნდა შემა- ტოს, რაც, ალბათ, ნამდვილად სჭირ- დება მეტად უხეიროდ ჩატარებული „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ.

**გაგი გურული**



მეხუთე ეტაპის გამარჯვებული მარსელ ვუსტი



# კარტი მოგბინდა, ჟან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა I-ის ყველაზე სტაჟი- ანი მრბოლი, 35 წლის ჟან ალეზი წლევანდელი სეზონის დასრულების შე- მდეგ „ზაუბერს“ დატოვებს. ფრანგმა პილოტმა ამის თაობაზე ორიოდე დღის წინ თავად განაცხადა.



ჟან ალეზი

ეს ცნობა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა, თუკი პეტერ ზაუბერის გუ- ნდში ალეზის ორწლიან უსახურ გა- მოსვლას გავითვალისწინებთ. შარშან მან სულ 9 ქულა დააგროვა და მე-11 ადგილს დასჯერდა, წლეულს კი უა- რესად ასპარეზობს — 11 რბოლის შე- მდეგ ერთადერთი ქულით სატურნირო ცხრილის მე-15 საფეხურზეა. მართა- ლია, თავად მაინც რიხიანად აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ სუსტ მანქა- ნაში ვზივარ, ჩემს საყვარელ იტალიი- სა და იაპონიის ავტოდრომებზე წარ- მატების იმედი მაქვსო, გვეეჭვება, ხე- ირიანი შედეგი აჩვენოს.

ალეზის 10-წლიან კარიერაში „ზაუ- ბერი“ მეოთხე გუნდია. ამ ხნის მანძი- ლზე იგი 162 რბოლაში გამოსულა, რო- მელთაგან მხოლოდ კინკილა დიდი პრი- ზი აქვს მოგებული — 1995 წელს, კანადაში. მართალია, ეტაპთა რაოდე- ნობა პილოტის გამოცდილებაზე მეტ- ყველებს, მაგრამ ყოველთვის როდი ეთა- ნადება მისი ოსტატობის დონეს. რბო- ლების რიცხვით ალეზიმ ლეგენდარულ აირტონ სენასაც გაასწრო, მაგრამ რა? ბრაზილიელმა „ჯადოქარმა“ 161-დან 41 მოიგო, ფრანგის „მიღწევაზე“ კი უკვე მოგახსენეთ.

ბოლოდროინდელი ჩავარდნის მიუ- ხედავად, ალეზი სპორტიდან წასვლას ნაადრევად თვლის — რაკი საკუთარი შესაძლებლობები სრულად არ ამომი- წურავს, კიდევ 3-4 სეზონს ვირბოლებ და მერეღა გავალ პენსიაშიო. არაა გა- მორიცხული, გაისად აშშ-ში გადაბა- რგდეს და იქაურ „კარტის“ ჩემპიონა- ტში სცადოს ბედი. თავად ჟანი ამერი- კულ სერიაში ასპარეზობას ბევრად სა- ინტერესოდ მიიჩნევს, რადგან იქაური ბოლიდები ერთმანეთისგან პრაქტიკუ- ლად არაფრით განსხვავდება და ამდე- ნად, პილოტების ოსტატობაზეც გაცი- ლებით მეტია დამოკიდებული, ვიდრე ფორმულაში.

ერთი სიტყვით, ალეზი „ზაუბერს“ გულნატკენი ტოვებს და დარწმუნებუ- ლია, რომ ამ სუსტ გუნდში თავისი ძალა მხოლოდ სანახევროდ გამოავ- ლინა. ერთ-ერთ ბრალდებად კი იმას უთვლის, რომ ავსტრიაში რბოლას ავზის დაცარიელების გამო გამოეთი- შა. ამაში ზაუბერმა თავად პილოტი დაადანაშაულა — ზედიზედ სამი წრე ალეზის ბოქსებში შესვლის ნიშანს ვა- ძლევდით, მაგრამ აინუნშიც არ ჩააგ- დოო.

ანალოგიურ სიტუაციაში ფრანგი მრ- ბოლი ორი წლის წინათაც აღმოჩენი- ლა, ავსტრალიის დიდი პრიზის გათა- მაშებისას. ჟანი ჯერ რადიოთი გაუფ- რთხილებიათ, შემდეგ სადემონსტრა- ციო დაფითაც მიუთითებიათ საწვავის სიმცირეზე, ბოლოს კი ხელების ქნე- ვით უცდიათ მისი ყურადღების მიპყ- რობა, მაგრამ უშედეგოდ.

ეს ორი შემთხვევა იქნებ იმაზე უფრო მეტყველებს, რომ დროა, შტატებში გა- მგზავრების ნაცვლად ალეზიმ სხვა გა- დაწყვეტილება მიიღოს.

**ირაკლი ნიკოლაძე**



# შიშს დიდი თვალები აქვს

## ოლიმპიზმის მშენებლის მორალური კოდექსი

**სიდნეის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადება რა ხანია დაიწყო და, თუ თამაშების ორგანიზატორთა მთავარი საზრუნავი აქამდე ინფრასტრუქტურისა და სპორტული ბაზების კეთილმოწყობა გახლდათ, ახლა ოლიმპიური ბატალიების პერიოდში სკანდალების თავიდან აცილება აფიქრებთ. ეტყობა, ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტი საამისო თადარიგს აქედანვე იჭერს. ამისთვის მათ გამოსცეს საგანგებო დეკლარაციაც, რომელიც თამაშების დღეებში სპორტსმენთა თუ ოფიციალურ პირთა მოვალეობებს აზუსტებს.**

„ავსტრალიის ოლიმპიური ნა- კრების წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან ყოფაქცევის მკაცრი კოდექსი, რათა თავიდან აიცილონ სკანდალები“ — წერენ ავსტრალიური გაზეთები.

პრესის ცნობით, ამ კოდექსის თანა- ხმად, გაისიდან სიდნეის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პირნი ვალ- დებულნი არიან იცოდნენ სპორტსმე- ნთა ყოველი ფეხის ნაბიჯი, თუ რას აკეთებენ ისინი“.

ამ სიფრთხილის მიზეზი გახლავთ ის საფრთხე, რომ შესაძლოა ოლიმპი- ური გუნდის წევრები გაეხვნენ ამა თუ იმ სკანდალში, მათზე კი საზოგადოე- ბის მთელი ყურადღება იქნება მიმარ- თული, მით უმეტეს, შინ.

ავსტრალიაში ამგვარი საფრთხე მას შემდეგ გაიზარდა, რაც ქვეყანაში მო- მრავლდა ინციდენტები, რომელთა „მო- ქმედი პირნი“ მორაგბეები აღმოჩნდნენ.

„ზნეობის დეკლარაციას“ ხელი მო- აწერა ავსტრალიის ოლიმპიური კომი- ტეტის პრეზიდენტმა ჯონ კოუტსმა. კოდექსი რატიფიცირებულია ავსტრა- ლიის ეოკ-ის აღმასრულებელი კომი- ტეტისა და სპორტსმენთა კომისიის მი- ერაც“ — იუწყებიან გაზეთები.

კოდექსით გათვალისწინებული ყო- ფაქცევის ნორმების დარღვევის შემ- თხვევაში ცდომილთ ემუქრებათ გუნ- დიდან გარიცხვა და ფინანსური ჯა- რიმები.

დოკუმენტი ნაკრების ადგილსამყო- ფელ ბაზებსა და სპორტულ არენებზე ქცევის განსაკუთრებულ წესებზე მიუ- თითებს. იგი კრძალავს ალკოჰოლის მიღებას, პრესკონფერენციების გამა- რთვას, ინტერვიუების მიცემას, საკუ- თრების დაზიანებას...

გუნდების ხელმძღვანელები ვალდე- ბულნი არიან მეტი პასუხისმგებლობა იკისრონ სპორტსმენთა ყოფაქცევაზე, არა მხოლოდ შეჯიბრებისას, არამედ მისი დამთავრების შემდეგაც.

— ეს არ არის კონსერვატორი ოფი- ციოზის მითითებანი — განაცხადა ჯონ კოუტსმა — მე ამის შესახებ ვაცნობე მისიის ხელმძღვანელის თანაშემწეს, რომელსაც მოქმედების სრული თავი- სუფლება მიეცემა.

კოუტსის თქმით, მან უკვე მიმართა მკაცრ სანქციებს და ოლიმპიური გუ- ნდის რამდენიმე წევრი დაითხოვა.

ქცევის კოდექსი დასათაურებულია ასე: „ავსტრალია 2000. ოლიმპიური გუნდის ქცევათა პროტოკოლი“. მას მა- ლე ნაკრების წევრთა თანხმობა დაე- მატება, რაც სპორტსმენთა და ოფიცი- ალურ პირთა ხელის მოწერით დას- რულდება.

**გიგა გურასაშვილი**

## გერმანია

II ტური

**არმინია 1:1 ჰერტა**
1:0 მაისნერი (51), 1:1 დაისლერი (82)

**უნტერჰახინგი 2:0 დუისბურგი**
1:0 რაკლი (68პ), 2:0 შტაუბე (80)

### II ბუნდესლიგა

II ტური

**მანჰაიმი 4:0 ხემნიცი**

**ბოხუმი 5:0 ალემანია**

**ფიურტი 0:0 კიოლნი**

## ინგლისი

### I დივიზიონი. III ტური

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ნოტინგემი**

### II დივიზიონი. III ტური

**კარდიფი 1:1 რედსემი**

## ჰოლანდია

II ტური

**მაასტრიხტი 2:6 აიაქსი**

## პორტუგალია

I ტური

**სეტუბალი 1:1 გიმარაეში**

## საფრანგეთი

IV ტური

**მეცი 0:1 ლიონი**
0:1 კაველია (90)

**პსჟ 1:1 ოსერი**
0:1 გივარში (36), 1:1 როდრიგესი (85)

**ლე ავრი 2:1 სედანი**
1:0 დენიო (36), 2:0 კერკარი (48), 2:1 მიონე (60)

**სენტ ეტიენი 2:1 ნანსი**
0:1 სა (1), 1:1 ალექსი (65), 2:1 ალოიზიო (80)

**მონპელიე 2:3 მონაკო**
1:0 სორლენი (29), 1:1 ტრეზეგე (52), 1:2 სიმონე (53), 2:2 მაულიდა (76), 2:3 სიმონე (83)

**ტრუა 2:1 სტრასბური**
1:0 გაზი (24), 1:1 ეშუაფნი (80), 2:1 ბუტალი (86)

**რენი 2:1 ბორდო**
0:1 ლასლანდი (8), 1:1 დიუფი (44), 2:1 საველიჩი (53 ს.კ.)

### ამხანაგური მატჩი

**საბერძნეთი 3:0 სალვადორი**
1:0 ბასინასი (40), 2:0 ლიბეროპულოსი (50), 3:0 ლიოლიდისი (81)
საბერძნეთი: მიხოპულოსი, პაპადიმიტრიუ, დერმიცაკისი (ვენეტიდისი 46), დაბიზასი, უზუნიდისი, კაცაპისი (ბასინასი 30), ჰაჯიძისისი (ლიოლიდისი 65), კარაგუნისი, კიპარისისი (ფრუსოსი 46), ლიბეროპულოსი, კონსტანდინიდისი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პსჟ — ოსერი 1:1. სტეფან კარნო (№10) პარიზელთა კაპიტან ალი ბენარბიას ებრძვის

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლf5:e6+







REUTERS ფოტოქრონიკა

# სამთა მოკლე

შრი ლანკელი რეპორტიორის ანრუდა ლოკუჰაპუარაჩჩის ამ ორი ფოტოდან კარგად ჩანს კრიკეტში სამთა ერთდღიანი, მოკლე ტურნირის მნიშვნელობა. ბატონმა ლოკუჰაპუარაჩჩიმ ისინი საკუთარი ქვეყნის დედაქალაქ კოლომბოში გადაიღო. ზედა ფოტოზე ინდოეთის ნაკრების კაპიტანი შაჰინ ტენდულკარი აეროპორტში, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ მეგზურთან ერთად არის გამოსახული, ხოლო ქვედაზე რეპორტიორ ლოკუჰაპუარაჩჩის ავსტრალიის ნაკრები აღუბეჭდავს ვარჯიშსა და ვარჯიშს შორის შესვენების დროს. აღსანიშნავია, რომ ლოკუჰაპუარაჩჩის მახვილ თვალს არც შრი ლანკელი ჯარისკაცი გამოჰპარვია, ავტომატით ხელში რომ იცავს ავსტრალიელებს. ტურნირის მესამე მონაწილე მასპინძელი შრი ლანკაა.

# ასეთია სპორტული ცხოვრება

ქვედა ფოტოზე სამი ესპანელი მძლეოსანი, 1500 მეტრზე მორბენალი ანდრეს დიასი, რეიეს ესტევესი და ფერმინ კაჩო, ერთმანეთს რქებს ადგამს (ფოტოზე მეუღლეები არ ჩანან) და ამას პრესკონფერენციას უწოდებს. მარჯვნივ ორივე ფოტოზე ერთი და იგივე კაცი, ბრიტანელი სპრინტერი კოლინ ჯექსონია. ზევით ჩანს, რომ ჯექსონს ძალიან უყვარს საკუთარი თავი — გამოიცანით, ვისი სურათის ფონზე პოზიორობს — ქვევით კი მისი და კორიდის აშკარად ხელოვნურ ურთიერთობაზე მიგვანიშნებენ. ყველა ფოტო სევილიის ოლიმპიურ სტადიონთან არის გადაღებული, სადაც გუშინ საზეიმოდ გაიხსნა მძლეოსანთა მე-7 მსოფლიოს ჩემპიონატი







REUTERS ფოტოქრონიკა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli